ქართული ზამთრის ენერგოქრონიკები A8

ოსკარამდე ცხრამეტი დღით ადრე B2

ორი საქართველო B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 7 თებერვალი, 2005 წელი. №27 (887)

ფასი 50 თეთრი

## სამართალი

### მამუკა ჯინჭარაძის მკვლელობა, სავარაუდოდ, შეკვეთილია



შაბათს საღამოს მოსკოვში, საკუთარ სახლთან, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, ნიჟნევარტოვსკის საქალაქო სათათბიროს დეპუტატი მამუკა ჯინჭარაძე.

A7

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

საშემოსავლო გადასახადი - შეღავათებისა და ქონების ყიდვა-გაყიდვის ჭრილში

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 7/2 | 8/2 |
|---|---|---|
| თბილისი | -8 | -4 |
| ქუთაისი | -2 | 1 |
| ბათუმი | 3 | 6 |
| სოხუმი | -3 | -1 |
| ფოთი | 1 | 4 |
| თელავი | -10 | -7 |
| ზუგდიდი | 0 | 3 |
| გორი | -13 | -8 |
| ახმეტა | -11 | -7 |
| ჭიათურა | -8 | -4 |
| გაგრა | -3 | -2 |
| სამტრედია | -1 | 2 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8151 |
| ევრო | 2.3522 |
| ბირთანეთა სტერლ. | 3.4149 |
| რუბლი | 0.0649 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| ბანკი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| მონიტორინგი | A8 | სხვადასხვა | B8 |




*საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ დაკარგა ბოლო დროის გამორჩეული ლიდერი.*

# პრემიერის უკანასკნელი გზა

*თბილისის დროით 16.30 წუთზე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ცხედარი მიწას მიაბარეს.*

სოფო ბუკია

სამების ტაძარში პრემიერ-მინისტრთან გამოთხოვება ათ საათზე დაიწყო. ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

სამების ტაძრისკენ მიმავალ გზას გუშინ ხალხის ულევი ნაკადი დილიდანვე მიუყვებოდა. ზუსტად რამდენმა ადამიანმა მიაგო პატივი ზურაბ ჟვანიას ხსოვნას, ძნელი სათქმელია, თუმცა სამების ტაძარს ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს - 23 ნოემბერს, ტაძრის საზეიმო კურთხევის დღესაც კი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად დედაქალაქს 50-მდე საერთაშორისო დელეგაცია ეწვია. უამრავი ადამიანი ჩამოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრების, მეგობრების, თანამებრძოლების, პოლიტიკოსების, ბიზნესმენების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეების, ცნობილი ადამიანების გვერდით სამების ტაძართან გუშინ საქართველოს ათასობით რიგითი მოქალაქე იდგა.

სამების ტაძარში გუშინ გამოსათხოვარი სიტყვებიც წარმოითქვა. საკუთარი გულისტკივილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, პარლამენტის თავმჯდომარემ და საქართველოს პრეზიდენტმა გამოხატეს.

**"საქართველოს უდგას ჟამი მწუხარებისა - მშობლიურ მიწას უნდა მივაბაროთ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. თუმცა, როგორც ერთ-ერთი აღმოსავლური სიბრძნე ამბობს, სიხარული არის დასაბამი მწუხარებისა და მწუხარება არის საწყისი სიხარულისა... ის იყო ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი ინტელექტით, დიდი კულტურით და დიდი რწმენით. ის იყო მუდამ პირველი – პირველი აზროვნებაში, პირველი სიკეთის კეთებაში და აი დღესაც ზურაბ ჟვანია არის პირველი, ის პირველი დაესვენა ამ ახლადაშენებულ წმინდა ტაძარში.**

**ჩვენ ვიზიარებთ ბატონი ზურაბის ოჯახის მწუხარებას, მთელს საქართველოს აკლია იგი, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ ბატონი ზურაბი განსაკუთრებით ჩვენს პრეზიდენტს დააკლდა,"** - განაცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საუბრები საქართველოზე

## ანკარაში და მოსკოვში

*კონდოლიზა რაისისა და სერგეი ლავროვის საუბრის ერთ-ერთი თემა საქართველოში არსებული ვითარება იყო.*

კონდოლიზა რაისი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის რანგში თავის პირველ საზღვარგარეთულ ტურნეს განაგრძობს. დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და პოლონეთის შემდეგ, იგი თურქეთში იმყოფებოდა. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რაისის ვიზიტების მიზანი ახლოაღმოსავლური კონფლიქტის დარეგულირებაში რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო აქტიორის ჩართვა იყო.

სახელმწიფო მდივნის ანკარაში ვიზიტი იმითაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ გაიმართა შეხვედრა მასსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შორის.

ამერიკელი და რუსი დიპლომატები მიმდინარე თვეში ბრატისლავაში დაგეგმილი აშშ-რუსეთს შორის სამიტის მოსამზადებელ ფორმატში შეხვდნენ ერთმანეთს.

"მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ნათლად დაანახოს მსოფლიოს მისი სურვილი, გააძლიეროს კანონის უზენაესობა, აამაღლოს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების როლი, ხელი შეუწყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესის განვითარებას, თითოეული მათგანი დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს," - ჯერ კიდევ ლავროვთან შეხვედრამდე, ვარშავაში ყოფნისას ამბობდა კონდოლიზა რაისი. მისი სიტყვებით, თუ რუსეთს დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავება სურს, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი.

გაგრძელება A2 გვერდზე




იხილეთ B3 გვერდზე

## ჯორჯ ბუშის სამძიმრის წერილი

*2005 წლის 4 თებერვალი*

**მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს**

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ღრმა მწუხარებით შევიტყვე თავზარდამცემი ცნობა პრემიერ-მინისტრის, ბატონ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ.

ზურაბ ჟვანია ჩვენს მეხსიერებაში დარჩება, როგორც თქვენი უძველესი ქვეყნის და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. მისი ჩამოყალიბების გზა - აქტივისტი-სტუდენტიდან მოყოლებული, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობამდე და შემდეგ საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული გარდაქმნების ერთ-ერთ ლიდერამდე, ასახავს თქვენი ქვეყნის გარდასახვის ფაქტს, რომელიც იმედის სიმბოლოდ იქცა ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც თავისუფლებისა და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის იბრძვის. პრემიერ-მინისტრის პოსტზე ზურაბ ჟვანიამ დასახა მასშტაბური რეფორმები, რომლებიც ბიძგს აძლევდნენ თქვენი მთავრობის მცდელობას კორუფციასთან ბრძოლის და ქვეყნის კეთილდღეობის შენების საქმეში. მისი მონაწილეობა კონსტრუქციულობასა და ზომიერებას სძენდა სამხრეთ-ოსეთსა და აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიანად მოგვარების თქვენეულ მცდელობას, რომელიც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და, იმავდროულად, ამ რეგიონების მოსახლეობისთვის ავტონომიის შეთავაზებას.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას წვლილი ყველა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში, ასახავს საქართველოს ხალხის სწრაფვას მშვიდობისა და თავისუფლებისაკენ, რაც გამოიხატა კიდეც თქვენს პრეზიდენტად არჩევაში. ამ მწუხარების ჟამს მე ხელახლა ვადასტურებ შეერთებული შტატების მიერ აღებულ ვალდებულებას ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით, დემოკრატიული და მშვიდობიანი საქართველოს მშენებლობისთვის.

ჩემი მეუღლე ლორა და მე გამოვხატავთ ჩვენს ღრმა თანაგრძნობას ქალბატონ ნინო ჟვანიას და ჟვანიების მთელი ოჯახის მიმართ. გითანაგრძნობთ თქვენ, როგორც ზურაბ ჟვანიას მეგობარს, და საქართველოს მოსახლეობას. ვლოცულობთ ყველა თქვენთაგანის საკეთილდღეოდ.

*გულწრფელი პატივისცემით,*
*ჯორჯ ბუში*

## აშშ საქართველოში რეფორმების მხარდაჭერას გააგრძელებს

"ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოსთვის და მსოფლიოსთვის. ეს დემოკრატიული რეფორმები, რაც მან დაიწყო, გაგრძელდება და ჩვენ მას მხარს დავუჭერთ," - განაცხადა აშშ დელეგაციის ხელმძღვანელმა, სენატორმა რიჩარდ ლუგარმა თბილისში ჟურნალისტებთან საუბრისას.

მანვე პრესას, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სამძიმრის წერილიც გააცნო. "3 თებერვალი შავ წერტილად დარჩება ქვეყნის ისტორიაში, ჟვანიას სახით საქართველომ დიდი ადამიანი დაკარგა," - განაცხადა ლუგარმა.

*მედია-ნიუსი*

## პრესკონფერენცია - სამძიმარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაკრძალვის ცერემონიალზე საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოსული სამთავრობო დელეგაციის წევრებმა საფრანგეთის საელჩოში საგანგებო ბრიფინგი გამართეს. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა საგარეო საქმეთა საკითხებში რენო მუზელიემ საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკისა და მთავრობის სახელით მიუსამძიმრა საქართველოს მოსახლეობას და ხელისუფლებას. სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე რეფორმებს და ოფიციალური პარიზი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას შეუწყობს ხელს.

*ინტერ-პრესი*

## დღეს პარლამენტი დღის წესრიგს განსაზღვრავს

შვიდ თებერვალს საქართველოს პარლამენტში გაიმართება ბიუროს სხდომა, რომელზეც პარლამენტის კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები კიდევ ერთხელ შეაჯერებენ პლენარული სხდომის დღის წესრიგის საკითხებს.

პლენარული სხდომები 8-11 თებერვალს გაიმართება. დღის წესრიგში განსახილველად შესულია 17 კანონპროექტზე მეტი, თუმცა გამორიცხული არ არის, საკითხები კიდევ დაემატოს.

აღნიშნულ საკითხთა შორის არის კანონპროექტები "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ", "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ"; "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"; "საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ."

*მედია-ნიუსი*

## საქართველოს ოსური ტელევიზიის მუშაობის შეფერხებაში ადანაშაულებენ

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ხელისუფლებას ოსეთის ტელევიზიის მუშაობის შეფერხებაში ადანაშაულებს. "უკანასკნელ დღეებში ქართულმა მხარემ, როგორც ჩანს, სპეციალურად დაამონტაჟა რადიოსიგნალების გადამცემები სამხრეთ ოსეთთან ახლოს, რაც სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ტელევიზიის გამართულად მუშაობას ხელს უშლის. ამ ტელევიზიის გადაცემები დიდი პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მოსახლეობაშიც, რადგან ჩვენი ტელევიზია ობიექტურ ინფორმაციას ავრცელებს," - ნათქვამია თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო უწყების ოფიციალურ განცხადებაში.

ოსური მხარე ტელევიზიის ეთერში ხშირ ხარვეზებს საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართულ მოქმედებად აფასებს. საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ "ეს არის იმ ძალთა იდეოლოგიური და საინფორმაციო დივერსია, რომელთაც არ სურთ სტაბილიზაცია და მოსახლეობის ობიექტურად ინფორმირება." "დასანანია, რომ ქართული მხარე ხელს არ უწყობს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ნდობის კლიმატის გაუმჯობესებას," - ნათქვამია განცხადებაში.

*მედია-ნიუსი*

# მიხეილ სააკაშვილის გამოსათხოვარი სიტყვა


ლევან ხერხეულიძის ფოტო

თქვენო უწმინდესობავ,
ქალბატონო რემა,
ჩემო ნინო,
ჩემო საყვარელო ბავშვებო!

მე ნამდვილად არ ვგეგმავდი და ვერ წარმომედგინა, რომ ამ სიტუაციაში, აქ, თქვენ წინაშე მომიხდებოდა დგომა.

ჩვენთვის, ყველასათვის ეს ოთხი დღე არის ცხოვრებისეული გამოცდა.

პრაქტიკულად უმრავლესობას არ ჰქონია გამოცდილება მსგავსი ადამიანის დაკარგვისა.

რა თქმა უნდა, ყველა თავისებურად ვეგუებით და ყველა თავისებურად ვიტანთ ამ ყველაფერს, რაც თავს დაგვატყდა.

არც ერთი ადამიანი ამ ქვეყნიდან ასე უაზროდ არ უნდა მიდიოდეს. თუმცა, მე ვიცი ძალიან ცოტა ადამიანი, რომელმაც იცხოვრა ისე აზრიანად, როგორც იცხოვრა ჩვენმა მეგობარმა - ზურაბ ჟვანიამ.

დღეს აქ არიან ჩვენი მეგობრები, რომლებიც მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდნენ, მათ მიატოვეს ყველაფერი.

თქვენ ნახეთ, რომ წაიკითხეს პრეზიდენტ ბუშის წერილი, წაიკითხეს ლეგენდარული ვაცლავ ჰაველის წერილი.

ამ დღეებში, მე ასეთი ასობით წერილი მივიღე.

ამ წერილების კითხვისას, უბრალოდ მინდა, ყველანი დავფიქრდეთ. თქვენ ხედავთ, როგორი დაფასებულია ჟვანია, ყველანი ხედავთ, ამ ბოლო დღეებში ტელევიზიით როგორ აქებენ, ადიდებენ და ხოტბას ასხამენ მას.

ჩვენთვის აუცილებელია, ადამიანი წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ დავაფასოთ.

როდის ვისწავლით ჩვენ ცოცხალი ადამიანების ღირსების შენარჩუნებას, როდის ვისწავლით ამის დაფასებას?

ეს არის ის კითხვა, რომელსაც საქართველოს თითოეულმა მცხოვრებმა უნდა გასცეს პასუხი.

მიუხედავად ამ პესიმიზმისა, მიუხედავად ამ ცინიზმისა, ჩვენ ყველამ გადავიტანეთ ის დღეები, როდესაც ამბობდნენ, რომ "ამათ არაფერი არ გამოუვათ, ამათაც ყველაფერი ჩაუფლავდებათ".

ყველა ცინიკოსის ჯინაზე, საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგა.

ეს ჩვენ ყველამ ერთად გავაკეთეთ, ზურაბ ჟვანიას მცდელობით. ამას ვერავინ ვერსაიდან ველარ ამოშლის.

მე მინდა ყველას ვუთხრა, ვუთხრა ჩვენ მეგობრებს: ნუ გეშინიათ, იმიტომ რომ ყველაზე მეტი, რაც ამ დღეებში თავს დაგვატყდა, ეს არის შიში შიშის წინაშე.

თუ ჩვენ გვინდა ვისწავლოთ გამარჯვება, უნდა ვისწავლოთ ტრაგედიაში გაერთიანება.

ჩვენ უნდა შეგვეძლოს ყველაფრის გადატანა, რომ გავერთიანდეთ გამარჯვებაში.

ამ დღეებში ჩვენ დავანახეთ ყველას, რომ შეგვიძლია გაერთიანება ტრაგედიაში, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვეძლება გაერთიანება ჩვენს საერთო გამარჯვებაში.

მე, ასევე, მინდა ვუთხრა საქართველოს არაკეთილმოსურნეებს: ნუ გექნებათ ნურაფრის იმედი, ნუ გექნებათ ილუზიები, ზურაბი აღარ არის, მაგრამ ჩვენ ცოცხლები ვართ.

თუკი ვინმეს აქვს ილუზია, რომ შესაძლებელი იქნება იმ საქმის შერყევა, რომელიც ჩვენ ერთად დავიწყეთ, ძალიან ტყუილად გაქვთ ამის იმედი, ამის საშუალებას არ მოგცემთ ზურაბ ჟვანიას გამო, მისი შვილების და ყველა ჩვენგანის გამო.

საქართველო გახდება ძალიან ძლიერი ქვეყანა, ეს არის ჩემი პირადი მოვალეობა და ჩვენი ყველას მოვალეობა ჩვენი მომავლის, ჩვენი მეგობრის ზურაბ ჟვანიას წინაშე.

# საუბრები საქართველოზე ანკარაში და მოსკოვში

პირველი გვერდიდან


*სერგეი ლავროვის და კონდოლიზა რაისის შეხვედრა ანკარაში.*

მოგვიანებით, იმავე დღეს, ანკარაში ჩასვლისას ქალბატონმა რაისმა განაცხადა, რომ აშშ არ აპირებს რუსეთის მსოფლიო მოვლენებიდან ჩამოშორებას. “მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთის იზოლაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისგან გამოსავალია.” თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ აშშ კვლავაც განაგრძობს დახმარების გაწევას მათთვის, ვინც რუსეთში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას უწყობს ხელს, მაგრამ, ამავდროულად, გაგრძელდება დიალოგი რუსეთის ხელისუფლებასთანაც.

სერგეი ლავროვი ანკარაში სპეციალურად კონდოლიზა რაისთან საქმიან სადილზე ჩავიდა. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ცნობით, კონდოლიზა რაისის დაძაბული განრიგი საშუალებას არ აძლევდა მას, თავად ჩასულიყო მოსკოვში. შეხვედრა კი, თუ ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის გაჩენილი პრობლემების სიმწვავეს გავითვალისწინებთ, უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენდა. შეგახსენებთ, ამ თვეში ბრატისლავაში ორი ქვეყნის ლიდერებს შორის უმაღლეს დონეზე შეხვედრაა დაგეგმილი.

ორსაათნახევრიანი სადილის დროს ქალბატონმა რაისმა კრემლის სერიოზული გაკრიტიკება მოასწრო იმ საკითხებისთვის, რაც, ვაშინგტონის აზრით, რუსეთში დემოკრატიის შეზღუდვის აშკარა მაგალითებს წარმოადგენს. ესენი იყო “იუკოსის” საქმე, ხელისუფლების ვერტიკალის გაძლიერების მიზნით გატარებული პოლიტრეფორმა (რომელიც, სინამდვილეში, ფედერაციის სუბიექტთა ხელმძღვანელების კრემლიდან პირდაპირ დანიშვნას გულისხმობს), ელექტრონულ მედიაზე კონტროლის დაწესება და ა.შ.

თუმცა, როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანონიმი წყარო იტყობინება, ლავროვი ყველა დასმულ საკითხზე ამერიკელ კოლეგას რუსული მხარის კონტრარგუმენტებს სთავაზობდა. ასე რომ, გადაწყდა, ეს საკითხები “ცალკე დისკუსიის თემა გამხდარიყო”, რაც დიპლომატიური ენაზე იმას ნიშნავს, რომ მათი გადაწყვეტა უახლოეს მომავალში ძნელად წარმოსადგენია.

რაისმა ანკარაში შეხვედრაზე რუსეთს მოუწოდა, არა მარტო საკუთარ ტერიტორიაზე ეზრუნა დემოკრატიის გაძლიერებაზე, არამედ ამ პროცესისთვის რეგიონშიც შეეწყო ხელი.

ამ კონტექსტში საუბარი საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო. შეხვედრის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ცდილობდა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ კრემლსა და თეთრ სახლს შორის სრული ურთიერთგაგება სუფევს. ლავროვი ხაზს უსვამდა, რომ საქართველოში არსებული ვითარების დარეგულირების შესახებ რუსეთსა და აშშ-ს ერთი აზრი აქვთ და ის შემდეგში მდგომარეობს – კონფლიქტების დარეგულირება “ძალის გამოყენების გარეშე უნდა მოხდეს. ჩვენ კონდოლიზა რაისს საქართველოსთან დიალოგის განვითარებისთვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ. ვისაუბრეთ იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ამჟამად შეთანხმების სტადიაშია. ესაა დიდი ხელშეკრულება, სამხედრო საკითხები, რუსეთ-საქართველოს საზღვრის დელიმიტაციის პროცესის დასრულების, ასევე იმ ძალისხმევის შესახებ, რასაც რუსეთი ახორციელებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებისთვის," - განაცხადა ლავროვმა

შესაძლოა, სწორედ ამ საუბრის გამოძახილი იყო შაბათსვე, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ ჩატარებული თათბირი უშიშროების საბჭოს წევრებთან. ოფიციალური ინფორმაციით, საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხები განიხილებოდა, თუმცა, რუსული ინტერნეტ-გამოცემა ”გრანი.რუ” იუწყება, რომ პუტინის ძალოვან მინისტრებთან საუბრის მთავარი თემა საქართველოში შექმნილი ვითარება იყო.

”გრანი.რუ” უშიშროების საბჭოს აპარატში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ მთავარი მომხსენებლები საგარეო და უშიშროების უწყებების ხელმძღვანელები ლავროვი და პატრუშევი იყვნენ.

რუსული გამოცემის მიხედვით, პუტინმა საქართველოში შექმნილი ვითარება შეაფასა, როგორც ”უკიდურესად დაძაბული”, რომელიც რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ”სრულ მობილიზაციას” მოითხოვს. საჭიროა მიღებული იქნეს ყველა ზომა, რათა ”საქართველოში მოვლენების შემდგომმა განვითარებამ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული ინტერესები საფრთხის წინაშე არ დააყენოს.” ამავე წყაროს ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განლაგებული რუსული სამშვიდობო კონტინგენტები ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საჰაერო ძალების მორიგე დანაყოფებითაც გაძლიერდეს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის თავმჯდომარე მადლენ ოლბრაიტი და პრეზიდენტი კენეტ ვოლაკი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამო. "საქართველოში და მთელ მსოფლიოში, ზურაბ ჟვანია ცნობილი იყო, როგოც გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, რომელიც დემოკრატიისთვის იბრძოდა. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს ახალი მთავრობა ცდილობდა, ქვეყანა პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრესის გზით წაეყვანა," - აღნიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ სამძიმრის წერილში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექვს თებერვალს ქარელის რაიონში რუსეთის რვა სამხედრო მოსამსახურე დააკავეს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს სამშვიდობო ბატალიონის მეთაურის კობა ლაჭყებიანის ცნობით, რუსი სამხედროები დააკავეს სოფელ დვანში, რომელიც ცხინვალიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ლაჭყებიანის ინფორმაციით, დაკავებულები ბათუმში დისლოცირებული, რუსეთის სამხედრო ბაზის თანამშრომლები არიან. მათ თან არ აღმოაჩნდათ საქართველოს ვიზები. რუსი სამხედროების თქმით, ისინი შვებულებაში იმყოფებოდნენ და ბათუმიდან რუსეთში ვლადიკავკაზის გავლით უნდა გამგზავრებულიყვნენ. სამხედროები თბილისში, სამხედრო კომენდატურაში გადაიყვანეს. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატის შესარჩევად სამი დღე რჩება. მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილს აღნიშნულ საკითხზე საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციები ჯერ არ დაუწყია.

პრემიერ-მინისტრობის სავარაუდო კანდიდატების დასახელებისგან გუშინ ჟურნალისტებთან თავი შეიკავა, ასევე, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დასახელებისათვის, კონსტიტუციით, სამი დღე რჩება. თუკი პრეზიდენტი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადაში ვერ ჩაეტევა, რაც კონსტიტუციის დარღვევაა, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დასმის საფუძველს იძლევა," - აცხადებს კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე. მისივე თქმით, "თუ გამართლდება საუბარი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასა და პრემიერ-მინისტრის პოსტის გაუქმებაზე, ქვეყანა გადავა ამერიკული ტიპის მოდელზე, ანუ საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე." **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ბოლო დღეებში საქართველოში და მის გარეთ მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს შორის პირდაპირ კავშირს ვერ ხედავს. მისი თქმით, გორის ტერაქტი, პრემიერ-მინისტრის დაღუპვა და მოსკოვში ქართველი ბიზნესმენის მამუკა ჯინჭარაძის მკვლელობა დროში ერთმანეთთან ძალზე ახლოს დგას და მათი ლოგიკური კავშირის შესახებ აზრიც სწორედ აქედან ჩნდება. მისი თქმით, თუ მოგვიანებით ეს ფაქტები ერთ საქმეში გაერთიანდა, მიზეზი, სავარაუდოდ, ბიზნესინტერესი იქნება**. ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფი, ექს-პარლამენტარი ირაკლი ბათიაშვილი გორში განხორციელებულ ტერაქტსა და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას ერთიანი გეგმის შემადგენელ ნაწილებად განიხილავს. მას ეჭვი ეპარება, რომ ზურაბ ჟვანია ოფიციალურად დასახელებული საყოფაცხოვრებო მიზეზით იყოს გარდაცვლილი. "ინტუიცია მკარნახობს, რომ ჟვანია რუსეთის მოკლულია და ეს წინასწარ დაგეგმილი, სერიოზულად ორგანიზებული მკვლელობა იყო," - აღნიშნა ბათიაშვილმა.

მისი თქმით, "პრემიერ-მინისტრის მკვლელობა პატარა საქმე არ არის და იგი სახელმწიფოში ბევრ რამეს ცვლის." **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პრემიერის უკანასკნელი გზა

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ზურაბ ჟვანიამ ახალ დამოუკიდებელ საქართველოში ქართულ პარლამენტარიზმს ჩაუყარა საფუძველი. **"მისი ქმედებები მიმართული იყო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. არც თუ დიდი ხნის მანძილზე, მან მოახერხა სერიოზული ადგილი დაემკვიდრებინა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში. ზურაბ ჟვანიას პატივს სცემდნენ საქართველოს მეგობრებიც და მტრებიც,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ თავისი მოღვაწეობის მანძილზე ზურაბ ჟვანიამ საქართველოს არა ერთი მეგობარი შესძინა.

**"მიუხედავად ამ ტრაგედიისა, საქართველოს პოლიტიკური ელიტა, ქვეყნის პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები შეძლებენ ძალისხმევათა მობილიზებას და იმ მიზნების განხორციელებას, რომლებიც ზურაბ ჟვანიასთან ერთად დასახეს",** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

პრეზიდენტის გამოსათხოვარ სიტყვას "24 საათი" სრული სახით გთავაზობთ გაზეთის ამავე ნომერში. სამების ტაძარში გუშინ პრეზიდენტ ბუშის სამძიმრის წერილი წაიკითხეს, რომელსაც ასევე სრული სახით შემოგთავაზებთ.

წირვა-ლოცვისა და სამოქალაქო პანაშვიდის დასრულების შემდგომ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ცხედარი სამების ტაძრიდან გამოასვენეს და უკანასკნელ გზას გაუყენეს.

თავისუფლების მოედნის გავლით, სამგლოვიარო პროცესია პარლამენტის შენობისკენ გზას ფეხით გაუყვა. პრემიერის ნეშტი რამდენიმე წუთით პარლამენტის შენობის წინ მოედანზე დაასვენეს, იმ ადგილას, სადაც სულ რაღაც წლისა და სამი თვის წინ რევოლუციური სამეული ქართველი ხალხის გამარჯვებას ზეიმობდა. გუშინ ეს ადგილი სხვაგვარად გამოიყურებოდა - დაშვებული იყო საქართველოს სახელმწიფო დროშები, სამხედრო ორკესტრი ასრულებდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს, სხვა დატვირთვა ჰქონდათ სიმბოლურ წითელ ვარდებსაც - პრემიერის ხსოვნის აღსანიშნავად ჰოლანდიის მთავრობის საჩუქარს, რეკდნენ ქაშუეთის ზარები...

სამგლოვიარო პროცესიის მონაწილე რიგითი მოქალაქეები გუშინ ერთმანეთს ძალიან ბევრ კითხვას უსვამდნენ, მაგრამ უფროსებს ამჯერად თავი დავანებოთ, მე ერთი პატარა ბიჭის კითხვას გავიხსენებ: "ჟვანია აღარ იქნება ტელევიზორში?"

თბილისის დროით 16.30 წუთზე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ცხედარი მიწას მიაბარეს.









ლევან ხერხეულიძის და გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

თიბისი ბანკი TBC Bank NEWS



## "თიბისი ბანკის" ახალი სათაო ოფისი

თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი უნივერმაღის შენობის რესტავრაცია, დასასრულს უახლოვდება. მნიშვნელოვანია, რომ შენობისთვის ძველი იერსახის დაბრუნების იდეა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობას ეკუთვნის და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებაც სწორედ ბანკმა აიღო თავის თავზე.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ორი წლის წინათ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, დასრულდა შენობის ფასადის რესტავრაცია, დამონტაჟდა შენობის ღამის განათება, მალე დასრულდება ინტერიერის სარემონტო სამუშაოებიც და რესტავრირებულ შენობაში "თიბისი ბანკის" სათაო ოფისი განთავსდება.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ეს შენობა მოდერნისტული მიმართულების (მოდერნი სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში მე-19 საუკუნის ბოლოს წარმოიშვა) ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და დედაქალაქის ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. შესაბამისად, მისი რესტავრაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით.

ბანკის ხელმძღვანელობა ისტორიული ნაგებობის აღდგენისას არქიტექტორების პროქეტს დაეყრდნო. კერძოდ, შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივ რეკონსტრუქციის პროექტი ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ ძეგლთა დაცვია დეპარტამენტთან შეთანხმებით მომზადდა, პროექტის საინჟინრო ნაწილი კი "ქალაქპროექტმა" დაამუშავა, ხოლო შენობის გასამაგრებელი სამუშაოები სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა. ამიტომაც, სპეციალისტები "თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობის მიერ გადადგმულ კიდევ ერთ, პოპულარულ ნაბიჯზეც მიანიშნებენ.

"თიბისი ბანკი" დედაქალაქის ისტორიას არ ივიწყებს, ინვესტირებას ახდენს ისტორიულ ტრადიციებში და ზრუნავს ისტორიული ნაგებობის შენარჩუნებაზე - ასე აფასებენ არქიტექტორები ბანკის ხელმძღვანელობის მორიგ ინიციატივას.

ყველა თბილისელს განსაკუთრებით ახსოვს შენობის ცენტრალური კიბე, რომელიც მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს და რეკონსტრუქციამდე საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაში იყო, მოხდა მისი რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, როგორც კონსტრუქციული, ისე დეკორატიული თვალსაზრისით - კიბე აბსოლუტურად პირვანდელი სახით იქნება წარმოდგენილი.

**"შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობდა, ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა მისი თანხმობის გარეშე. ამასთან, ბანკი შეგნებული პარტნიორი აღმოჩნდა, რომელსაც ესმის, თუ რას ნიშნავს დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობა, გრძნობს გარკვეულ ვალდებულებებს, ბანკის ხელმძღვანელობა ყველა დათმობაზე წავიდა, რათა შენობისთვის ძველი იერსახე დაგვებრუნებინა, ამ დონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები თბილისში ჯერ არ ჩატარებულა,"** - ამბობს პროექტის ერთ-ერთი ავტორი, არქიტექტორი **გაგა კიკნაძე.**

## "თიბისი" - ხალხის რჩეული ბანკი

"თიბისი ბანკი" საქართველოს საფინანსო ბაზარზე 12 წლის წინათ გამოჩნდა. ბანკმა მოკლე დროში შეძლო ქვეყნის საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიციაც დაეკავებინა. სპეციალისტების შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებაზე ორიენტირება "თიბისი ბანკის" წარმატებული საქმიანობის უპირველესი ფაქტორი იყო. ბანკის მიერ არჩეული სტრატეგიის მიზანშეწონილობას კლიენტურის სწრაფი ზრდაც ადასტურებს. ყველაზე პოპულარული, კომფორტული და სანდო ბანკის იმიჯის დამკვიდრებას, მით უმეტეს მის შენარჩუნებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. "თიბისი მანკის" მომსახურებით ცნობილი კომპანიები და ბიზნესმენები სარგებლობენ.

**"თიბისი ბანკთან" დაარსების დღიდან ვთანამშრომლობ, მასთან დაკავშირებული ვარ კორპორაციულად, სამსახურეობრივი თვალსაზრისით, თუმცა გახსნილი მაქვს პირადი ანგარიშებიც. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითადად კრედიტით და ვიზა ბარათებით ვსარგებლობ. მიმაჩნია, რომ "თიბისი ბანკი" სანდო და კომფორტული ბანკია, ამასთან ხელმისაწვდომიც. ჩემი მეგობრებიც, ძირითადად, ამ ბანკის მომსახურებით სარგებლობენ, ალბათ ეს მისმა პოპულარობამაც განაპირობა", - ამბობს სააქციო საზოგადოება "მინას" გენერალური დირექტორი გიორგი მგელაძე.**

## "თიბისი ბანკის" სიახლე

"თიბისი ბანკი" კაპიტალის მოცულობის გაზრდის პარალელურად მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდაზეც ზრუნავს. ამ ეტაპზე თბილისში "თიბისი ბანკის" 4 ფილიალი (ვაკე, ვერა, მთაწმინდა, ნაძალადევი), ხოლო რეგიონში 6 ფილიალი (ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ბორჯომი, რუსთავი, თელავი) ფუნქციონირებს. ბანკის ხელმძღვანელობა მარჯანიშვილის ოფისში ახალი ფილიალის გახსნასთან ერთად კლიენტებს გაუმჯობესებულ კომფორტსა და სერვისებს ჰპირდება.

სულ მალე "თიბისი ბანკი" კლიენტებს სამომხმარებლო სესხების პირობების გაუმჯობესებას სთავაზობს. სამომხმარებლო სესხები 2005 წლიდან გაცილებით ხელმისაწვდომი ხდება, კერძოდ, სესხის თანხა თუ იყო - მაქსიმუმ 20 ათასი დოლარი, გაიზარდა - მაქსიმუმ 50 ათასი დოლარამდე. სესხის ვადა, ნაცვლად 2 წლის, 3-მდე გაიზარდა. წლიური საპროცენტო განაკვეთი 20-30 პროცენტი 18-25 პროცენტამდე შემცირდა.

მსესხებლის მინიმალური შემოსავალი იმისთვის, რომ მიიღოს სესხი, 400 აშშ დოლარი უნდა იყოს. 600 აშშ დოლარზე მეტი ხელფასის მქონე პირებზე, ხელფასის სამმაგი (1 წლიანი კარგი საკრედიტო ისტორიის შემთხვევაში კი ოთხმაგი) ოდენობის სესხი გაიცემა უზრუნველყოფის (გირაოს) გარეშე! სხვა შემთხვევაში გირავდება ოჯახის კუთვნილი ტექნიკა, ავეჯი, ავტომანქანა და ა.შ.

ყოველთვიურად დასაფარი თანხა ადრე იყო შემოსავლის 25 პროცენტიდან 40 პროცენტამდე, ამჟამად ეს მაჩვენებელი შემოსავლის 25 პროცენტიდან 50 პროცენტამდეა. ანუ მსესხებელს შეუძლია გაცილებით უფრო მეტი სესხის აღება, ვიდრე მანადმე შეეძლო. სესხის დამტკიცების ვადა საშუალოდ 2 დღეა.

გარდა ამისა, გამარტივდა წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და სესხის აღების პროცედურა.

## ახალი ოფისის უნიკალური შესაძლებლობა

"თიბისი ბანკი" კლიენტებისთვის სპეციალური სემინარებისა და ტრეინიგების გამართვას გეგმავს. ეს არის ბანკის მცდელობა, კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს საკუთარ კლიენტებს. **"მათი პროფესიონალიზმის ამაღლება ჩვენს ინტერესშიც შედის. იმ კომპანიებს, რომელთაც თანამშრომლების გადამზადების, საზღვარგარეთ სტაჟირების საშუალება არ გააჩნიათ, ჩვენ სპეციალიზირებულ ტრეინინგებს შევთავაზებთ. ძირითადად, სწავლება შეეხება კომპანიების სტრატეგიას, მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავებას, ფინანსური ანგარიშგების სისტემებს, რესურსების მართვას და კომპანიის მართვის ოპტიმალურ სქემებს, ასევე საკადრო პოლიტიკის ფორმირებას. ისინი, რომლებიც წლების განმავლობაში ჩვენი კლიენტები არიან, ბანკის თანადგომას უნდა გძნობდნენ, ამის საშუალება ძველ ოფისში არ გაგვაჩნდა, ახალი შენობა ამის შესაძლებლობას იძლევა. იქ გარემოა განსხვავებული, დახვეწილი და ფინანსური ინტიტუტის აურაა შექმნილი,"** - განმარტავს "თიბისი ბანკის" პირველი ვიცე-პრეზიდენტი **პაატა ღაძაძე** და კლიენტებს მსგავსი ინიციატივების შეთავაზებას ჰპირდება.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

პროექტი

# საგადასახადო განმარტებები

## საშემოსავლო გადასახადი - შეღავათები

გადასახადების სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია "გადასახადისაგან განთავისუფლება", გარკვეული შეღავათები, რასაც სახელმწიფო აწესებს ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული სფეროების და კონკრეტული სოციალური ფენების მიმართ.

საქართველოს საგადასახადო კოდესის 168-ე მუხლის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია:

"1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება, ან ერთჯერადი განაცემი (მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები);

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე ფიზიკური პირის მიერ მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირისაგან 1000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით მიღება;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლ) იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | სექცია A | |
| 1. | [illegible] | |
| | სექცია D | |
| 2. | [illegible] | [illegible] |
| 3. | [illegible] | [illegible] |
| 4. | [illegible] | [illegible] |
| 5. | [illegible] | [illegible] |
| 6. | [illegible] | [illegible] |
| 7. | [illegible] | [illegible] |
| 8. | [illegible] | [illegible] |
| 9. | [illegible] | [illegible] |
| 10. | [illegible] | [illegible] |
| 11. | [illegible] | [illegible] |
| 12. | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | |
| 13. | [illegible] | [illegible] |
| 14. | [illegible] | [illegible] |
| 15. | [illegible] | [illegible] |
| 16. | [illegible] | [illegible] |
| 17. | [illegible] | [illegible] |
| 18. | [illegible] | [illegible] |
| 19. | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | |
| 20. | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | |
| 21. | [illegible] | [illegible] |
| 22. | [illegible] | [illegible] |
| 23. | [illegible] | [illegible] |
| 24. | [illegible] | [illegible] |

მ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

2. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე;

ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის;

ბ) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქის;

გ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს "ქართვლის დედის" საპატიო წოდება;

დ) მარტოხელა დედის;

ე) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ვ) პირის, რომელმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანა ბავშვი.

3. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ა) I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ (ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარდა) კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 1500 ლარამდე;

ბ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3 000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ, ერთ- ან ორშვილიან პირს კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 3 000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

4. თუ ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი."

## საშემოსავლო გადასახადი - ქონების ყიდვა-გაყიდვის ჭრილში

განვიხილოთ საშემოსავლო გადასახადი, ფიზიკურ პირებს შორის ქონების ყიდვა-გაყიდვის ჭრილში. 2005 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია ქონების გადაცემის გადასახადი და მან გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა საშემოსავლო გადასახადში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქონების ყიდვა-გაყიდვა 2005 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარებოდა დაბეგვრას ქონების გადაცემის გადასახადით, ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსით ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით.

ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს საშემოსავლო გადასახადს იხდის ქონების გამყიდველი. ხოლო "საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 12 პროცენტს".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი (ანუ ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში).

საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ქონების გამყიდველის მიერ ქონების ნამეტი ღირებულების 12%-ის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება გამყიდველის საკუთრებაში იმყოფებოდა ორ წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი".

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მერვე პუნქტის თანახმად, "ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე 1000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას, საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება აქტივის გადაცემიდან არა უგვიანეს სამი დღისა, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას".

განვიხილოთ სამი შემთხვევა:

**ა. ქონების ყიდვა-გაყიდვა** - იმ შემთხვევაში თუ ფიზიკურმა პირმა გაყიდა 2 წლამდე საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი 20 000 ლარად, რომელიც მას ნაყიდი ქონდა 15 000 ლარად, საშემოსავლო გადასდახადით დაბეგვრას ექვემდებარება მათ, შორის სხვაობა ანუ 5 000 ლარი (20 000 - 15 000), ხოლო საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 600 ლარს (5 000 ლარის 12 პროცენტი), რის თაობაზეც ქონების გამყიდველი საგადასახადო ინსპექციაში (რაიონის მიხედვით) წარადგენს დეკლარაციას და გადასახადს გადაიხდის 3 დღის ვადაში.

**ბ. ქონების პრივატიზაცია** - თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ პრივატიზაცია გულისხმობს ქონებაზე საკუთრების უფლების **შეძენას** და საგადასახადო კოდექსის თანახმად, ქონების "ყიდვა-გაყიდვის" დროს საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ქონების **გამყიდველის მიერ** ქონების ნამეტი ღირებულების 12%-ის ოდენობით, პრივატიზაციის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი გადახდას არ უნდა **ექვემდებარებოდეს,** ვინაიდან არ იარსებებდა გადასახადის გადამხდელი, მაგრამ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს სარგებლის ცნებას.

ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციისას, სახელმწიფო მას უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას, რაც წარმოადგენს ფიზიკური პირის სარგებელს (შემოსავალს), ვინაიდან ქონებას, რომელიც მან უსასყიდლოდ მიიღო, გააჩნია ღირებულება (ფასი). პრივატიზაციის შემდეგ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ ქონების მესაკუთრეს და შეუძლია გამოიყენოს შეხედულებისამებრ (გაყიდოს, გააქირავოს, გააჩუქოს). ფაქტიურად, მან მიიღო შემოსავალი საცხოვრებელი ბინის სახით, ხოლო შემოსავალი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ექვემდებარება დაბეგვრას.

იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურმა პირმა მოახდინა საცხოვრებელი სახლის პრივატიზაცია, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 20 000 ლარს, საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება გადახდას 2400 ლარის ოდენობით (20 000 ლარის 12 პროცენტი).

**გ. ქონების ჩუქებით მიღება** - საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი (ანუ ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში). ხოლო 166-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის".

საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, ერთობლივ შემოსავალში შეტანას ექვემდებარება პირის მიერ სხვა პირისაგან ქონების ან სარგებლის ღირებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების ჩუქებით მიღების დროს ამ ქონების საბაზრო ღირებულება ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას.

საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მერვე პუნქტის თანახმად, საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას, საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება აქტივის გადაცემიდან არა უგვიანეს მესამე დღისა, რის თაობაზეც ფიზიკური პირი საგადასახადო ინსპექციაში (რაიონის მიხედვით) წარადგენს დეკლარაციას და გადასახადს გადაიხდის 3 დღის ვადაში.

**ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული შეღავათები:** არ იბეგრება I და II ჯგუფის მემკვიდრეებს შორის ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება, ხოლო III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება ქონების მიღებიდან არა უგვიანეს ორი კალენდარული წლის განმავლობაში ყოველი ხუთი თვის შემდგომი თვის 15 რიცხვისათვის თანაბარ ნაწილებად, რის შესახებაც პირი საგადასახადო ინსპექციაში წარადგენს დეკლარაციას.

**ქონების ყიდვა-გაყიდვის განხილვისას ხშირად გამოვიყენეთ ტერმინი ქონების "საბაზრო ფასი". საინტერესოა ყიდვა-გაყიდვის დროს როგორ დგინდება და ვინ ადგენს ქონების ფასს?**

ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი დოკუმენტალურად დადასტურებული ფაქტობრივი ფასის მიხედვით ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ღირებულების დადგენა ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ საბაზრო ფასის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო ასაბუთებს, რომ გარიგების მონაწილეებს შორის გაცხადებული ფასი განსხვავდება ფაქტობრივი ფასისგან, შესაბამისი საგადასახადო ორგანოს უფროსს ან მის მოადგილეს უფლება აქვს გამოიტანოს მოტივირებული წერილობითი გადაწყვეტილება გადასახადის დაბეგვრის მიზნებისათვის საბაზრო ფასის გამოყენების შესახებ და, შესაბამისად, გადასახადი გადახდევინებული იქნება ქონების საბაზრო ფასზე დაყრდნობით.

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება საქონლის/მომსახურეობის ბაზარზე იდენტური (მსგავსი) საქონლის/მომსახურეობის მოთხოვნისა და მოწოდების ურთიერთქმედების შედეგად და ამ ბაზარზე ურთიერთდამოუკიდებელ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე.

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადამხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია და სხვა სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია (საქ. საგ. კოდექსი, მუხლი 21).

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი მანქანების აუქციონის წესით განკარგვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ, კომისიის ბალანსზე ირიცხება სამსახურებრივი ავტომანქანები (მერსედეს-ბენც 230, სარეგისტრაციო ნომრით - WAW 799, ბმვ 530 I, სარეგისტრაციო ნომრით - WVW 387 და შკოდა ოქტავია 1.8 SLX, სარეგისტრაციო ნომრით USA 966), რომელთა შემდგომი ექსპლოატაცია ეკონომიურად მიზანშეუწონელია, ვინადიან, როგორც კომისიის აპარატის 2004 წლის 10 დეკემბრის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ზემოაღნიშნული ავტომანქანები მიუხედავად მათი გამოშვების წლისა წარმოადგენენ მეორადი მოხმარების ავტომანქანებს და საჭიროებენ ხანგრძლივ და ხშირ შეკეთებას, რაც ძვირი უჯდება კომისიას. საგულისხმოა რომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოებული ცვეთის დარიცხვისა და რემონტის თანხების ავტომანქანების ღირებულებაზე დამატებამ გამოიწვია, ის რომ ნარჩენი საბალანსო ღირებულება თითქმის ორჯერ გაიზარდა საწყის (შეძენის) ღირებულებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ საჭიროა ზემოაღნიშნული სამსახურებრივი ავტომანქანების განკარგვა, ხოლო გაყიდვისა და ამონაგები თანხის კომისიის ბიუჯეტში მიმართვისათვის მიზანშეწონილია აუქციონის წესის გამოყენება.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აგრეთვე, შესყიდვის ობიექტების საბაზრო ფასის დასადგენად ადიტორული შეფასების ჩატარება და ადიტორული დასკვნის საფუძველზე შესყიდვის ფასის განსაზღვრა.

"დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანოების" შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის "მარეგულირებელი წესების" მე-6 მუხლის ე) ქვეპუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის საფუძველზე, კომისიამ

## გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნეს მიღებული კომისიის ადმინისტრაციის 2004 წლის 10 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი;

2. განხორციელდეს კომისიის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი მანქანების აუქციონის წესით განკარგვა;

3. აუქციონის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სააუქციონო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) იუზა ლორია - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) კახი ყურაშვილი - რეგისტრატორი (კომისიის მდივანი);

გ) იოსებ აბულაძე - მეაუქციონე;

4. დამტკიცდეს აუქციონზე გასატანი ობიექტების ნუსხა და საწყისი გასაყიდი ფასი:

ა) მერსედეს-ბენც 230 სარეგისტრაციო ნომრით - WAW 799, გამოშვების წელი 1997, ფერი - ლურჯი მუქი 1/4. - 19.000 ლარი;

ბ) BMW- 530 I სარეგისტრაციო ნომრით - WVW 387, გამოშვების წელი 1994, ფერი - შავი - 11.000 ლარი;

გ) შკოდა ოქტავია 1.8 SLX სარეგისტრაციო ნომრით USA 966, გამოშვების წელი 1999, ფერი - მწვანე - 6.000 ლარი;

5. წინასწარ შესატანი პირგასამტეხლოს, "ბე"-ს მინიმალურ ოდენობად განისაზღვროს საწყისი გასაყიდი ფასის 10%;

6. სააუქციონო ბიჯის მინიმალურ ოდენობად დადგინდეს თითოეული ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასის 5%;

7.აუქციონი ჩატარდეს 2005წლის 28 თებერვალს 14 საათზე, კომისიის სააქტო დარბაზში;

8. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადა განისაზღვროს 2005 წლის 25 თებერვლის 17 სთ-მდე;

**შენიშვნა:** მსურველებს აქთ უფლება წინასწარ გაეცნონ გასაყიდ ქონებას და მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზ. 42-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მე-8 ოთახში (ტელ. 386957);

9. დამტკიცდეს აუქციონში მონაწილეობის შემდეგი პირობები:

ა) აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს;

ბ) აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში "მონაწილე") აუქციონის "რეგისტრატორს" წარუდგენს:

ბ.ა) განაცხადს რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაწილეზე; შესასყიდი ქონების დასახელებას;

ბ.ბ) "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც ჩაირიცხება სს "თიბისი" ბანკში, ბანკის კოდი № 220101830, ა/ა № 609326.

ბ.გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს ან/და სარეგისტრაციო მონაცემებს;

ბ.დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით;

ბ.ე) იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს რომელზეც უნდა დაუბრუნდეს "ბე"-ს თანხა აუქციონზე დამარცხების შემთხვევაში;

გ) მყიდველმა რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამოდენიმე ობიექტის შესასყიდ აუქციონში, უნდა გადაიხადოს "ბე" ყველა ასეთ ობიექტზე ცალ-ცალკე;

დ) თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მყიდველი იღებს აუქციონში მონაწილის უფლების დამადასტურებელ ცნობას და დაიშვება აუქციონზე;

ე) "რეგისტრატორი" იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას; ახდენს "მონაწილის" რეგისტრაციას და ანიჭებს შესაბამის რიგით ნომერს (რამოდენიმე ქონებაზე მოთხოვნის შემთხვევაში, თითოეულზე ცალ-ცალკე);

ვ) აუქციონში მონაწილეობის შესახებ არასრულყოფილი განცხადებისა ან/და თანდართული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში აუქციონზე არ დაიშვება, ხოლო განცხადება არ განიხილება;

10. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარების შემდეგი წესი:

ა) "მონაწილე", აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში და აუქციონის "რეგისტრატორისაგან" იღებს მისთვის მინიჭებულ შესაბამის ნომერს;

ბ) "რეგისტრატორი" თავის მხრივ ადარებს გაცემული ნომრების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობას, რითაც აზუსტებს, რამდენი მონაწილე ესწრება თითოეულ ვაჭრობას და ვაჭრობის დაწყებამდე მოახსენებს კომისიასა და დამსწრე საზოგადოებას, აუქციონის გამოცხადებიდან მის მიერ გაწეულ სამუშაოს თაობაზე( აღნიშნული ინფორმაცია შეიტანება ოქმში);

გ) აუქციონს ატარებს "მეაუქციონე";

დ) თითეულ ობიექტზე, აუქციონის დაწყებისას, "მეაუქციონე" აცხადებს ქონების დასახელებას, შემდგომ საწყის ფასს და ბიჯს. აუქციონის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი, რომელიც ფიქსირდება დროის აღნიშვნით. აუქციონის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია აუქციონში მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება;

ე) "მონაწილე", რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა სწევს თავის ნომერს (რაც ნიშნავს ბიჯის მინიმალურ ოდენობას) ისე, რომ თვალსაჩინო იყოს "მეაუქციონისათვის". თუ ფასის სამჯერ გამოცხადებამდე დასახელდება მომდევნო ფასი, "მეაუქციონე" აფიქსირებს მას და სთხოვს მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ, რომელიმე "მონაწილე" არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ამის შემდეგ ქონება ითვლება გაყიდულად იმ "მონაწილეზე" ვინც შესთავაზა "მეაუქციონეს" ყველაზე მაღალი ფასი;

ვ) აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც ასახული უნდა იყოს აუქციონის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება ქრონოლოგიური მიმდევრობით, ხელს აწერენ "მყიდველი", "მეაუქციონე", "რეგისტრატორი"და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. სხდომის ოქმი იკინძება და მოწმდება კომისიის ბეჭდით;

ზ) აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონის დამთავრების შემდეგ ხელი უნდა მოაწეროს აუქციონის შედეგების ოქმს, რომელსაც ადგენს "რეგისტრატორი";

თ) აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება;

ი) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი არ შედგა, იმ მიზეზით რომ აუქციონის "მონაწილეები", ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს მონაწილეობა, მაშინ დგება არ შემდგარი აუქციონის ოქმი და "მონაწილეებს" შეტანილი "ბე" არ უბრუნდებათ;

კ) აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია გადაეცემა კომისიას, რომელიც აუქციონის შედეგებს ამტკიცებს გადაწყვეტილებით;

11. დამტკიცდეს გარიგებათა გაფორმების შემდეგი წესი:

ა) დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 10 კალენდარული დღის ვადაში"მყიდველმა", მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ნაღდად ან უნაღდო ანგარიშსწორები ფორმით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს;

ბ) თუ "მყიდველი" აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება;

გ) აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ჩაეთვლება მის მიერ აუქციონზე დაფიქსირებულ თანხაში საბოლოო ანგარიშსწორების დროს;

დ) აუქციონში დამარცხებულ "მონაწილეს" აუქციონის შედეგის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, უბრუნდება "ბე" მის მიერვე განაცხადში მითითებულ ანგარიშზე;

ე) აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გამყიდველი და მყიდველი ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით), ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

ვ) "გამყიდველსა" და აუქციონში "გამარჯვებულს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ვ.ა. ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ;

ვ.ბ. გამყიდველისა და მყიდველის რეკვიზიტები;

ვ.გ. შეძენილი ქონების დასახელება და შეძენის ფასი;

ვ.დ. მხარეთა ურთიერთვალდებულებები;

ზ) ქონებაზე საკუთრების უფლება "გამყიდველიდან" "მყიდველს" გადაეცემა ქონების ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი იფარება "მყიდველის" მიერ;

12. ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ობიექტების არ განკარგვის შემთხვევაში ხელახალი აუქციონის ჩატარების და ახალი საწყისი ღირებულების განსაზღვრა ხდება კომისიის მიერ 4 კვირის ვადაში;

13. აუქციონის შედეგებთან დაკავშირებული დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო წესით;

14. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ.თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) ექვსი თვის ვადაში;

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუცია

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

რეგიონი

# კინოთეატრ "ოზურგეთის" რემონტი

კინოთეატრი "ოზურგეთი" მრავალი ათეული წელი აქაურთათვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კულტურული დაწესებულება გახლდათ. შინააშლილობისა და ქაოსის პერიოდში კინოსათვის არავის ეცალა და მანაც, ფაქტობრივად, შეწყვიტა ფუნქციონირება. ყველაფერს კი თან დაერთო ელექტროენერგიის ტოტალური დეფიციტი. ამ ორიოდ წლის წინათ იყო მცდელობა კინოთეატრის გაცოცხლებისა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რატომღაც, საზოგადოება გადასჩვეოდა ამ სანახაობას. კინოს უფრო ბავშვები ეტანებოდნენ ფართო ეკრანის ხიბლით, შემდეგ კი მათაც დაკარგეს ინტერესი; ახლა მათ შორის კომპიუტერული თამაშებისადმი ლტოლვა იგრძნობა.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიაში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების ბედით დაინტერესდა, მათ შორის - კინოთეატრი "ოზურგეთით". რწმუნებულის აზრით, მხოლოდ კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებით უნდა დაიწყოს ხალხში დადებითი მუხტის შეტანა. ეკონომიკის, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის რეაბილიტაციას დიდი დანახარჯები სჭირდება, კულტურული ობიექტების გაცოცხლება კი უზარმაზარ მატერიალურ რესურსებს არ მოითხოვს; თანაც არ შეიძლება ქალაქის ცენტრში ერთად, გვერდიგვერდ იდგას სამი უფუნქციო უზარმაზარი შენობა (სახელმწიფო თეატრი, კინოთეატრი, მუზეუმი). სწორედ ამიტომაც ჟანი კალანდაძის მოთხოვნით, ამ რამდენიმე დღეში კინოთეატრი "ოზურგეთის" რემონტი დაიწყება - შეკეთდება სახურავი, საერთოდ განახლდება ინტერიერი; შეძენილია ახალი თანამედროვე აპარატურა.

გარდა იმისა, რომ კულტურის ეს კერა გაცოცხლდება, ამით იქნებ ახალგაზრდობა ჩამოეცალოს მასკულტურის ნიშნით აღბეჭდილ უგემოვნო, გარეგნულ ეფექტებზე აგებულ ფილმებს, გულისა და ტვინის გამაწვრილებელ სერიალებს.

კინოთეატრ "ოზურგეთის" რეპერტუარი მაღალეთიკური ღირებულებების მქონე კინოპროდუქციით შეივსება.

# ოზურგეთის პროკურატურამ ახალმოსახლეობა იზეიმა

ოზურგეთის პროკურატურამ, რომელიც წლების მანძილზე ხან გაერთიანებული ქართული ბანკის ოზურგეთის ფილიალის, ხანაც ყოფილი ქალაქვაჭრობის ადმინისტრაციულ შენობებს იყო შეკედლებული, ახალმოსახლეობა იზეიმა. ოზურგეთელი სამართალდამცავები ამიერიდან საკუთარ, ორსართულიან კომფორტაბელურ შენობაში გააგრძელებენ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას. ცენტრში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოვლად უსახური და ავარიული შენობა საფუძვლიანი რემონტის შემდეგ გეკეთილშობილებული იერ-სახით ქალაქის ერთ-ერთ დამამშვენებელ ნაგებობად გადაიქცა. სარემონტო თანხების დიდი ნაწილი საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკურმა დეპარტამენტმა გაიღო. შენობის აღდგენაში წილობრივი მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის რაიონულმა გამგეობამ. პროკურატურა ახალი კომპიუტერული ტექნიკით, ინვენტარით არის აღჭურვილი. პროკურატურის შენობის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ოზურგეთის პროკურატურის მუშაკებს შესანიშნავი პირობები შეექმნათ მუშაობისათვის. ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის პროკურატურებში. საერთოდ კი, ამ სისტემაში ერთი თვის მანძილზე იმდენი რამ გაკეთდა, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

# რელიგიური დაპირისპირება სკოლაში

*ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლაში პროტესტანტ მოსწავლეებს პედაგოგები ავიწროებენ. მასწავლებლები მართლმადიდებელ ბავშვებს "ქრისტეს ეკლესიის" მიმდევარ ბავშვებთან ურთიერთობას უკრძალავენ.*

ბექა სისაური
ზესტაფონიდან

აღნიშნული ფაქტი "თავისუფლების ინსტიტუტის" ქუთაისის ოფისს პროტესტანტული "ქრისტეს ეკლესიის" ხუცესმა ომარ საცერაძემ მიაწოდა. საცერაძის ინფორმაციით, სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლაში მისი ეკლესიის წევრი მოსწავლეების უფლებები ირღვევა. სკოლის პედაგოგები ბავშვებს რელიგიური ნიშნით სდევნიან და თანაკლასელების თანდასწრებით შეურაცხყოფას აყენებენ. "24 საათის" კორესპონდენტი დილიკაურის საშუალო სკოლაში იმყოფებოდა. მასწავლებლების მხრიდან რელიგიურ ნიადაგზე შევიწროება პროტესტანტმა მოსწავლეებმა დაადასტურეს. თავის მხრივ, ამ ფაქტს არც მასწავლებლები უარყოფენ, ოღონდ ამას, ზეწოლის ნაცვლად, რჩევა-დარიგებას უწოდებენ.

**"ბიოლოგიის მასწავლებელი ნაილი ოდიკაძე გვეუბნებოდა, რომ თითქოს ჩვენი პრინციპია, მაინცდამაინც მართლმადიდებლებზე ვიქორწინოთ და ამით ჩვენი მრევლი გავამრავლოთ. იგი აფრთხილებს გოგონების მშობლებს, რომ მათმა შვილებმა ჩვენთან არ იმეგობრონ. რადგანაც გოგონების სარწმუნოებრივ მრწამსს, თურმე, საშიშროება ემუქრება. ამავე დროს მასწავლებლები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ამ რელიგიას ანგარების მიზნით მივსდევთ",** - აცხადებს რევაზ საცერაძე. იგი დილიკაურის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. მისივე თქმით, მასწავლებლის მხრიდან ზეწოლა ორი თანაკლასელის დაქორწინების შემდეგ დაიწყო. "ქრისტეს ეკლესიის" მიმდევარმა თენგო საცერაძემ ცოლად თანაკლასელი კლარა ტაბატაძე მოიყვანა. ამავე სკოლის კიდევ ერთი პროტესტანტი გოგონა გვიამბობს, რომ ბიოლოგიის მასწავლებელმა ნინო კაკიაშვილმა მას "სექტანტი ბაპტისტი" უწოდა. **"საკუთარი მრწამსის უნდა გრცხვენოდეს",** - ამ სიტყვებით მიმართავდა მას მასწავლებელი.

ბიოლოგიის მასწავლებელი ნანა ოდიკაძე ბრალდებებს უარყოფს, თუმცა ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნულ ქორწინებას არ მიესალმება.

**"მე ამ ქორწინების შესახებ არ ვიცოდი. რომ მცოდნოდა, ჩავერეოდი, რათა ქორწინება არ შემდგარიყო... რელიგიურ ნიადაგზე კი ბავშვებისათვის არასოდეს შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ეს აშკარა ცილისწამებაა. შეიძლება გაკვეთილის მიმდინარეობის დროს რელიგიაზე ვისაუბრო, მაგრამ ამ დროს ბავშვს შეურაცხყოფა მივაყენო, გამორიცხულია. ამ მხრივ, ალბათ, რელიგიის მასწავლებელს შეუძლია ჩაერიოს... არ მგონია, რომ ამ მოსწავლეების არჩევანი სულიერი მოთხოვნილებით იყოს განპირობებული, ბავშვები უფრო ანგარებით მომენტებს აქცევენ ყურადღებას",** - აცხადებს ბიოლოგიის მასწავლებელი ნაილი ოდიკაძე.

"ქრისტეს ეკლესია" იმერეთში შვიდი წელია, არსებობს. უკრაინიდან ჩამოსულმა ომარ საცერაძემ პირველი პროტესტანტული სამლოცველო 1998 წელს ქუთაისში დააარსა.


სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

**განცხადება**

სსიპ - "სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" აცხადებს სტაჟიორთა კონკურსს შემდეგ განყოფილებებში:
1. დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა;
2. ხელნაწერებისა და ხელწერის ექსპერტიზა;
3. ბალისტიკური ექსპერტიზა;
4. ტრასპლოგიური ექსპერტიზა;
5. ავტო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
6. კომპიუტერული, აუდიო-ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზა;
7. დაქტილოსკოპური ექსპერტიზა;
8 ქიმიური ექსპერტიზა;
8.1 ნარკოტიკული, მომწამვლელი ნივთიერებებისა და ფარმაპრეპარატების ექსპერტიზა;
8.2 ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
8.3 ნავთობპროდუქტების ხარისხის ექსპერტიზა;
8.4 კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობით (სამართალმცოდნე, კომპიუტერის სპეციალისტი, ტექნიკური დარგის ექსპერტი, ქიმიკოსი).

სტაჟირების კანდიდატებმა ბიუროს კადრების განყოფილებაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
ა. განცხადება ბიუროს უფროსის სახელზე;
ბ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ. რეკომენდაცია/შუამდგომლობა;
დ. ავტობიოგრაფია (აქტუალური C.V.)
ე. დიპლომის ასლი;
ვ. ორი ფოტოსურათი; (3X4)
ზ. ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
თ. სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

საბუთების მიღება წარმოებს 2005 წლის 1 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი. №84 საკონტაქტო ტელეფონი: 23-42-55, 29-04-87


# ოჯახური ძალადობა კახეთში

*"ოჯახური ძალადობის საკითხი კახეთის რეგიონში საკმაოდ მწვავედ დგას", - აცხადებს კავშირ "საფარის" ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი. გასულ კვირას თელავის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია "მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციაში" სწორედ ოჯახური ძალადობის თემაზე გაიმართა ტრეინინგ-სემინარი. რეგიონში "საფარის" გასვლითი სემინარი ამ მასშტაბური პრობლემის ხარისხის შემცირების მორიგ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.*

ნანა ბასილაშვილი

სოფელ "ნაფარეულის" სკოლის პედაგოგი მაია გიქუაშვილი კახეთის რეგიონში "საფარის" წარმომადგენელია. თელავში "საფარის" სემინარ-ტრეინინგი სწორედ მისი ორგანიზატორობით გაიმართა. სემინარს 14 ადამიანი ესწრებოდა, რომელთა შორის იყვნენ პედაგოგები, ექიმები, ფსიქოლოგები, იურისტები და თავისუფლების ინსტიტუტის თელავის ფილიალის წარმომადგენლები. "საფარის" ფსიქოლოგს ნატო ზაზაშვილსა და ექიმ-რეპროდუქტოლოგს ნანა ძნელაძეს თელავში სწორედ ისინი მასპინძლობდნენ.

ვინაიდან ეს მათი პირველი შეხვედრა იყო, სამსაათიანი საუბრის ძირითადი დრო, შესაბამისად, ერთმანეთის გაცნობას დაეთმო. "საფარის" წარმომადგენლებმა თავიანთი კავშირის საქმიანობის, მათი ფუნქციის, მიზნებისა და დანიშნულების შესახებ ისაუბრეს; ასევე, დიდი დრო დაეთმო მასპინძლების საქმიანობის შესახებ, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას, პრობლემური და საჭირბოროტო თემების გაცნობასა და გარკვევას - რამდენად კოორდინირებულად მუშაობენ ერთად, თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ.

"დავინახე, რომ ეს სფერო ძალიან გულიანი ადამიანების ხელშია. არანაირ ფორმალურ მუშაობას აქ ადგილი არ აქვს. მოთხოვნილება აქვთ, ხშირად მოაწყონ ტრეინინგები. ამის ნათელი მაგალითი იყო ის, რომ ჩვენმა სამსაათიანმა შეხვედრამ ბევრი კითხვა დაბადა", - სემინარის შედეგებზე საუბრობდა "საფარის" ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი.

საფარის ფსიქოლოგის თქმით, ტრეინინგმა ოჯახური ძალადობის თემის შესახებ მართლაც ძალზედ დიდი დაინტერესება გამოიწვია. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფსიქოლოგები და პედაგოგები, რომელებსაც კონკრეტულ შეკითხვებზე სურდათ პასუხის მიღება.

შეხვედრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. მასპინძლებმა სამომავლოდ ტრეინინგების განმეორებისა და გაგრძელების დიდი სურვილი გამოთქვეს, რასაც დადებითი პასუხი მოჰყვა. "საფარი" თელავში ხელახალ ვიზიტს აპრილში გეგმავს.

"რეგიონებში, ზოგადად, ინფორმაციულ ნაკლებობას განიცდიან და მისი შევსების სურვილი აქვთ. ამავე დროს, პროფესიონალური თვალსაზრისით, მათთვის მნიშვნელოვანია ჩვენი გამოცდილების გაზიარება, ჩვენთვის კი პირიქით - მათი პრაქტიკის შემთხვევებია საინტერესო. იქიდან გამომდინარე, რომ ტრეინინგში მონაწილე პედაგოგებიცა და ფსიქოლოგებიც ბავშვებთან მუშაობენ, ტრავმული ბავშვების მუშაობის გამოცდილება და მისი სპეციფიკა გავუზიარეთ. ასე მაგალითად, როგორ უნდა გამოიცნოს პედაგოგმა ტრავმა, მით უმეტეს, როდესაც მას ერთდროულად უამრავ ბავშვთან უხდება ურთიერთობა; რა ფორმით შეიძლება ტრავმასთან მუშაობა და ა.შ.", - ამბობს ნატო ზაზაშვილი.

ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის გარდა, შეხვედრაზე რეგიონში არსებული პრობლემების შესახებაც ისაუბრეს. გარკვეულ საკითხებზე მწვავე დებატებიც გაიმართა. მაგალითისთვის, აქტუალურია რეგიონის სკოლის პედაგოგების სიმცირე და ბავშვებთან მათი მუშაობის ფორმის გამოძებნა. არადა, პრობლემა კონკრეტულ შემთხვევაში კახეთის რეგიონში საკმაოდ მწვავედ დგას. საბედნიეროდ, დღეს ენთუზიასტი ფსიქოლოგები არსებობენ, რომლებიც საზოგადოებისგან მხარდაჭერას მოითხოვენ, თუმცა იქვე გაირკვა, რომ ამ პრობლემის უპირველესი ხელისშემშლელი პირობა სწორედ საზოგადოების გათვითცნობიერების ძალიან დაბალი დონეა. ამ ფონზე კი, რეგიონში ენთუზიასტი ფსიქოლოგების არსებობა, რომელთაც უყვართ თავიანთი საქმე და მისთვის თავს არ დაზოგავენ, მართლაც მნიშვნელოვანია. მათ, უბრალოდ, მართლაც სჭირდებათ დახმარება.

"თელავში ჩვენი პირველი შეხვედრა, მეტ-ნაკლებად, ზოგადი მიმოხილვის ხასიათს ატარებდა, აპრილში კი უფრო დავკონკრეტდებით ამა თუ იმ საკითხზე - სავარაუდოდ, ტრავმის ირგვლივ ვისაუბრებთ", - აღნიშნა ნატო ზაზაშვილმა.


## ევრაზიის ფონდი
## თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში
## აცხადებს საგრანტო კონკურსს

ევრაზიის ფონდის თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში აცხადებს ორეტაპიან კონკურსს გრანტის მოსაპოვებლად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად. კონკურსი ტარდება ევრაზიის ფონდის სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამის რეგიონული ინიციატივის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი პოლიტიკის განვითარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ამ ინიციატივის უმთავრესი ამოცანაა საზოგადოების როლის გაზრდა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და მისი განხორციელების პროცესში ადგილობრივი საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტების მხარდაჭერის გზით, რაც ითვალისწინებს საზოგადოებრივი პოლიტიკის კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობაში ამ ინსტიტუტების შესაძლებლობების გაზრდას, მათ ინსტიტუციონალურ განვითარებას და აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობას.

კონკურსში განაცხადის წარდგენა შეუძლიათ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ოფიციალურად რეგისტრირებულ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია კომპარატიულ კვლევებთან/ანალიზთან და საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირებასთან. კონკურში მონწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც არასამთავრობო, არამომგებიან ორგანიზაციებს, ასევე კომერციულ დაწესებულებებს.

პროექტის განაცხადისათვის საჭირო დოკუმენტთა პაკეტი, ასევე განაცხადის მომზადებასთან დაკავშირებული კონსულტაციების მიღება შესაძლებელია ევრაზიის ფონდის სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამის თბილისის ოფისში. დოკუმენტების პაკეტის მიღება ასევე შესაძლებელია პროგრამის ვებ-გვერდზე: www.efsccp.org. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას შეუძლია დაესწროს სემინარს განაცხადის მომზადების საკითხებზე, რომელიც ჩატარდება ევრაზიის ფონდის თბილისის ოფისში 2005 წლის 7 თებერვალს, 15:30 საათზე.

კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობისათვის პროექტის განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამის ოფისში არაუგვიანეს 2005 წლის 21 თებერვლის 17:00 საათისა. მისამართი:

საქართველო, თბილისი, კავსაძის ქ. N3
ტელ/ფაქსი: (99532) 22-32-64, 25-39-42, 25-39-43

დაგვიანებით ან არასრულყოფილი ფორმით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

პირველი ეტაპის შედეგები გამოცხადდება 2005 წლის 21 მარტს.



**აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ყალიბდება ანალიტიკური ცენტრები, რომლებიც შეაგროვებენ, დაახარისხებენ, გადაამოწმებენ და გააანალიზებენ ბაზარზე არსებულ მონაცემებს სამი სახის პროდუქტთან დაკავშირებით: ნავთობი, თამბაქო და ალკოჰოლი. ამ ცენტრების ძირითადი ფუნქციებია: 1. ბაზრის ჩრდილოვანი სექტორების მასშტაბების შეფასება და 2. პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადება შემოსავლების მობილიზების დონის ასამაღლებლად და ამასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.**

## ვაკანსია: ანალიტიკოსი

**ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები:**

ანალიტიკოსი შეიმუშავებს ანალიზის მეთოდოლოგიას, შეაგროვებს და გააანალიზებს მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით და შემოსავლების მობილიზაციის დონის ასამაღლებლად. ზემოაღნიშუნილი ამოცანების მისაღწევად ანალიტიკოსთან მჭიდროდ იმუშავებს პროგრამისტი. ანალიტიკოსის მოვალეობაში, ასევე, შედის დახმარების გაწევა ცენტრის ხელმძღვანელობისათვის შესაბამის უწყებებთან ურთიერთობების დამყერებაში. ანალიტიკოსი განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა). დაამუშავებს მონაცემებს და ინფორმაციას. გამოიყენებს სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურებიდან და კერძო სექტორიდან მიღებულ მონაცემებს.

ბ). კოორდინაციას გაუწევს საქმიანობას, რომლებიც მიმართული იქნება პროდუქტის ფაქტობრივ მოხმარებას, აღრიცხულ სამომხმარებლო პარამეტრებსა და საბიუჯეტო შენატანებს შორის არსებული სხვაობების დანსაზღვრაზე.

გ). მასალების დამუშავება ცენტრისათვის პერიოდული ბიულეტენების გამოსაცემად (ბაზარზე არსებული მდგომარეობის აღწერა და მთავრობისათვის რეკომენდაციების მომზადება შემოსავლების მობილიზაციის დონის ამაღლების მიზნით).

დ). ინფორმაციისა და გამოცდილების გასაზიარებლად, სხვა მსგავს ანალიტიკურ ცენტრებთან და ანალიტიკოსებთან თანამშრომლობა;

ე). მჭიდრო სამუშაო ურთიერთობების დამყარება/შენარჩუნება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან.

**საჭირო ცოდნა/გამოცდილება:**

** უმაღლესი განათლება - სპეციალიზაცია: ეკონომიკური ანალიზი ან მსგავსი;
** სასურველია გარკვეული გამოცდილება ერთ-ერთ დარგში - ნავთობი, ალკოჰოლი, თამბაქო;
** ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის, ეკონომიკური და მარეგულირებელი პოლიტიკის ცოდნა;
** ორგანიზატორული ნიჭი და კომუნიკაბელურობა;
** სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო ინგლისური ენის ცოდნა.

**კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

** ავტობიოგრაფია (სასურველია ინგლისურ ენაზე) და თანმხლები წერილი, რომელშიც მოკლედ იქნება ჩამოყალიბებული თქვენი კვალიფიკაცია და კრიტერიუმები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.
** 2 პირის სახელი/გვარი, რომლებიც გაგიწევენ რეკომენდაციას.

## ვაკანსია: პროგრამისტი/პროგრამული უზურნველყოფის ოპერატორი

**ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები:**

**პროგრამისტი/პროგრამული უზურნველყოფის ოპერატორი** პასუხს აგებს მონაცემთა ბაზის შექმნაზე და მის ფუნქციონირებაზე, მონაცემების ბაზაში შეყვანაზე და დახარისხებაზე, ასევე დახმარებას გაუწევს ანალიტიკოსს სამუშაოს შესრულებაში.

პროგრამისტი:
ა). ცენტრს უზრუნველყოფს პროგრამული და ტექნიკური დახმარებით;
ბ). შექმნის მონაცემთა ბაზას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროდუქტის, იმპორტისა და მიწოდების (ლეგალური და არალეგალური) შესახებ;
გ). პასუხს აგებს არსებული ინფორმაციის ხარისხზე და მის გამოქვეყნებაზე;
დ). დაეხმარება ცენტრს შეიმუშაოს მასალები პერიოდული ბიულეტენებისათვის;
ე). უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიურ დახმარებას საჭიროების შემთხვევაში.

**საჭირო ცოდნა და გამოცდილება:**

**უმაღლესი განათლება-სპეციალიზაცია:საინფორმაციო ტექნოლოგიები/მონაცემთა ბაზები;
** ორგანიზატორული ნიჭი და კომუნიკაბელურობა;
** სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო ინგლისური ენის ცოდნა.

**კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:**

** ავტობიოგრაფია (სასურველია ინგლისურ ენაზე) და თანმხლები წერილი, რომელშიც მოკლედ იქნება ჩამოყალიბებული თქვენი კვალიფიკაცია და კრიტერიუმები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.
** 2 პირის სახელი/გვარი, რომლებიც გაგიწევენ რეკომენდაციას.

მიმართეთ კადრების განყოფილებას: AnCtrHR@telenet. ge
**საბუთების წარდგენის ბოლო ვადა: 2005 წლის 11 თებერვალი**

# მამუკა ჭინჭარაძის მკვლელობა, სავარაუდოდ, შეკვეთილია

*შაბათს საღამოს მოსკოვში, საკუთარ სახლთან, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, ნიჟნევარტოვსკის საქალაქო სათათბიროს დეპუტატი მამუკა ჯინჭარაძე.*



*მამუკა ჭინჭარაძე შარშან, 29 მარტს თბილისის აეროპორტში დააკავეს.*

მამუკა ჯინჭარაძე საკუთარ სახლთან, ვერნადსკის პროსპექტზე, მისსავე ავტომანქანაში საღამოს 7 საათზე ჩაცხრილეს. 38 წლის ბიზნესმენს შვიდი ტყვია აქვს მოხვედრილი. მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც. მისი მკვლელობის გამო, ცხადია, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა - განზრახ მკვლელობის მუხლით. რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, ერთ-ერთი, ყველაზე სარწმუნო ვერსიით, ჯინჭარაძის მკვლელობა შეკვეთილია. საინფორმაციო საშუალებები ასევე ყურადღებას ამახვილებენ მამუკა ჯინჭარაძის თანამშრომლობაზე საქართველოს მთავრობასთან, კერძოდ, უშუალოდ ზურაბ ჟვანიასთან. რა წყაროებს ეყრდნობა ეს ინფორმაცია, რუსული მედია არ აზუსტებს. საქართველოში კი ამგვარი თანამშრომლობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში - საჯაროდ, არაფერია ცნობილი. ფაქტია, რომ ქართული საინფორმაციო საშუალებები მამუკა ჯინჭარაძით მას შემდეგ არ დაინტერესებულან, რაც მან უშიშროების სამინისტროსთვის, დამტვრეული ვერტმფრენის სანაცვლოდ, ახლის შეძენის პირობა დადო. ეს დაახლოებით ერთი წლის წინ იყო.

მამუკა ჯინჭარაძე შარშან, 29 მარტს თბილისის აეროპორტში მაშინ დააკავეს, როცა ის მოსკოვში აპირებდა გაფრენას. მისი დაკავების მიზეზი სახელმწიფო ქონების, კერძოდ, უშიშროების სამინისტროსგან იჯარით აღებული, ფრანგული წარმოების ვერტმფრენის განადგურება გახლდათ. გამოძიების ინფორმაციით, მამუკა ჯინჭარაძე, ოჯახთან ერთად გუდაურში სტუმრობისას, ვერტმფრენით მთას შეეჯახა. აქედან გამომდინარე, იგი სახელმწიფო ქონების გაუფრთხილებლობით განადგურებაში დაადანაშაულეს და ვერტმფრენის ღირებულების - 2 მილიონი ლარის ანაზღაურება დააკისრეს. დაკავებიდან რამდენიმე დღეში, უშიშროების საბჭოს მაშინდელმა მდივანმა ვანო მერაბიშვლმა თავად ჯინჭარაძესთან ერთად ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელზეც ითქვა, რომ ბიზნესმენი უშიშროების სამინისტროს, დამტვრეულის სანაცვლოდ, ახალ ვერტმფრენს უყიდის. როგორ შესრულდა პირობა, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, მას შემდეგ, ჯინჭარაძის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ინფორმაცია აღარ გახმაურებულა.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთში დაბადებული, 38 წლის ბიზნესმენის შესახებ საქართველოში მანამდე არაფერი სმენიათ, სანამ ის, 2003 წლის ნოემბრის არჩევნების წინ, ვახტანგ რჩეულიშვილის გვერდით არ გამოჩნდა. სოციალისტთა ლიდერმა ჯინჭარაძე ქართულ საზოგადოებრიობას საქართველოს საპატრიარქოსთვის იერუსალიმში მიწის შემსყიდველად გააცნო. კულუარებში კი ამბობდნენ, რომ ჯინჭარაძემ გარკვეული ფინანსური წვლილი შეიტანა სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიაში და მეტიც, ნოემბრის რევოლუციის დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2 ნოემბერს სვეტლოგრადში საარჩევნო უბანი სწორედ მამუკა ჯინჭარაძის სუპერმარკეტში იყო გახსნილი.

მამუკა ჯინჭარაძის სახელს მიეწერებოდა რამდენიმე საქველმოქმედო აქციაც, მაგალითად, სამების ტაძრის მშენებლობის გარკვეული ნაწილის დაფინანსება. ასევე, ამბობდნენ, რომ მის მიერ გაღებული თანხებით გახდა შესაძლებელი მაშინდელი თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ერაყში ვიზიტით გამგზავრება.

როგორც ამბობენ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსეთში დაბრუნებული ბიზნესმენი, წარმოშობით ქობულეთელი, საქართველოში აჭარაში განვითარებლი მოვლენების დროსაც ჩამოვიდა და ცენტრსა და რეგიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა.

სხვათა შორის, ქართველ სამართალდამცველებთან ურთიერთობის გარკვევის შემდეგ, ჯინჭარაძეს პრობლემები უკვე რუს ძალოვნებთან შეექმნა. კერძოდ კი, ნიჟნევარტოვსკში, რომლის საქალაქო სათათბიროს დეპუტატიც იყო და დეპუტატად არჩევის შემდეგ იგი საერთოდ აღარ უნახავთ, მაისში მოულოდნელად ჩავიდა, პრესკონფერენცია გამართა და სათათბიროელ კოლეგას ალექსანდრ პეტერმანს ქალაქის პოლიციის "პრივატიზებაში" დასდო ბრალი. ამ ბრალდებების წაყენებისას კი ქალაქის პოლიციის ერთ-ერთი შეფი სულეიმან ჰუსეინოვიც შემოელანძღა. "ბრალდებულმა" წყვილმა მას პატივისა და ღირსების შელახვის გამო უჩივლა და სოლიდური თანხაც მოითხოვა. ცოტა ხანში კი, ნიჟნევარტოვსკის პროკურატურამ ჯინჭარაძეზე ძებნა გამოაცხადა, რადგან იგი დაკითხვებზე არ ცხადდებოდა. მალევე ჩატარდა სასამართლოც, რომელმაც ბიზნესმენს თითოეული მოსარჩელისთვის 150 ათასი რუბლის გადახდა დააკისრა.

სხვათა შორის, პეტერმანი იმ "სლავტეკს" უდგას სათავეში, რომელშიც, კარგა ხანი, ხელმძღვანელი თანამდებობები მამუკა ჯინჭარაძეს ეკავა.

**24 საათი**

# ვანო მერაბიშვილი "რია-ნოვოსტის" ინფორმაციას უარყოფს

შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი უარყოფს რუსული საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრებმა მოვალეობა სათანადოდ ვერ შეასრულეს.

როგორც მერაბიშვილი აცხადებს, ამ საკითხთან დაკავშირებით მას "რია-ნოვოსტისთვის" ინტერვიუ საერთოდ არ მიუცია და, შესაბამისად, არც მსგავსი რამ უთქვამს.

"რია-ნოვოსტიმ" გენერალური პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტის წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, დადგენილი წესების მიუხედავად, ზურაბ ჟვანიას დაცვამ მისი მოვალეობა სათანადოდ არ შეასრულა და ნახევარი საათით ადრე არ შეამოწმა გამათბობელი და სხვა სახის დანადგარები ბინაში, რომელშიც პრემიერი აპირებდა მისვლას.

გარდა ამისა, როგორც სააგენტო აღნიშნავს, "დადგენილი წესის მიხედვით, პირადი დაცვა ვალდებულია, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ დაუკავშირდეს დაცვის ობიექტს, მინისტრ მერაბიშვილის განცხადებით კი, დაცვის წევრებმა პრემიერთან მხოლოდ ბინაში შესვლიდან ორ საათში დაიწყეს რეკვა."

**ინტერ-პრესი**

# იმერეთის პოლიცია საკუთარ თანამშრომელს - ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილ კობა ნიკოლაძეს ეძებს

იმერეთის სამხარეო პოლიცია საკუთარ თანამშრომელს, კობა ნიკოლაძეს ეძებს, რომელიც ქუთაისის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს ხელმძღვანელობდა. კობა ნიკოლაძეს 700 დოლარის ოდენობის ქრთამის აღება ედება ბრალად.

როგორც ირკვევა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის დანაშაულებრივ ფაქტზე დაკავება სამართალდამცველებმა ერთი კვირის წინ განიზრახეს, თუმცა ეს მაშინ იმის გამო ვერ მოხერხდა, რომ ქრთამის აღების შემდეგ კობა ნიკოლაძე ქუთაისის პოლიციის შენობის მეორე სართულიდან გადახტა და გაიქცა.

ნიკოლაძის მიმართ სიხლის სამართლის საქმეა აღძრული და მასზე ძებნაა გამოცხადებული.

იმერეთის პოლიციის უფროსის გია კაჭარავას განცხადებით, ქუთაისის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელის საქმესთან დაკავშირებით, რამდენიმე მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება, რადგან არაოფიციალური ინფორმაციით, იგი თავად იყო ჩართული ნარკობიზნესში.

**ინტერ-პრესი**







## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "აზმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.**

# ქართული ზამთრის ენერგოქრონიკები

*ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში არსებული რეალური ვითარება და პრობლემები ყველაზე კარგად ზამთრის თვეებში იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ თებერვალი ჯერ კიდევ წინაა, ზამთრის ორმა თვემ - დეკემბერმა და იანვარმა (რომ აღარაფერი ვთქვათ ნოემბერზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე თვე იყო გასულ წელს, ენერგეტიკული თვალსაზრისით) აჩვენა, რომ საქართველოს ენერგოსისტემა კვლავ მეტად არასტაბილურია და ისევ სახიფათოდ არის დამოკიდებული რუსეთზე - კავკასიონის გადამცემი ხაზის გაუმართაობაზე, "თელასისა" თუ გარდაბნის თბოსადგურის მოქმედი ბლოკის მფლობელობის განწყობაზე. ამასთან, ისევ აქტუალურია ტარიფის გაზრდის თემა, რომლის თაობაზეც მარეგულირებელმა კომისიამ, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება ვერ მიიღო, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ახალი ძალით გაზაფხულისთვის "იფეთქებს." ისევ საკმაოდ ბუნდოვანია საქართველოს ხელისუფლების ელექტროენერგეტიკული პოლიტიკა, რომლის ჩამოსაყალიბებლად ხელისუფლება ახალ-ახალ კომისიებს ქმნის. ცხადია, ამ თვალსაზრისით რეფორმირების პროცესს კიდევ უფრო შეაფერხებს პრემიერის მოულოდნელი გარდაცვალება. ელექტროენერგეტიკული სექტორი, რუსეთის გარდა, კვლავ მნიშვნელოვნად არის "მიბმული" საერთაშორისო დახმარებებზე, როგორც რეაბილიტაციის, ენერგოგამრიცხველიანების, ისე - მომხმარებელთა გადახდისუნარიანობისა და სოციალური დაცვის სეგმენტებში. სერიოზული განხილვის საგანი უნდა გახდეს ის შედეგებიც, რასაც ენერგოსექტორისადმი ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ახალი მიდგომები გამოიწვევს. კვლავ უკიდურესად აქტუალურია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების თემა. ამ მოკლე დასკვნების გაკეთების საშუალებას უდავოდ იძლევა მონიტორინგი, რომელიც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" 2004 წლის დეკემბერსა და 2005 წლის თებერვალში განახორციელა და რომლის მიზანიც ქართულ მედია-საშუალებებში ელექტროენერგეტიკასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ამის საფუძველზე ძირითადი პრობლემების აქცენტირება გახლდათ. დღეს ამ მედია-მონიტორინგის საფუძველზე შექმნილ მოკლე საინფორმაციო ანგარიშს გთავაზობთ.*

**1 დეკემბერი.** პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი განიხილავს კომპანია "თელასში" რუსი ინვესტორების ერთწლიან მოღვაწეობას და დადებით შეფასება აძლევს მას, თუმცა ინვესტორებს რამდენიმე რეკომენდაციას აცნობს. პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი "თელასის" საპრივატიზაციო ხელშეკრულების გადახედვის ინიციატივით გამოდის. მისი ინფორმაციით, ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელიც თბილისის 24-საათიან ელექტრომომარაგებას და გამრიცხველიანებას ითვალისწინებს, რაც გადახედვას საჭიროებს.

**1 დეკემბერი.** რუსეთიდან თბილისში იმპორტირებული ელექტროენერგიის საფასურის გაზრდის საკითხით "მემარჯვენე ოპოზიცია" დაინტერესდა. როგორც ფრაქციის წევრმა ირაკლი იაშვილმა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ამერიკელი მენეჯერების მუშაობის დროს "თელასი" რუსეთიდან ერთ კილოვატ/საათ ელექტროენერგიას 2,3 – 2,45 ცენტად ყიდულობდა, კომპანიაში რუსი ინვესტორების შემოსვლის შემდეგ კი ფასი 2,6 ცენტამდე გაიზარდა. "თუ იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობას გავითვალისწინებთ, ფასთა სხვაობა წელიწადში 1 მლნ. დოლარს უტოლდება," - განაცხადა იაშვილმა. კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით დანგირას მიკოლაიუნასმაც გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, "თელასი" მზად არის, ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვიტოს და ეს ვალდებულება ბაზარს გადასცეს, რომელსაც ამ ფუნქციის შესრულება ისედაც ევალება.

**2 დეკემბერი.** საქართველოში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი განახლდა. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, დილით მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიან გადამცემ ხაზ "კავკასიონზე" მომხდარი ავარია ლიკვიდირებულია და რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოდინება დაიწყო.

**2 დეკემბერი.** ენერგეტიკა და ბიუჯეტი გახლდათ ის ორი თემა, რომელიც მთავრობამ ჟურნალისტებთან განიხილა. სწორედ მაშინ, როცა ავადსახსენებელი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" გაითიშა და თითქმის მთელი საქართველო, თბილისის გარეუბნებიანად, ჩაბნელდა, ნიკა გილაური მთავრობის სხდომაზე ზამთრის უსაფრთხოებაზე საუბრობდა.

მისი განცხადებით, საქართველოს მთელი რიგი რაიონების ენერგომომარაგების არსებული პრობლემები მეტნაკლებად ორ-სამ კვირაში მოგვარდება. პრემიერმა კიდევ ერთხელ მისცა "გამოსაცდელი ვადა" ნიკა გილაურს, რომელიც მოგვიანებით, მანვე დაიცვა ეკონომიკის მინისტრისგან.

**3 დეკემბერი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის ბოლოს კომპანია "მტკვარი ენერგეტიკა" მე-9 ენერგობლოკის გათიშვას გეგმავს. წინასწარი ინფორმაციით, რუსი ინვესტორები ბლოკისთვის საწვავის შესაძენად საჭირო თანხის მოძიებას ვერ ახერხებენ.

**3 დეკემბერი.** ცნობილი ხდება, რომ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია 2 დეკემბრიდან, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონებისთვის სომხეთიდან დენის იმპორტს, პიკის საათებში, 51 მგვ-დან 63.5 მგვ-მდე ზრდის.

გაერთიანებული ენერგოკომპანია 51 მგვ. ოდენობის ელექტროენერგიის იმპორტს 16 ოქტომბრიდან ახორციელებს. აღნიშნული დენი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონებს ხმარდება.

**4 დეკემბერი.** სალამის სომხურმა მხარემ საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. ოფიციალური ვერსიით, ეს სომხეთში რაზდანის ელექტროსადგურის გაჩერების გამო მოხდა, რის შედეგადაც, სომხეთს თავად შეექმნა ელექტროენერგიის დეფიციტი. არაოფიციალური ვერსიით კი, სომხურმა მხარემ საქართველო მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის "მასშტაბური გაპარვის" გამო დასაჯა, რადგან ამ მიზეზით სომხეთს რუსეთიდან საქართველოს გავლით იმაზე გაცილებით ნაკლები "ცისფერი ოქრო" მიეწოდება, ვიდრე ეს რუსეთის, ან სომხეთის მხარისთვის არის სასურველი.

**5 დეკემბერი.** საქართველოში გრაფიკების დაცვა გართულდა. თბილისს ელექტროენერგია სტაბილურად მიეწოდება. "თელასმა" მეცხრე ენერგობლოკის გათიშვის გამო, მოსალოდნელი 190 მეგავატი ელექტროენერგიის დეფიციტის შესავსებად, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი 100-დან 200 მეგავატამდე გაზარდა. მეცხრე ენერგობლოკი სისტემას 7 დეკემბრიდან შეუერთდება. რაც შეეხება რეგიონებს, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ინფორმაციით, მეცხრე ენერგობლოკის გამორთვის გამო, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გრაფიკების დაცვა ვერ ხერხდება. ამჟამად რეგიონები 3 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარენ. აქედან, ელექტროგენერაციის მიერ მიწოდებული ელექტროენერგია მილიონ 900 ათას კილოვატსაათს შეადგენს, დანარჩენი კი იმპორტია.

**5 დეკემბერი.** სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა საბითუმო ბაზრიდან მიღებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 19 პროცენტი დაფარეს. როგორც ენერგოსაბითუმო ბაზარში განაცხადეს, ათი თვის განმავლობაში გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა ბაზრიდან 112 711 790 ლარის ღირებულების ელექტროენერგია მიიღეს, თუმცა ბაზრის სატრანსფერო ანგარიშზე მხოლოდ 24 642 703 ლარი გადარიცხეს, რაც გადასახდელი თანხის მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენს. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა პირდაპირ მომხმარებლებთან მიმართებაში, რომელთაც ბაზრიდან 44 415 641 ლარის ღირებულების ელექტროენერგია მიიღეს, მთლიანობაში კი - 42 964 622 ლარი, ანუ მთლიანი მოხმარების 96 პროცენტი აანაზღაურეს. არსებული პრობლემის მიუხედავად, ბაზარმა ამ ორგანიზაციების დაფინანსება, ფაქტობრივად, გააორმაგა. 2004 წლის 10 თვეში საქართველოს გენერაციის ორგანიზაციებმა 178 281 861 ლარის ღირებულების ელექტროენერგია გამომუშავეს, საიდანაც მხოლოდ 65 038 133 ლარი ანუ 34 პროცენტი ანაზღაურეს. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა სახელმწიფო ბიუჯეტში 10 364 790 ლარი გადარიცხა.

**6 დეკემბერი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ კომპანია "მტკვარი-ენერგეტიკა" თბილსრესის მე-9 ენერგობლოკის რემონტს, შესაძლოა, ამ თვეში იწყებს. "თელასის" პრესსამსახურის ინფორმაციით, მე-9 ბლოკის სრული დატვირთვით (200 მეგავატი) ამუშავების შემდეგ, კომპანია ენერგობლოკის რემონტის დროს რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის გაზრდით მოცულობას 100 მეგავატით შეამცირებს.

**7 დეკემბერი.** პარლამენტში ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვა. ენერგოკომპანიები ელექტროენერგეტიკული სექტორის დაბეგვრის ახალ რეჟიმს აპროტესტებენ.

**8 დეკემბერი.** შპს "მტკვარი-ენერგეტიკის" კუთვნილი მე-9 ენერგობლოკი 20-საათიანი მუშაობის შემდეგ ხელახლა გამორთო. კომპანიის პრესსამსახურის განცხადებით, ბლოკის მუშაობა მართვის სისტემაში მომხდარი ტექნიკური ხარვეზის გამო შეწყდა.

**11 დეკემბერი.** ავარიული (სომხეთის მხარის დაზიანების გამო) გამორთვის შემდეგ ხელახლა მუშაობს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "ალავერდი", რასაც სომხეთიდან იმპორტის შეწყვეტა მოჰყვა;

**11 დეკემბერი.** დაზიანდა "თბილსრესის" მე-4 ტრანსფორმატორი, რომელიც თბილისის ბლოკებს გამომუშავებულ ენერგიას, ასევე, სომხეთიდან შემოსულ ენერგიას თბილისის ქსელებს აწვდის;

**11 დეკემბერი.** ავარიულად გამორთო "საქრუსენერგოს" კუთვნილი, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "იმერეთი", რასაც "სახელმწიფო ელექტროსისტემის" აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად გაყოფა მოჰყვა;

**12 დეკემბერი.** დაზიანდა ენგურჰესის პირველი აგრეგატი, რამაც სამგურის ორი აგრეგატის გამორთვა გამოიწვია;

**13 დეკემბერი.** "თელასის" გენერალურმა დირექტორმა პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას აცნობა, რომ "ელექტროსისტემაში" მომხდარი ავარიების გამო, ვითარება რთულია და თუ საღამოს საათებში "თბილსრესის" ტრანსფორმატორი არ ჩაირთვება, თბილისის ელექტრომომარაგება 60 მეგავატით შეიზღუდება, რაც 2-საათიანი ინტერვალით მოსახლეობის გამორთვას გამოიწვევს;

**13 დეკემბერი.** "სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალურმა დირექტორმა ჯო კორბეტმა პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას აცნობა, რომ ზემოთაღნიშნული ავარიები იმ ქვესადგურებსა და გადამცემ ხაზებზე მოხდა, რომლებსაც "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ვერ აკონტროლებს და, შესაბამისად, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ამას თავიდან ვერ აიცილებდა;

**13 დეკემბერი.** ენერგეტიკის მინისტრმა პრესკონფერენცია გამართა და ენერგოსისტემაში მომუშავე სხვადასხვა სტრუქტურებს მოსთხოვა, რომ მათ ურთიერთგადაბრალების პოლიტიკა შეწყვიტონ და თავიანთი საქმე აკეთონ. საზოგადოებას კი აცნობა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული სამდღიანი კრიზისი დასასრულს მიუახლოვდა: "თბილსრესის" ტრანსფორმატორზე დაწყებული, იდეაში რვადღიანი სარემონტო სამუშაოები დროებით შეჩერდება და ტრანსფორმატორი ჩაირთვება. მისი თქმით, თუ ამ ტრანსფორმატორმა მუშაობა გააგრძელა, თბილისის ელექტრომომარაგება აღარ შეიზღუდება, თუ არადა, დედაქალაქში 40-მეგავატიანი დეფიციტი იქნება. სამ დღეში კი "თბილსრესის" მესამე ენერგობლოკის ჩართვა და "ხრამჰესი 2"-ის სისტემასთან მიერთება იგეგმება, რაც ქვეყანაში გენერაციას 120 მეგავატით გაზრდის.

**14 დეკემბერი.** "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, რომ მუშაობა დაიწყო "თბილსრესის" ტრანსფორმატორმა, რის შედეგადაც დედაქალაქის ელექტრომომარაგება გაუმჯობესდება და თბილსრესის მე-9 ენერგობლოკის გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება გახდება შესაძლებელი. ენერგეტიკოსები აცხადებენ, რომ "თბილსრესის" ავტოტრანსფორმატორი, რომელიც ხუთი დღის წინ დაზიანდა, გამართულია და ენერგობლოკების მიერ გამომუშავებული ენერგია სისტემაში მიეწოდება. ამ ენერგობლოკების ექსპლუატაციაში ჩართვით სისტემა 140-160 მეგავატის სიმძლავრეს მიიღებს.

**15 დეკემბერი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი, წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. როგორც "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, მოხმარებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილად მოდის.

"ელექტროსისტემის" ინფორმაციით, სამშაბათისათვის მოხმარებული 1 475 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიიდან, 410 სომხეთიდან და რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიაა, ხოლო დარჩენილი 1 065 მეგავატი - ადგილობრივი ჰესების და თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული. ჰესების წილი გენერირებულ ელექტროენერგიაში 875 მეგავატია, ხოლო 190 მეგავატი - "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკის.

**16 დეკემბერი.** მინისტრი გილაური განმარტებას აკეთებს ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ამბობს, რომ კოდექსის მიხედვით, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები დამატებული ღირებულების გადასახადს დარიცხულ (მომხმარებლისათვის მიწოდებული) და არა ამოღებულ ელექტროენერგიაზე გადაიხდიან, რაც მათ ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების მოტივაციას მისცემს. ამასთან, გამკაცრებული დაბეგვრის რეჟიმის შესამსუბუქებლად, ენერგოკომპანიები პირველ ეტაპზე სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას მიიღებენ.

**18 დეკემბერი.** საქართველოში ისევ ბნელა. ენერგეტიკოსების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედაქალაქს და რეგიონებს ელექტროენერგია შეზღუდვებით ამჯერად ენგურჰესის მეხუთე აგრეგატის გამორთვის გამო მიეწოდება.

დენი შეზღუდვით მიეწოდებოდა გლდანსა და ნავთლუღსაც. ამის უმთავრესი მიზეზი კი "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და "თელასს" შორის არსებული გაუგებრობა გახდა. როგორც კომპანია "თელასში" განაცხადეს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი მასზე დაკისრებულ ფუნქციას ვერ ასრულებს და რესურსების სწორად განაწილებას ვერ უზრუნველყოფს. მათივე თქმით, საქართველოს ელექტროსისტემამ „თელასს" უკანონოდ შეუზღუდა 30 მეგავატი ელექტროენერგია. გუშინვე, "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებდნენ, რომ კომპანია "თელასი" საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილ ლიმიტებს აჭარბებს, რის გამოც, ცენტრალური სადისპეტჩერო იძულებულია, დედაქალაქის ელექტრომომარაგება შეზღუდოს.

**18 დეკემბერი.** თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასი" ელექტროენერგიის ტარიფის 3,85 თეთრით გაზრდას ითხოვს. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში თბილისისთვის ელექტროენერგიის ტარიფის გადასინჯვის შესახებ საკითხი განიხილეს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

**18 დეკემბერი.** საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ალეკო ხეთაგური იმედოვნებს, რომ აზერბაიჯანი, ირანი და რუსეთი მხარს დაუჭერენ საქართველოს განაცხადს, 11 დეკემბერს თეირანში ამ ქვეყნების მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან მიერთების შესახებ, რომელიც ენერგოქსელების გაერთიანებას და ენერგოსისტემების სინქრონულ და პარალელურ რეჟიმში მუშაობას ითვალისწინებს.

როგორც ხეთაგურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ახალი რეგიონული ენერგოქსელის პროექტთან მიერთება საქართველოს ენერგოსისტემის საიმედოობას გააუმჯობესებს და საქართველოზე ელექტროენერგიის ტრანზიტის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

**20 დეკემბერი.** ენერგოკრიზისი გრძელდება. ექსპლუატაციაში გაშვებიდან მესამე დღეს, "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკმა დატვირთულ მუშაობას ვერ გაუძლო და ავარიულად გამოირთო. "თბილსრესში" ავარიის მიზეზებს ადგენენ. შესაბამისად, უცნობია, როდის გახდება შესაძლებელი ბლოკის ექსპლუატაციაში დაბრუნება.

**22 დეკემბერი.** მომავალი წელი საქართველოს ენერგეტიკისთვის გარდამტეხი იქნება. ამის შესახებ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა. მისი თქმით, ქვეყანაში არსებული ენერგოსიმძლავრეები, გეგმის მიხედვით, 1100 მეგავატიდან 1800 მეგავატამდე უნდა გაიზარდოს. "ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროში სპეციალური პროგრამა მუშავდება, რომლითაც საქართველოს გენერაციის რეაბილიტაციის ეტაპები განისაზღვრება. ზამთრის პერიოდში სიმძლავრე 400-450 მეგავატით გაიზრდება," - აღნიშნა პრემიერმა. მისივე თქმით, მომავალი წლისთვის დაგეგმილია "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ენერგობლოკების რეაბილიტაციაც. საგულისხმოა, რომ "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკების შესყიდვის სურვილი ცოტა ხნის წინ რუსულმა "გაზპრომმაც" გამოთქვა.

**22 დეკემბერი.** სემეკ-ი ჩიხშია. თბილისში დენის ტარიფი, ჯერჯერობით, არ მატულობს და ერთ კილოვატსაათ ენერგიაზე 12.18-თეთრიანი ტარიფი ისევ ძალაში რჩება. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მორიგი სხდომა, სადაც "თელასის" ახალი სატარიფო განაცხადი განიხილებოდა, გაურკვეველი დროით გადაიდო. სხდომაზე სატარიფო განხილვაში ორი მხარე – განმცხადებელი კომპანია და ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე მონაწილეობდა.

**22 დეკემბერი.** სამი დღის წინ ავარიულად გამორთულმა მესამე ენერგობლოკმა მუშაობა განაახლა. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, ბლოკის დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და "თბილსრესის" ადმინისტრაციამ იგი ჩართო.

**23 დეკემბერი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ "თბილსრესის" მეოთხე ტრანსფორმატორის შეკეთება იანვრის პირველივე რიცხვებიდან დაიწყება.

**25 დეკემბერი.** საქართველოს მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებებს "რაო"-სთან საქართველოს ტერიტორიის გავლით ელსადენის მშენებლობისათვის. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ბ-ნმა მიხეილ სააკაშვილმა.

გეგმის მიხედვით ეს ხაზი "კავკასიონი"-ს ხაზზე უფრო ძლიერი იქნება და გამოიყენება რუსული ენერგიის ტრანზიტისათვის, რაც რუსეთისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, საქართველოს შესაძლებლობა ექნება, თავისი ელექტროსისტემა ამუშაოს სხვა ქვეყნებთან პარალელურ რეჟიმში (თურქეთი, სამხრეთ კავკასია, ირანი). ამავე საკითხზე უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქეთის მხარესთან.

**27 დეკემბერი.** საახალწლოდ გილაურს 24-საათიან ენერგომომარაგებას სთხოვენ. როგორც პარლამენტარებმა ბიუროს სხდომაზე აღნიშნეს, საინტერესოა ენერგეტიკის მინისტრის პოზიცია წინასაახალწლო პერიოდში საქართველოს ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით. პარლამენტარ გიორგი ხევიაშვილის მტკიცებით, მთავრობას საქართველოს 24-საათიანი ელექტრომომარაგება შეუძლია, თუმცა ამას არ აკეთებს.

**29 დეკემბერი.** საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების მიმართულებებს მთავრობის ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს. ამის შესახებ პარლამენტის ენერგეტიკის საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ გია ნაცვლიშვილმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფში პარლამენტარები, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები და მეცნიერები შევლენ. ჯგუფი მუშაობას 4 იანვრიდან დაიწყებს და, ნაცვლიშვილის თქმით, საქართველოში ახალი ენერგოობიექტების მშენებლობის მიზანშეწონილობას მეცნიერულ და ეკონომიკურ დონეზე დაასაბუთებს.

**4 იანვარი.** საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგიის მიწოდების საახალწლო 24-საათიანი გრაფიკი დასრულდა. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, 4 იანვრიდან საქართველოში ელექტროენერგია ჩვეული გრაფიკით განაწილდება: დედაქალაქში - შეუზღუდავად, ხოლო რეგიონებში - გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად, საღამოსა და დილის საათებში.

**6 იანვარი.** საშობაოდ საქართველო 24-საათიან ელექტრომომარაგებაზე გადავიდა. როგორც 6 იანვარს გამართულ ბრიფინგზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ყველა რეგიონი ელექტროენერგიას 24 საათის განმავლობაში მიიღებს. ელექტრომომარაგების ასეთი რეჟიმი იქნება ძველით ახალი წლისთვის, 14 იანვრისთვისაც.

**13 იანვარი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მომავალი კვირიდან დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ურჩ გადაუხდელ მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს.

**14 იანვარი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს ელექტროსისტემაში მომხდარი ავარიის გამო გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია საქართველოს რეგიონების 14 იანვრისთვის დაპირებულ 24-საათიან ელექტრომომარაგებას ვერ შეძლებს. ამის მიზეზი გარდაბნის თბოელექტროსადგურის მესამე ენერგობლოკის დაზიანება გახდა, რის გამოც, ელექტროსისტემას 100 მეგავატი ელექტროენერგია დააკლდა.

**16 იანვარი.** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში, 15 იანვრიდან "ენგურჰესმა" მუშაობა შეწყვიტა. ჰიდროელექტროსადგურის გაჩერება ჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემადგენელი ნაწილია და "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციას ისახავს მიზნად.

**17 იანვარი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობები დენს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისგან" მიიღებენ. ამასთან, ხეობების მოსახლეობას საშუალება ექნება, ისარგებლოს ამერიკის მთავრობის დახმარებით, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსებას ითვალისწინებს.

**18 იანვარი.** რუსეთიდან დენის იმპორტი დივერსანტების მიერ "კავკასიონის" დაცხრილვის გამო შეწყდა, რის შედეგადაც ქვეყანას 320 მეგავატი სიმძლავრე დააკლდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ დაზიანება სერიოზული არ ყოფილა. ელექტროენერგიის მოწოდება მალევე აღდგა.

**25 იანვარი.** საქართველო რუსეთიდან დამატებით 100 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. ამის თაობაზე შეთანხმებას მოსკოვში, "რაო ეეს როსიის" სათაო ოფისში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მიაღწია.

დღემდე საქართველოს რუსეთიდან 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" მეშვეობით 335 მეგავატი სიმძლავრის დენი შემოჰქონდა. დამატებითი სიმძლავრე საქართველოს 1 მარტიდან, "ენგურჰესის" რემონტის პერიოდში დასჭირდება, მანამდე კი იმ დეფიციტს შეავსებს, რომელიც "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მესამე ენერგობლოკის გაუმართაობამ განაპირობა. როგორც ენერგეტიკოსები ვარაუდობენ, ბლოკი 10 თებერვლისთვის ამოქმედდება.

**25 იანვარი.** ძლიერი ქარით გამოწვეული ავარიების გამო მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 12 500 აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. როგორც საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში განაცხადეს, ანძების წაქცევის გამო ავარიულად გამოირთო კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის 25 ფიდერი, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება 12 ათას აბონენტს შეუწყდა.

**28 იანვარი.** 13.00 საათზე, თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი, რომელიც "რაოეესის" საკუთრებაა, გაჩერდა. "საქართველოს ელექტროსისტემის" ინფორმაციით, ბლოკის გათიშვით სისტემას 200 მეგავატი ელექტროენერგია დააკლდა. ამის გამო, თბილისის ელექტრომომარაგება შეზღუდული იყო 60 მეგავატით. საღამოს 6 საათისთვის მოხერხდა დედაქალაქის სრული ელექტრომომარაგება. რაც შეეხება რაიონებს, დეფიციტმა 140 მეგავატი ელექტროენერგია შეადგინა. საინტერესოა, რომ მეცხრე ენერგობლოკის გამორთვის მიზეზებთან დაკავშირებით, თავდაპირველად საკმაოდ ბუნდოვანი ინფორმაცია ვრცელდებოდა და თავიდან, ყველა ავარიაზე საუბრობდა, თუმცა საღამოს "თელასი" ბუნებრივი აირის არასაკმარისობაზე ალაპარაკდა.

საღამოს გავრცელებული ინფორმაციით, გარდაბნის თბოელექტროსადგურში მე-9 ენერგობლოკის გამორთვა ბუნებრივი აირის დაბალმა წნევამ განაპირობა.

**28 იანვარი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთ თვეში გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (KFW) საქართველოს ენერგეტიკისთვის 25 მილიონ ევროს გამოყოფს. ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, ამ თანხას ბანკი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქსელის გამრიცხველიანების მოსაწესრიგებლად იძლევა.

**30 იანვარი.** რამდენიმე ენერგოგამანაწილებელი კომპანია ანუ ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები", ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას კანონმდებლობის დარღვევებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს.

**30 იანვარი.** საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული პრობლემები, რომელიც მე-9 ენერგებლოკის გამორთვასა და მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზ "კავკასიონზე" მომხდარ ავარიასთან იყო დაკავშირებული, უკვე მოგვარებულია. მე-9 ენერგობლოკი 29 იანვარს, გვიან ღამით ჩაირთო, "კავკასიონზე" მცირე შეფერხების შემდეგ კი, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტიც აღდგა.

**31 იანვარი.** ვრცელდება ინფორმაცია, რომ ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, თბილისში არსებულ რამდენიმე სახელმწიფო უწყებას და უმაღლეს სასწავლებელს ელექტროენერგიის მიწოდება ორშაბათს საღამოდან შეუწყდება. როგორც "თელასში" აცხადებენ, მიმდინარე დავალიანების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებათ თავდაცვის (დავალიანება 110 ათასი ლარი) და იუსტიციის (100 ათასი ლარი) სამინისტროებს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს (50 ათასი ლარი), თბილისის შს სამმართველოს (57 ათასი ლარი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (33 ათასი ლარი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (50 ათასი ლარი).

როგორც "თელასში" აცხადებენ, საერთო ჯამში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმდინარე დავალიანება 1,5 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ძველი დავალიანებების ჩათვლით, ეს ციფრი 6 მლნ ლარს აღწევს.

**1 თებერვალი.** ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დატაცება დღეიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაისჯება. გუშინ ძალაში შევიდა კანონი "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ," რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულია ჯარიმები ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის დატაცების ფაქტებზე. კერძოდ, 600 ლარით დაჯარიმდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის დატაცებაში პირველად იქნებიან მხილებულები, იურიდიული პირებისათვის კი ჯარიმა 5000 ლარი იქნება. ფიზიკური პირების მიერ განმეორებით ჩადენილი ანალოგიური ქმედებისთვის ჯარიმა 1200 ლარამდე იზრდება, ხოლო იურიდიული პირები 15.000 ათასი ლარით დაჯარიმდებიან. ცვლილებების მიხედვით, ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეძლევა უფლება, ლიცენზიანტის ან პირდაპირი მომხმარებლის მხრიდან კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციები გამოიყენოს. აღნიშნული ჯარიმის ოდენობა 5000 ლარით განისაზღვრა.

**4 თებერვალი.** "თელასში" აცხადებენ, რომ დენის მიწოდება ყველა იმ საბიუჯეტო ორგანიზაციას აღუდგა, რომლებმაც დეკემბრის თვის დავალიანება არ გადაიხადეს და, შედეგად, ამ რამდენიმე დღის წინ ელექტრომომარაგება შეუწყდათ.

Search:
GEORGIA



# კარნავალი ცეკვით, ტალახით, ლუდით



# წავაგეთ!



B2 B3 B5





# მომავალ ორშაბათამდე!

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

მწუხარება ძალიან ზოგადი სიტყვაა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ის, რასაც ალბათ მწუხარებას დავარქმევდი, უკიდურესი გაურკვევლობით გამოიხატებოდა. ამ გაურკვევლობას თან არ ახლდა რაიმე დადებითი გამამხნევებელი რესურსი, რომელსაც თავისთავად შეიცავს ხოლმე ყოველგვარი ტკივილი. მარცხი აშკარა იყო, მაგრამ შეუფასებელი, გაუზომელი, გაუცნობიერებელი.

საოცარია, რომ თავიდანვე ვგრძნობდი საგანთა, მოვლენათა, ღირებულებათა გუშინდელი, ერთი საათის, ერთი წუთის წინანდელი წესრიგის უვარგისობას, გამოუსადეგრობას ახალ ცუდ (რამდენად ცუდ?!) პირობებში. ასეთ დროს ყოველთვის ეჭიდები ადამიანის ხმას და როცა ტელევიზია, რადიო ან ინტერნეტი ვერაფერს გთავაზობს, ერთმანეთის მიყოლებით რეკავ ნაცნობებთან და პასუხობ სხვის ზარებს, ყოველ ნახევარ საათში ამოწმებ ელექტრონულ ფოსტას. კარგა ხნის განმავლობაში ვერაფერს ვპოულობდი.

გონებაში მოულოდნელად აღმართულ პიტალო კედელს ფეხის მოსაკიდებელი პირველი ნაწიბურები მაშინ გაუჩნდა, როცა მეგობრებისგან ორი სიტყვა გავიგონე, უფრო სწორად, ორი წინადადება. ერთი დასკვნა იყო და ერთიც შეკითხვა. ჯერ სინანულით მითხრეს: **"ამათში ჩვენი წრის კაცი აღარავინ დარჩა"**. მერე კი შეკითხვა დამისვეს: **"რატომ აღმოაჩინა უცებ ძალიან ბევრმა ადამიანმა თავის თავში, რომ ჟვანია მაგარი კაი ტიპი იყო?"**.

მომდევნო საათებში ამ სიტყვებმა ნელ-ნელა დაიწყო განივთება და ბოლოს გამჭვირვალე სიცხადედ იქცა. აი, პარასკევს, 4 თებერვალს, შარტავას ქუჩაზე, სადარბაზოს წინ ჩემ თვალწინ ერთმანეთი გადაკოცნეს მიხეილ მაჭავარიანმა და ვიტალი ხაზარაძემ. ერთიც და მეორეც მაშინვე გაუცხოვდა მათი იმ ადგილას შეხვედრის მიზეზისგან და მე კი მივხვდი, რასაც ნიშნავდა "ჩვენი წრის კაცი", რადგან ირგვლივ უფრო მეტი სხვა, ნაცნობი და ახლობელი სახე დავინახე — სახეები, რომლებიც იმ წუთში არ იქნებოდნენ ასე ახლობელი, რომლებიც საერთოდ არ იქნებოდნენ იქ, რომ არა გარდაცვლილის ვინაობა. რომელი პოლიტიკოსის პანაშვიდზე შეიძლება არ მეგრძნო თავი უცხოდ და ზედმეტად?

მაშინვე გაჩნდა პასუხი მეორე მეგობრის შეკითხვაზე: მივხვდი, რომ სწორედ ზურაბ ჟვანიას პიროვნება, მისი არსებობა მაძლევდა საშუალებას, მსუბუქი და თითქოს უდარდელი პაროდიის ელფერი მიმეცა ხელისუფლების მიმართ იმ კრიტიკული შენიშვნებისთვის, რომლებიც ხშირად ჩნდებოდა ჩემს პუბლიკაციებში. სადღაც, გულის სიღრმეში, ვგრძნობდი, რომ ჩვენს მმართველ წრეებში ბოლო დროს მოძალებული გროტესკულობა ჟვანიას ფილტრს გაივლიდა და სამარცხვინო წყლულად არ დააჩნდებოდა ქვეყანას.

განა ყველაფრის მოარული ახსნა — "ჟვანიას ინტრიგები" — იმას არ ნიშნავდა, რომ ქვეცნობიერად ყველა დარწმუნებული იყო: ამ კაცს პროცესთა მართვის სწორუპოვარი უნარი ჰქონდა? განა ამავე არ ნიშნავდა, რომ ჩემი პირადი გაღიზიანება საქართველოს ხელისუფლების ამა თუ იმ ნაბიჯით სწორედ ზურაბ ჟვანიაში პოულობდა თავის ადრესატს? მაგრამ ყოველთვის სათანადოდ ვერ გამოიხატებოდა, რადგან, თუმცა ჟვანიას კრიტიკა უფრო მსურდა, ვიდრე სააკაშვილისა, გაცილებით მეტი ფიქრი მჭირდებოდა ამისთვის.

ბოლო დღეებში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ნიჭიერებაზე. სწორედ ეს ნიჭიერება იქცა მისი სიკვდილის აუცილებელ და საკმარის მოტივად. არ მითქვამს მკვლელობის-მეთქი — მე მხოლოდ სიკვდილის მოტივი ვახსენე, რადგან არ ვიზიარებ ლევან ბერძენიშვილის დაჟინებულ მტკიცებას, თითქოს სინამდვილე არასოდესაა დამაჯერებელი. ადამიანურ მოვლენებს ყოველთვის აქვს საზრისი, სიკვდილზე ადამიანური მოვლენა კი მართლაც არ მეგულება. ამას ნერონიც და სენეკაც ერთნაირად დაეთანხმებოდნენ, თუმცა სრულიად სხვადასხვანაირად დაიხოცნენ. ამას ირიბად ის რუსი ჟურნალისტიც ეთანხმება, რომელიც ინტერნეტსაიტზე gazeta.ru შემდეგ წინადადებას აქვეყნებს: "допустим, однако, что Жваниа действительно так глупо погиб". ღვარძლიანი რუსი ჟურნალისტის შემდგომი მსჯელობა არ მაინტერესებს, მაგრამ ისიც კი არ იჯერებს იმას, რომ სიტყვები "Жваниа" და "глупо" ერთმანეთის სიახლოვეს მისაღები და შესაძლებელია, ისიც მთელი თავისი ღვარძლის მიუხედავად უხალისოდ აახლოვებს მათ, მასაც ამ დაუჯერებელი დაახლოებისთვის ერთი კი არა, სამი ადვოკატი სჭირდება: "допустим", "однако" და "действительно". იქნებ ღირდეს ბრწყინვალე პოლიტიკოსის სიკვდილში არა მხოლოდ აზრი, არამედ, მაპატიეთ ბანალობისთვის, მწარე გაკვეთილი დავინახოთ?..

ეს გაკვეთილი უნდა მოვთხოვოთ კიდეც მის სიკვდილს და ამით პატივი მოვაგოთ წასული ადამიანის წვლილს გარემომცველ სინამდვილეში, გავახანგრძლივოთ მისი მონაწილეობა ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ გამოჩნდება ამ სიკვდილის ფაქიზი ირონია, რომელიც გაცილებით უფრო მაღლა აიყვანს მას, ვიდრე პომპეზური რიტუალი და უფრო მკაფიოდ განაცხადებს მის სიმწარეს, ვიდრე მარინა მოლოდინის წყალწყალა ცრემლები.

ირონია კი მართლაც აქვეა...

საუკუნეზე მეტი ხანია მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ფიზიოლოგმა, ჯონ სკოტ ჰალდეინმა პირველად შეისწავლა ადამიანის ორგანიზმზე კარბონიუმის მონოქსიდის, ანუ მხუთავი გაზის გავლენა და მის წინააღმდეგ შესაძლო ზომებიც დაადგინა. 1896 წელს გამოქვეყნებულმა მისმა ნაშრომმა მრავალი ინგლისელი მაღაროელი გადაარჩინა გაგუდვას. ამ ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სუნთქვის შედეგად სისხლთან ურთიერთქმედებისას მხუთავი გაზი წარმოქმნის კარბოქსიჰემოგლობინს, რის შედეგად სისხლის წითელი სხეულები ველარ ახდენს ქსოვილებში ჟანგბადის ტრანსპორტირებას; როცა კარბოქსიჰემოგლობინის კონცენტრაცია 40 პროცენტს აღწევს, ანუ ჟანგბადის მისაწოდებლად სისხლის მხოლოდ 60 პროცენტი რჩება ვარგისი, სუბიექტს შეენიშნება თავბრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება და მსჯელობის უნარის დაქვეითება. ადამიანის გადასარჩენად საჭიროა, მივაწოდოთ მას სუფთა ჟანგბადი, სანამ კარბოქსიჰემოგლობინის შემცველობა 20 პროცენტს ქვემოთ არ დაიწევს.

უკვე 109 წელია, რაც ეს ყველაფერი ცნობილია. მაშ, რის საფუძველზე განაცხადა ექსპერტმა თანდილაშვილმა პირველ დღეს, რომ სისხლში კარბოქსიჰემოგლობინის 20 პროცენტი ლეტალური კონცენტრაციაა? რატომ გადაიქცა "სხეულებზე აღმოჩენილი დამახასიათებელი ლაქები" მეორე დღისთვის "გვამების დამახასიათებელ ვარდისფერ ფერად"? რამ იმოქმედა ექსპერტიზის შედეგებზე, შემდგომმა დეტალურმა გამოკვლევამ, თუ ქ-6 ნიკოლეიშვილის სატელევიზიო გამოსვლამ 3 თებერვლის საღამოს?

სასამართლო მედიცინის ექსპერტები, საერთოდ, ძალზე დაბნეულები ჩანდნენ პირველ დღეს. სადღაც ეჩქარებოდათ, ხმა უკანკალებდათ. მათგან განსხვავებით საბურთალოს ქუჩის 53-ე სახლის მცხოვრებნი იშვიათი ხალისით იძლეოდნენ ჩვენებებს. დილის ოთხ საათზე საავადმყოფოდან სახლში მანქანით მომავალი ქალბატონი ისე ირწმუნებოდა, რომ ერთი ცოცხალი არსებაც არ შეუმჩნევია ქუჩაში, თითქოს იმ საბედისწერო ღამეს არც დაღლილი ყოფილა, არც ეძინებოდა და სულ გაფაციცებით აცქერდებოდა ჩაბნელებულ გარემოს, რაიმე არ გამომეპაროს და ხვალ დილით გამომძიებლებთან და რეპორტიორებთან თავი არ შევირცხვინოო.

ედუარდ შევარდნაძე პირველსავე დღეს თავს დებდა მოსაჭრელად, ტერორისტული აქტი არავის გეგონოთ, ჩემს გამოცდილებას დაუჯერეთ, მაგას თვეობით სჭირდება მომზადებაო. იმასვე ამტკიცებდა ვანო მერაბიშვილი პირველივე ოფიციალური განცხადებისას.

CNN-ის წამყვანი კი თავისივე კომპანიის მოსკოველ კორესპონდენტთან პირდაპირ ეთერში აზუსტებდა, მართლა შესაძლებელია თუ არა, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გაზით გაიგუდოს. ყბადაღებული "ჟვანიას გუნდის" წევრებს კი არაფერი უკვირთ, ისინი არაფერს მოითხოვენ. არსებობენ კი?

ბევრი რამ გამომრჩა, იქნებ, ჩამოთვლილზე უფრო თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი, მაგრამ განა ეს ყველაფერი არ კმარა იმის საჩვენებლად, რომ ნიჭიერი პოლიტიკოსის ცხოვრება ამგვარ გარემოში გაცილებით ნაკლებად ადეკვატურია, ვიდრე მისი აბსურდული სიკვდილი?

ნუ ვამტკიცებთ, რომ ვისაც უნდოდა ჟვანიას სიკვდილი, მას არ შეეძლო მისი მოკვლა, შემძლეს კი — არ უნდოდა. ასეთი რიტორიკული კონსტრუქცია ძალიან ეფექტურია, მაგრამ არა მგონია, რეალურად ხორციელდებოდეს რომელიმე მეტ-ნაკლებად წარმატებული პოლიტიკოსის შემთხვევაში. მით უმეტეს, რომ რუსეთი ძვირს გადაიხდის, რათა ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდეს იმათ თავიდან, ვისაც თვითონვე "ქართველ ძერებსა" და "ომის პარტიის" წევრებს უწოდებს, რადგან სწორედ მათი იმედი აქვს სანატრელი კონფლიქტების უსასრულოდ გაგრძელებაში.

ზურაბ ჟვანიას სიცოცხლე რომ საფრთხეში იყო, სამწუხაროდ, ძალიან გვიან გამჟღავნდა და ამის დამადასტურებელი საბუთი თვით მის სიკვდილზე მეტად საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები იყო, როცა გარდაცვლილ პრემიერ-მინისტრს თავისი ყველაზე დიდი მოკავშირე უწოდა. მხოლოდ ამიტომ იყო მკვლელობა სასურველი მათთვისაც, ვისაც მისი განხორციელება შეეძლო: იმ მომენტში, როცა ადამიანის სამსახურში ჩამდგარი კონვენციონალიზმი დაუზარებლად გვთავაზობს ხოლმე მზა-მზარეულ ფრაზებს, ქვეყნის პრეზიდენტმა ჭეშმარიტება წარმოთქვა. შეამჩნია კი თვითონ? თუ მოკავშირის სახელს კვლავაც ისინი დაიმკვიდრებენ საქართველოში, ვისაც წამდაუწუმ კოჭის გაგორება ან შესაბამის მომენტში ფაქტის წინაშე დაყენება ეხერხება?

რა გველის მომავალში? როგორც ეტყობა, დიდი საკადრო ცვლილებები და ის, რასაც ჟურნალისტები "ძალთა გადანაწილებას" უწოდებენ. მერე და რა? — არც არაფერი. ბევრს არც უნდა ელოდე ქვეყნისგან, სადაც თუნდაც ძალიან ნიჭიერი, მაგრამ დედით სომეხი მამულიშვილი დიდი პატრიოტის სახელს მხოლოდ მას შემდეგ თუ დაიმკვიდრებს, რაც, ვანო მერაბიშვილისა არ იყოს, "გარდაცვალების მდგომარეობაში" მყოფი პროზექტურის მაგიდაზე აღმოჩნდება.



ნესტან კვინიკაძის სვეტი

## Search: GEORGIA



თვალზე სპეციფიკური ელფერი ედებათ ხოლმე, ხმის ტემბრი გულისამაჩუყებელი ხდება; ძირითადად სოფლის ბავშვებს უხდიან მადლობას - კილომეტრებს რომ გადიან სკოლაში მისასვლელად. მადლობა სევდამისჯილი ქვეყნების მოსახლეობას! მერე ყვებიან, რომ 1979 წლიდან ელ სალვადორში სამოქალაქო ომის გამო, ყოველ ოც წუთში თითო კაცი ლტოლვილი ხდება... ყვებიან ასევე, რომ მილიონმა კაცმა, ანუ მოსახლეობის ათმა პროცენტმა მიატოვა ჩილე... რომ მთელი ქვეყანა გადავიდა იმათ მხარეზე, ვინც ყოველთვის მზად არის ცხოვრებისაგან მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნება მიიღოს... და "ჩვენ, ზღაპრების გამომგონებლებმა, ვისაც ყველაფრის დაჯერება შეგვიძლია, უნდა დავიჯეროთ, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან".

ასეთი განწყობისაა ნობელიანტი მწერლების ლექციები, - თითქოს სტილია დაცული, აქ ისინი ძალიან ჰგვანან ხოლმე ერთმანეთს, მაშინ როცა კნუტ ჰამსუნით დაწყებული, ტომას სტერნზ ელიოტითა თუ ელფრიდე იელინეკით დამთავრებული, ყველა თავის ინდივიდუალურ ქვას დებდა იმ ბასტიონის ასაშენებლად, რასაც არა მხოლოდ ლიტერატურა ეყრდნობოდა ხოლმე. ეს, გნებავთ, თამაში, პირდაპირ კავშირში მოდის იდეოლოგიასთან, ტენდენციებთან თუ პოლიტიკურ დინებასთან.

ნობელის პრემია, როგორც ყურადღების მიქცევის საუკეთესო საშუალება.

1901 წლიდან მოყოლებული ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში ასამდე მწერალს აქვს მიღებული. მთელი ამ ხნის მანძილზე, საზეიმო ცერემონიას, გასაგები მიზეზების გამო არ დასწრებია რამდენიმე მათგანი: ზოგისთვის სიკვდილის წინა პერიოდი იყო და გადაადგილება წარმოუდგენელი გახლდათ, სხვები კი პომპეზური სანახაობის მთავარ მოქმედ გმირად ყოფნაზე ამბობდნენ უარს. მაგრამ ისეთი შემთხვევაც იყო, მართალია მხოლოდ ორი, როდესაც მწერლებმა ჯილდოს მიღებაზე თქვეს უარი: ეს იყო ბორის პასტერნაკი - 1958 წელი და სულ რაღაც ექვსი წლის შემდეგ ნობელის პრემიაზე უარი ჟან-პოლ სარტრმა განაცხადა.

ამით პრემიის პრესტიჟულობა სულაც არ შელახულა, რადგან ისინი ორნი იყვნენ, მეორე მხარეს კი მილიარდამდე დასახელების ქალაქი, დასახლებული პუნქტი და პროვინცია ითხოვდა ყურადღების ცენტრში მოხვედრას.

და როდესაც ინტერნეტის საშუალებით, წლევანდელ ნომინანტებზე "გაისმა ბრძანება" - SEARCH, კომპიუტერების მონიტორებზე გაჩნდა ერთი უცნაური სახელწოდება - საქართველო და არა მხოლოდ "ლიტერატურული საქართველო", მას თავისივე ქვეყნის "მშვიდობა" გაუწევს კონკურენციას.

იქ უთუოდ გაჩნდა კითხვა - სად არის საქართველო, როგორი ქვეყანააო? პასუხი კი ასეთი იყო,- უკვე წაკითხული სამადლობელი ლექციის მსგავსი:

ეს ის მიწაა, საიდანაც იაზონმა გაიტაცა ოქროს საწმისი, როგორც მისტერიალური ცოდნის სიმბოლო; საქართველო - სათავგადასავლო ფათერაკების, თვითდაჯერებულობის და იმედით მოსილების სამფლობელო. ორბელიანების; წერეთლების; გრუზინსკების; დადიანების; მუხრანელების ქვეყანა.

იცით, იქ მატარებელი დიდხანს მიქრის ზედ ზღვის ნაპირას. ეს იდეალური რასაა, თუმცა მათ ძარღვებში უცხოური სისხლიც ბლომად ურევია. ისეთი ამაყი და რაინდული გამოხედვა აქვთ! და სიმღერა? შორეულ წარსულში ხრინწიანი, ბობოქარი ხმით ნათქვამი პირველი შემოძახილი, უთუოდ ცეცხლთაყვანისმცემელთა საკურთხეველთან აჟღერდა. და სახელები... წარმართული სახელების სამფლობელოა ნამდვილი.

ქართველები გულმოკლულნი ტოვებენ თავიანთ ქვეყანას და ძნელად ჰგუობენ უცხოურ ზნე-ჩვეულებებს.

როცა, თქვენ ტიბრის ნაპირებზე შიშისაგან კანკალებდით, ისინი მცირე აზიაში ებრძოდნენ მუსლიმანებს და ბაგრატიონების გაშლილი დროშები შეჰქონდათ იერუსალიმში... ღვინის და სიყვარულის, თვალწარმტაცი ქალბატონების ქვეყანა, - სავსე იმით, რაც ჩვენ ასე გვაკლია, - სავარაუდოდ ასე გამოიყურება მშვიდობის პოტენციური ნომინანტი ქვეყანა.

მეორე მხარეს კი დგას დიდი ხნის შემდეგ შემჩნეული, "არარსებული ქვეყნის ორმოცსაუკუნოვანი საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი". ამ შემთხვევაში შესაძლებელია, შიგ ორიგინალში ამოვიკითხოთ გულისთქმა:

"არეულსა და დასაღუპად განწირულ ქვეყანაში, ყველაფერი უნდა დამალოს კაცმა: სულიც, ნიჭიც, სიცოცხლეც... რაც არ უნდა ძნელი დასამალი იყოს, მაინც უნდა დამალოს და გამოიზოგოს, როგორც გრძელი გზის მგზავრმა პური, გამოცდილმა მეომარმა თოფის წამალი; ღვინის ყადრის მცოდნემ ღვინო, რადგან მეორე კაცისთვის სწორედ ისაა ყველაზე ძნელი ასატანი და, ამავე დროს, ადვილი მოსასპობი, რაც შენთვის უხვად მოუცია ღმერთს". ("რკინის თეატრი" ო.ჭილაძე).

შვედურ აკადემიას არ უყვარს სკანდალები. ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი მითქმა მოთქმისაგან სტილისტური კლასიკურობით იძვრენს ხოლმე თავს. ასეა თუ ისე, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ 2005 წლის ნომინანტობა მშვიდობისა და ლიტერატურის დარგში ერთსა და იმავე ქვეყანას არგუნონ. მაგრამ ქალური ინტუიცია, რომელსაც დედურთან აიგივებენ და მხოლოდ ამიტომ უხრიან ქედს, მეუბნება, რომ რომელიღაცა აუცილებლად წარმოაჩენს თავს.

ამას რომელი ინტუიცია მეუბნება უკვე აღარ ვიცი, მაგრამ მჯერა: ერთი ბედნიერებას მოგვიტანს, მეორე - მწუხარებას. არჩევანის გაკეთება ჩვენ აღარ შეგვიძლია, და თუ რომელს ვგულისხმობ "ერთში", და პირიქით, რომელს "მეორეში" თავად გადაწყვიტეთ.

ისე, თქვენც ხომ გაქვთ ვერსია? თუ თქვენც იმათ მხარეს გადახვედით, ყოველთვის მზად რომ არიან, ცხოვრებისაგან მხოლოდ სიამოვნება მიიღონ?!

# ოსკაროსანი ცხვირები

ოსკარამდე 19 დღით ადრე

ირაკლი მახარაძე

იაპონელი კლასიკოსის აკუტაგავას მოთხრობაში "ცხვირი" მოთხრობილია გრძელცხვირა ბერი ზენტის შესახებ, რომელიც ყველანაირად ცდილობდა დაემოკლებინა საკუთარი ცხვირი, რაც ბოლოს შეძლო კიდევაც. თუმცა, შემდეგ ცხვირი ისევ პირვანდელ სიგრძეს დაუბრუნდა. იაპონელი ბერისგან განსხვავებით ჰოლივუდში დიდი, გრძელი, კარტოფილა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ცხვირი შეიძლება წარმატების, პოპულარობისა და შემოსავლის წყაროდ იქცეს. ამაში გვარწმუნებენ ის მსახიობები, რომლებიც ოსკარის მისაღებად ყველანაირ ხრიკებს მიმართავდნენ (და განაგრძობენ ამის კეთებას) რათა მამა-პაპათაგან მოცემული ყნოსვის ამ ორგანოს რამენაირად სახე შეეუცვალონ (უმეტესწილად ეკრანზე) და ამით დაიპყრონ არა მარტო მაყურებელთა, არამედ აკადემიის წევრთა გულებიც.



ბარბრა სტრეიზანდი

სტივენ დოლდრის ფილმში "საათები" ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლია შეკრებილი, მაგრამ ოსკარი მხოლოდ სახეგადაკეთებულ ნიქოლ ქიდმენს ხვდა წილად. ქიდმენს გრიმიორებმა იმდენად შეუცვალეს გარეგნობა, რომ კულუარებში ხუმრობდნენ: აკადემიკოსებმა მსახიობი ვერც კი იცნეს და ისე მიანიჭეს ჯილდოო. ამ მშვენიერ ქალბატონს ცხვირი ისე უბადლოდ ჰქონდა გაკეთებული, რომ თვით მის პროტოტიპს, ვირჯინია ვულფსაც კი შეშურდებოდა. სპეცეფექტების ოსტატი სთენ უინსთონი, რომელსაც ბევრი ცხვირი აქვს ნაკეთები და ამ საქმის ნაღდი პროფესიონალია (მის ხელს ეკუთვნის მაიქლ ჯექსონის ცხვირი ფილმში "ჯადოქარი", აგრეთვე მან გადააქცია როდ სთაიგერი 30-40 წლების პოპულარულ კომიკოსად W.C. ფილდსად, ფილმში "W.C. ფილდსი და მე" და მრავალი სხვა). იგი აცხადებს, რომ ახალი ცხვირი აძლევს მსახიობს ახალი მწვერვალების დაპყრობის შანსს. ასეა ეს თუ არა, ამას ოსკარის ისტორიის ზერელე გადახედვაც კი გვიჩვენებს.

პირველი გრძელცხვირა, ვინც ოსკარი მოიპოვა იყო ხოსე ფერერი. იგი ცნობილია როგორც ბრწყინვალე პროფესიონალი. მისი პირველი ცოლი თეატრალური მსახიობი უთა ჰაგენი გახლდათ, ხოლო მესამე კი ჯორჯ ქლუნის დეიდა მომღერალი როზმარი ქლუნი. ფერერმა ოსკარი მიიღო 1950 წელს სირანო დე ბერჟერაკის როლისათვის ამავე სახელწოდების ფილმიდან. აკადემიის უმაღლესმა ჯილდომ მას პოპულარობა მოუტანა, მაგრამ ამის შემდეგ მსახიობს არაფერი მნიშვნელოვანი არ შეუქმნია. იმასაც ამბობენ, რომ ფერერს ყველანაირად ხელს უშლიდნენ, რადგან მან საყოველთაო წითელი საფრთხის პერიოდში, შემოკლებით მაკკარტიზმის ხანას რომ ეძახიან, უარი განაცხადა ეთანამშრომლა და "ჩაეშვა" თავისი ახლობლები. ხოსე ფერერი ჩვენთვის იმიტომაც არის საყურადღებო ფიგურა, რომ მან ამერიკაში ემიგრირებული გიორგი პაპაშვილის ბესთსელერის მიხედვით დადგმულ ფილმში "ყველაფერი შეიძლება მოხდეს" (1952 წ.) შექმნა ქართველი ემიგრანტის სახე.

ორმოცი წლის შემდეგ სირანო დე ბერჟერაკის როლი ითამაშა ჟერარ დეპარდიემ. თუმცა, იგი საკუთარი ცხვირის ზომებს არასოდეს უჩიოდა, მაგრამ უფრო მოზრდილი ცხვირის გაკეთებაზეც დათანხმდა. სირანო დე ბერჟერაკის როლისთვის იგი ოსკარზე იყო წარდგენილი. ამ ფილმის შემდეგ ევროპაში სახელგანთქმული ფრანგი ჰოლივუდში და შესაბამისად, მთელს მსოფლიოშიც აღიარეს.

1965 წელს ამერიკული კინოს "მაჩო" ლი მარვინი ცხვირმა, უფრო სწორად ცხვირის უქონლობამ სუპერვარსკვლავების რანგში აიყვანა. კომედიურ ვესთერნში "ქეთ ბალუ" მან შეასრულა ტყუპი ძმების როლი, ლოთისა და მისი ბოროტი ორეულისა, რომელსაც ცხვირი ჩხუბში მოაჭამეს და ამის გამო იგი რკინის ცხვირს ატარებდა. მარვინი არც კი ოცნებობდა ჯილდოს მოპოვებაზე. მისი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე იყო როდ სთაიგერი, რომელიც ცერემონიალზე მის უკან იჯდა. მარვინი სთაიგერს მიუტრიალდა და უთხრა: "იცი, შენ წინ რატომ დამსვეს? როცა შენ სახელს დაასახელებენ, მე ფეხს დაგიდებ და შენ გასიებულ უკანალზე მოჯდები". ყველასთვის მოულოდნელად გამარჯვებულად მარვინი დაასახელეს. როგორც თვითმხილველები იუწყებიან, ამის გაგონებაზე სთაიგერი კინაღამ დაიხრჩო. სცენაზე ასულმა მარვინმა კი თქვა: "ჩემი კარიერისათვის მე ძალიან ბევრ ადამიანს უნდა გადავუხადო მადლობა. ვფიქრობ, რომ ოსკარის ნახევარი ნაღდად ჩემს პარტნიორ ცხენსაც ეკუთვნის."

1974 წლის ოსკარზე ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ჯეკ ნიქოლსონი გახლდათ "ჩინურ კვარტალში" განსახიერებული როლისთვის. ერთ ეპიზოდში ფილმის რეჟისორი რომან პოლანსკი ნიქოლსონის გმირს დანით ლამის მთელ ცხვირს წააცლის, ამიტომ ფილმის მეორე ნაწილში ნიქოლსონი გადახვეული ცხვირით თამაშობს. ბევრი ზუსტად მას უწინასწარმეტყველებდა ოსკარს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჯილდო ერგო ართ ქარნის, მიუხედავად იმისა რომ სხვა ნომინანტთა შორის იყვნენ ალბერტ ფინი, დასთინ ჰოფმანი და ალ პაჩინო. იმ წელს მანდილოსანთა შორის გაიმარჯვა ელენ ბერსთინმა, რომელმაც საკუთარი ცხვირით შესანიშნავად ითამაშა დრამაში "ალისა აქ აღარ ცხოვრობს". ცერემონიალზე ბერნსთინი ვერ გამოცხადდა, ამიტომ მის მაგივრად ჯილდო ფილმის რეჟისორმა მართინ სქორსეზემ აიღო. ეს ყველაზე ახლო შეხება იყო ოსკარის ფიგურასთან ამ ბრწყინვალე, მაგრამ ჯილდოებში ხელმოცარული რეჟისორისა. წელს სქორსეზეს შეიძლება გაუმართლოს, თუმცა პირადად მე ქლინთ ისთვუდს ვქომაგობ.

1980 წელს ორი დიდი მსახიობი ეპაექრებოდა ერთმანეთს, ორივე რეალურად არსებული პიროვნებების განსახიერებისათვის: პირველი იყო ჯონ ჰერთი დეივიდ ლინჩის ფილმიდან "ადამიანი სპილო". მას ისეთი გრიმი ჰქონდა დადებული სახეზე რომ ვერ გაარჩევდი, სად იყო ჰერთი და სად სპილო, მეორე კი რობერთ დე ნირო მართინ სქორსეზეს "მძვინვარე ხარიდან", სადაც მსახიობმა აჩვენა ნატურალისტური კინოთამაშის უბადლო მაგალითი და შექმნა კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და ძლიერი პერსონაჟი, რეალურად არსებული მოკრივე ჯეიკ ლამოტა. დე ნირომ გაიმარჯვა, ამისთვის მას არა მარტო ცხვირის ფორმის შეცვლა, არამედ გასუქებაც მოუხდა - დე ნირომ თითქმის ოც კილოგრამზე მეტი მოიმატა. მსახიობი ამბობდა: "ბევრი ჩემი ახლობელი ვერც კი მცნობდა... საკვირველია, მაგრამ ბევრ ქალს ასეთი მსუქანი მოვწონდი, მათ სათამაშო დათვს ვაგონებდი". ამ როლმა მას მეორე დამსახურებული ოსკარი მოუტანა. ოსკარის მიღებისას მსახიობმა მადლობა გადაუხადა უკლებლივ ყველა ნათესავს, ახლო თუ შორეულ წინაპარს, ამის გარდა ლამოტას ძმას ჯოის. ეს უკანასკნელი ფილმის შემქმნელებს სასამართლოში უჩიოდა მისი სახის არასახარბიელოდ ჩვენებისათვის.

ოსკაროსან ცხვიროსნებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც გრიმიორის ხელი არ მიჰკარებია და ამაში წვლილი მხოლოდ ბუნებას მიუძღვის. 1951-54 წლებში კარლ მოლდენმა, რომლის ცხვირს ელექტრონათურასაც ადარებენ ხოლმე, ორჯერ აიღო ოსკარი. 1969 წელს უილიამ უაილერის "სასაცილო გოგონამ" დებიუტანტი ბარბრა სთრეიზანდი ვარსკვლავად გახადა და მისი პირველივე ნამუშევარი კინოში ოსკარით აღინიშნა. აკადემიის უმაღლესი ჯილდო 26 წლის ბარბრამ გაინაწილა კინოს ლეგენდა ქეთრინ ჰეფბერნთან ერთად, ასეთი რამ მეორედ მოხდა ოსკარის ისტორიაში, პირველად ეს იყო 1932 წელს, როცა ფრედერიქ მარჩმა და უოლეს ბირიმ მამაკაცის საუკეთესო როლებისთვის ერთდროულად მიიღეს ოქროს ქანდაკება. მშვენიერი ამერიკული ვარდი მშვენიერი ამერიკული ცხვირით, ასე ეძახიან ბარბრა სთრეიზანდს. სხვა ცნობილი მსახიობებისაგან განსხვავებით იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო საკუთარი გარეგნობის შეცვლისა. ერთხელ ლონდონში ყოფნისას სოფი ლორენმა მას უთხრა, "ყველაფერს მივცემდი თქვენნაირი ხმა რომ მქონოდა". სთრეიზანდმა კი უპასუხა: "მე თქვენნაირი გარეგნობა რომ მქონოდა, საერთოდ ხმის ამოღებაც არ დამჭირდებოდა".

ცხვიროსანი ოსკაროსნების სია ამით არ დამთავრებულა და ალბათ მომავალშიც გაიზრდება. სამწუხაროა, რომ ქართველებიდან ვერავინ მიაღწია ჰოლივუდამდე, თორემ ყველანაირი გრიმისა და კინოხრიკების გარეშეც ჩვენებურ ცხვირებს არანაირი კონკურენცია არ ექნებოდა.



ხოსე ფერერი



ჯეკ ნიკოლსონი



ლი მარვინი




ნიკოლ კიდმანიზ

# კარნავალი ცეკვით, ტალახით, ლუდით





ბრაზილიას ისეთი კულტურის მინისტრი ჰყავს, თან რომ პოპ-ვარსკვლავიც არის. ამიტომ ჟილბერტო ჟილს არასდროს უჭირს ხოლმე მინისტრისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დავიწყება. წელსაც ის თეთრებში გამოეწყო, თმები ათობით წვრილ ნაწნავად დაიწნა და მეკარნავალეებისურიცხვ ამალას მხიარული ყიჟინით გაუძღვა წინ.

კარნავალი მისი თაოსნობით ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქალაქ სალვადორში პარასკევს გაიხსნა. 62 წლის მუსიკოსი და მინისტრი თავისი ბენდის წევრებთან ერთად გადახდილ სატვირთო მანქანაზე იჯდა, ისინი ერთად მიუყვებოდნენ ოკეანისპირა ქუჩას და როკსა და ტრადიციულ ბრაზილიურ ჰანგებს ურევდნენ ერთამენთში.

კარნავალის მარშრუტი სულ 18 მილზე იყო გადაჭიმული, მხიარულ პროცესიაში 190-მდე ასეთი მანქანა, იგივე "ტრიოს ელეტრიკოს", იღებდა მონაწილეობას. პარასკევს დილას დაწყებული მხიარულება ღამეც არ შეწყვეტილა და, როგორც ხდება ხოლმე, სალვადორი საკარნავალო არენად შაბათსაც დარჩა.

4 თებერვლიდან ცეცხლოვანი სამბას ცეკვა არც კარნავალების ეპიცენტრს - რიოს შეუწყვეტია. ქალაქი ისეთ ტემპერამენტს ავლენს, რომ, როგორც ჩანს, 8 თებერვალმდე ჩამუხვლას საერთოდ არ აპირებს. სამბადრომზე სამბას წამყვანი სკოლები ცეკვის ხელოვნებას ავლენენ და ყველას - დიდსაც და პატარასაც, ადგილობრივსაც და ტურისტსაც - ფეხსაცმელების გაცვეთის ხასიათზე აყენებენ.

მერე დგება მომენტი, როცა ცეკვისგან გახურებული სხეულების გასაგრილებლად წყლის კონტეინერებით სავსე სატვირთო მანქანები ჩამოივლიან ხოლმე და მოცეკვავეებიც ალტკინებული შეძახილებით განაგრძობენ ცეკვას წყლის მხიარული ჭავლის ქვეშ. პარალელურად ქუჩებში "ლუდი, ლუდი"-ს შეძახილებით ლუდის გამყიდველებიც დადიან, თან ბორბლებზე დამაგრებულ პლასტიკატის უზარმაზარ ყუთებს დააგორებენ.

ხუთდღიანი კარნავალისთვის რეგისტრაციას დაახლოებით 145-მდე პროცესია, იგივე "ბლოკოზ" გადის, თუმცა, ქალაქის ხელმძღვანელობის ვარაუდით, ეს რიცხვი ხშირად ორჯერაც იზრდება.

ასოციაცია "სებასტიანა" რიოს 12 ყველაზე ძველ "ბლოკოს" აერთიანებს. ასოციაციის დირექტორი ფლორიანო ტორესიც დასძენს, რომ "ბლოკოს" მოძრაობა წლიდან წლამდე იზრდება. "ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს ყველას თავისი გაერთიანება აქვს... მეგობრები ერთ "ბლოკოს" აყალიბებენ, ბარის კლიენტები - მეორეს. პირდაპირ საოცრებაა".

რაც მთავარია, ცნობისმოყვარე მნახველებისა და ტურისტების მიზიდვას ეს მხიარული გაერთიანებები კარნავალების ოფიციალურ გახსნამდე ორი კვირით ადრეც ახერხებენ - რეპეტიციების წყალობით. ერთ-ერთ მათგანს "ქრისტეს მკლავი" ჰქვია იმიტომ, რომ მათი ათვლის წერტილი კორკოვადოს მთის ის ნაწილია, რომლის თავზეც ხელგაშლილი ქრისტე დგას. თუმცა, ბევრ ტურისტს სამბას სკოლა ურჩევნია "ბლოკოს". ასეთები ამტკიცებენ, რომ სამბას სკოლელები უფრო დახვეწილები არიან და უფრო მდიდრული კოსტიუმები აცვიათ. "ბლოკოს" მიმდევრები კი ამას აღიარებენ, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ სამაგიეროდ "ბლოკოში" უფრო მეტი მხიარულება და თავისუფლებაა.

ასეა თუ ისე, მხიარულება ამ ხუთი დღის განმავლობაში რიოს ქრონიკული განწყობაა და მისი მცირეოდენი გრადაციები უცხო თვალისთვის შესამჩნევი იმდენად არც არის.

კარნავალების ვირუსი კი რიოსა და სალვადორის გარდა კიდევ რამდენიმე მისამართზე გავრცელდება. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი რესიფე 1.5 მილიონ დამსწრეს შეკრებს და გრანდიოზულ კარნავალს "მამლის დილას" უმასპინძლებს.

თავისებურად მოილხენენ რიო დე ჟანეიროს ერთ დიდ გარეუბანში - პარატი. იქ "ტალახის ბლოკოები" ჩაიგდებენ ავანსცენას ხელში, ჯერ ტალახის გუბურებში იხტუნავებენ და იცეკვებენ, შემდეგ კი ასე მორთულები კოლონიალური ქალაქის ქვაფენილიან ქუჩებში ჩაატარებენ საკარნავალო აღლუმს.

კულმინაციური მომენტი 8 თებერვალს დადგება. სამბას 14 სკოლიდან გამარჯვებულს აირჩევენ. მანამდე კი სამბადრომზე დაწყებული ცეკვა-თამაში რიოს სხვადასხვა უბნებში სახელდახელოდ მოწყობილ ქუჩის წვეულებებზე გაგრძელდება. ტურისტები დიდად წყალობენ ლაპას რაიონს, იქ ლაპას თაღის წინ დიდი სცენაა აღმართული, ყოველ ღამე მუსიკოსები მოდიან, უკრავენ და მხიარულ ცნობისმოყვარეებსაც იოლად იზიდავენ. ეს უბანი ზედგამოჭრილია კლუბური გართობის მოყვარულთათვისაც - ლაპაში ხომ რიოს ყველაზე ცნობილი ღამის კლუბებია მოთავსებული.

ისარგებლეთ ლაი·ლაი &
იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი“-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 3
ლაი·ლაი
აქცია გრძელდება: 2005 წლის
1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.
კუპონების მიღება შესაძლებელია:
2005 წლის 15 აპრილამდე.
სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადაა:
2005 წლის 30 აპრილი.
ამოჭერით

## Erasure პრესლისა და მონროს როლში



ბრიტანული ჯგუფის - Erasure-ის მუსიკოსები მსოფლიო ტურნესთვის ემზადებიან, რისთვისაც ელვის პრესლისა და მერლინ მონროს სახეების მორგებას ცდილობენ. გასტროლები დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შემდეგ სხვა ქვეყნებში გაგრძელდება.

ელვის პრესლის როლს ვოკალისტი ენდი ბელი შეასრულებს, შავკანიანი დამხმარე ვოკალისტები კი მერლინ მონროს განასახიერებენ სცენაზე. სასცენო დეკორაციები ზღაპრულ ტყეს მოაგონებს მაყურებელს: "ჩვენი აზრით, სწორედ ელვის პრესლი და მერლინ მონრო არიან ამ ტყის ბინადარნი", - ამბობენ მუსიკოსები.

Erasure-ის გასტროლები 24 თებერვალს ბელფასტიდან დაიწყება. ენდი ბელისა და ვინს კლარკის დუეტი 21 მარტამდე დიდ ბრიტანეთში 17 კონცერტს გამართავს.

## "ბითლზამდე" იყო გრიფიტსი

64 წლის ასაკში გარდაიცვალა ერიკ გრიფიტსი - ერთ-ერთი მათგანი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჯგუფს, რომელიც მოგვიანებით "ბითლზის" სახელით გახდა ცნობილი.



გრიფიტსმა სკოლის ამხანაგ ჯონ ლენონთან ერთად ჩამოაყალიბა "ქუორიმენი", რასაც ცოტა ხანში პოლ მაკარტნი და ჯორჯ ჰარისონი შეუერთდნენ. ამის შემდეგ, მალევე ჯგუფს "ბითლზი" დაარქვეს. სასკოლო, გასართობი მუსიკალური კოლექტივიდან Quarrymen - Beatles თანდათანობით სერიოზულ ჯგუფად ყალიბდებოდა. ერიკ გრიფიტსმა მეგობრები 1958 წელს დატოვა. "ქუორიმენის" წევრები ერთმანეთს 1977 წელს, ჯგუფის 40 წლისთავის აღსანიშნავად შეხვდნენ.

ინფოთეკა

### "ნიუკასლი" თუ "აიაქსი"?

"Sunday Mail"-ის ცნობით, შესაძლებელია, შოტლანდიური გუნდის "გლაზგო რეინჯერსის" ქართველი ნახევარმცველი შოთა არველაძე წელს ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "ნიუკასლში" გადავიდეს. ამბობენ, "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი გრემ სუნესი ქართველი ლეგიონერის შეძენას აპირებს ზაფხულში, როცა არველაძეს შოტლანდიურ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურება და ის თავისუფალი აგენტი იქნებაო.

"ნიუკასლი" არ გახლავთ ერთადერთი გუნდი, რომელიც არველაძის შეძენითაა დაინტერესებული. ამსტერდამის "აიაქსსაც", რომლის შემადგენლობაშიც ადრე ქართველი ლეგიონერი გამოდიოდა, დიდი სურვილი აქვს, ჩვენი ფეხბურთელი ისევ თავის რიგებში იხილოს.

### ხუთ წუთში გაფორმებული კონტრაქტი

მიუნხენის "ბავარიამ" კონტრაქტი გააფორმა ნახევარმცველ მეჰმედ შოლთან. "Sky Sports"-ის ცნობით, კონტრაქტის ვადა ერთი წელიწადია. "ბავარიის" პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ შოლი ამ ნაბიჯის გადადგმაზე სრულიად უყოყმანოდ დათანხმდა: "მეჰმედს პარასკევს შევხვდი. მხოლოდ ხუთი წუთი დაგვჭირდა იმისთვის, რომ ახალი კონტრაქტი გაგვეფორმებინა".

### "ატალანტას" ახალი პრეზიდენტი ეყოლება

იტალიური კლუბის "ატალანტას" პრეზიდენტმა ივან რაგერიმ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ. იტალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, მას ჟიოკიმო რანდაზო შეცვლის.

### შესაძლოა, პერესმა "პარმა" დააფინანსოს

"Channel 4"-ის ცნობით, მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი შეიძლება სერია A-ს კლუბ "პარმას" ერთ-ერთი ინვესტორი გახდეს.

ცნობილია, რომ კომპანია "პარმალატის" გაკოტრების შემდეგ იტალიური გუნდი სპონსორის გარეშე დარჩა. აღსანიშნავია, რომ "პარმას" ყოფილი მწვრთნელი არიგო საკი მადრიდის "რეალის" სპორტული დირექტორი გახდა.

### "ფიორენტინას" მწვრთნელის მოძებნა მოუწევს

იტალიური კლუბის "ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი დინო ძოფის განცხადებით, იგი დაკავებული თანამდებობის დატოვებას აპირებს. "Channel 4"-ის ცნობით, ეს გადაწყვეტილება ძოფიმ "სამპდორიასთან" მარცხის (0:3) შემდეგ მიიღო.

"უნდა მოიძებნოს ისეთი ადამიანი, რომელიც მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს. ვფიქრობ, ჩემი ყოფნა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე სიტუაციას ართულებს. ვერავინ უარყოფს, რომ რამდენიმე მატჩს მსაჯები არცთუ სამართლიანად სჯიდნენ," - განაცხადა ძოფიმ, რომლის ორი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევეს "სამპდორიასთან" მატჩის პირველ 10 წუთში.

### "არსენალი" ჩივილს აპირებს

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში "ჩელსის" წინააღმდეგ საჩივარი შეეტანა. გაზეთ "Sun"-ის ცნობით, "მეთოფეებმა" იპოვეს "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოსა და "არსენალის" ფეხბურთელის ეშლი კოულის შეხვედრის მოწმეები.

შეგახსენებთ, ადრე მოურინიომ განაცხადა, რომ კოულს არ შეხვედრია და, მით უმეტეს, მასთან არც "ჩელსიში" გადასვლაზე უსაუბრია.

### "ინტერს" "ბორუსიას" მცველი მოუნდა

იტალიური სერია A-ს კლუბებმა "ინტერმა" და "ფიორენტინამ" კვლავ მიმართეს დორტმუნდის "ბორუსიას" ხელმძღვანელობას წინადადებით, შეისყიდონ კლუბის მცველი კრისტოფ მეტცელდერი. იტალიური პრესის ინფორმაციით, წინა კვირის დასაწყისში დორტმუნდელებმა განაცხადეს, რომ ზაფხულში გუნდი აპირებს, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გაყიდოს, რათა კლუბმა თავისი რთული ფინანსური მდგომარეობა გამოასწოროს. ვარაუდობენ, რომ მეტცელდერის სატრანსფერო თანხა 6-დან 8 მილიონ ევრომდე იქნება.

ცნობილია ისიც, რომ "ინტერი" და "ფიორენტინა" სეზონის დაწყების წინ დორტმუნდის "ბორუსიას" მეტცელდერის თაობაზე შეეხმიანენ, მაგრამ მაშინ დადებითი პასუხი ვერ მიიღეს.

ფეხბურთი

# ათქაციანი "დინამოს" წარუმატებელი სტარტი

მიხეილ აბაიშვილი



გოგიტა ბაბაიშვილი ფოტო

გეგუჩაძის "დინამომ" პირველი თამაში წააგო.

5 თებერვალს ესპანეთის კურორტ მალიორკაზე დაიწყო "მარბელას თასის" გათამაშება, რომელშიც თბილისის "დინამოც" მონაწილეობს. ტურნირის პირველ დღეს მისი მეტოქე იყო სანქტ პეტერბურგის "ზენიტი". მატჩი უხვგოლიანი გამოდგა, თუმცა, გოლები ძირითადად "ზენიტის" ფეხბურთელებმა გაიტანეს და მატჩიც მათივე გამარჯვებით დასრულდა.

ზენიტი - დინამო 3:1

**ზენიტი: მ. კერჟაკოვი, ფლეხბერტი (სტროევი, 65`), ვეშტიცე, მარეში, კრიჟანეცი, გორშკოვი (შუმულიკოვსკი, 55`), ტრიფონოვი, რადიმოვი (დენისოვი, 55`), კასაევი, (ბურაკოვი, 78`), მელნიკოვი (ჰარტიგი, 34`), კერჟაკოვი (მაქსიმოვი, 69`)**

**დინამო: ზოიძე, ოდიკაძე, სალუქვაძე, ჭიჭველიშვილი, რომერო (ორბელაძე, 46`), ქუცურუა (ნოზაძე, 22`), გოგუა, კანდელაკი (ხმალაძე, 46`), ბაბუნაშვილი (ჯამარაული, 47`), მელქაძე (გ. ჭელიძე 71`), კაკალაძე (დვალი, 67`).**

**გოლები: 1:0 ვეშტიცე 35`, 2:0 დენისოვი 60`, 3:0 ტრიფონოვი 65`, 3:1 ოდიკაძე 88` (პენ.)**

**გაძევება: გოგუა 20`.**

მატჩი "დინამომ" სოლიდური ანგარიშით დათმო, თუმცა, პირველი ტაიმის დასაწყისში აბსოლუტურად თანაბარი ორთაბრძოლა იყო. ყოველ შემთხვევაში, როგორც ბურთის კონტროლის, ისე აქტიურობის თვალსაზრისით, ქართველი ფეხბურთელები მეტოქეს არაფერს უთმობდნენ. "ზენიტის" უპირატესობა მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც "დინამოს" ახალწვეულმა გოგიტა გოგუამ, რომელიც ჟირესმა ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახა, მე-20 წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. საერთოდ, სპარინგმატჩებში მსაჯები შედარებით ლმობიერი არიან ფეხბურთელთა მიმართ. ამჯერად რეფერიმ შესაშური სიმკაცრე გამოიჩინა და დასაწყისშივე "დინამო" ათი კაცის შემადგენლობით დატოვა, რაც აისახა კიდეც მატჩის შედეგზე. შეთხელებულმა "დინამომ" გოგუას გაძევებიდან კიდევ 15 წუთს გაძლო, 35-ე წუთზე კი ვეშტიცემ პირველი გოლი გაიტანა. შეხვედრის მეორე ნახევრის 5-წუთიან მონაკვეთში (მე-60-დან 65-ე წუთამდე) სანქტპეტერბურგელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და, პრაქტიკულად, საქმე მოათავეს. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მსაჯმა "ზენიტის" ერთ-ერთი მცველის მიერ საკუთარ საჯარიმოში უხეში თამაშისთვის თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ოდიკაძემ პრესტიჟის გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ "დინამომ" ასეთი შემადგენლობით პირველად ითამაშა. ოთხმა ფეხბურთელმა (ოდიკაძე, გოგუა, გიორგი ჭელიძე, ორბელაძე) სწორედ ამ მატჩში მოირგო პირველად "დინამოს" მაისურა. ჯამარაულზე იგივე ითქმა არ შეიძლება, თუმცა, ამ ფორმაციის "დინამოში" მისი გამოჩენაც შეიძლება დებიუტად ჩაითვალოს. რაც შეეხება ნოზაძეს და ბაბუნაშვილს, ისინიც სულ ახლახან შეუერთდნენ გუნდს. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, "ზენიტის" წინააღმდეგ გეგუჩაძემ ექსპერიმენტული, შეუთამაშებელი გუნდი გამოიყვანა.

**გია გეგუჩაძე: "მატჩის დებიუტშივე გოგუა გაგვიძევეს, რის გამოც ძალზე გაგვიჭირდა მეტოქესთან გამკლავება. ამ გაძევებამ "დინამოს" თამაშზე და მატჩის შედეგზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. რა თქმა უნდა, ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ - წაგებული მატჩის შემდეგ კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები."**

ტურნირის მეორე მატჩში, მოსკოვის "სპარტაკსა" და დონეცკის "შახტარს" შორის, ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. რეგლამენტის მიხედვით, დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც უკრაინელმა ფეხბურთელებმა იმარჯვეს და აქტივში სამი ქულა ჩაიწერეს.

დღეს "მარბელას თასზე" მეორე ტური გაიმართება. "დინამოს" მეტოქე იქნება დონეცკის "შახტარი". მეორე მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან "სპარტაკი" და "ზენიტი".

"შახტარის" წინააღმდეგ გოგუა, ოდიკაძე და სალუქვაძე ვერ ითამაშებენ. ისინი ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი. სამაგიეროდ, "დინამო" საგრძნობლად გაძლიერდება - გუშინ მალიორკაზე გაემგზავრა გუნდის კაპიტანი გიორგი ნემსაძე, რომელიც თბილისში ოჯახური მდგომარეობის გამო იყო დარჩენილი.

# რაული: "ზედიზედ ექვსი მოგება ოცნების საბაბს იძლევა"

*კაპიტანს კარგად ესმის, რომ ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ბარსელონასთან" პაექრობა ჯერ კიდევ წინ არის. გუნდს სჯერა, რომ ოქროს მედლების მოპოვება შეუძლია. რაულს მიაჩნია, რომ მადრიდის "რეალი" პროგრესს კიდევ განიცდის და ყველა ღონეს მიმართავს, რომ ჩემპიონთა ლიგა და ქვეყნის ჩემპიონატი მოიგოს.*



*რაული: "საფეხბურთო სამყაროში ხელშეუხებელი და შეუცვლელი არავინაა".*

**- "ესპანიოლთან" პირველი მატჩის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ხოსე ანტონიო კამაჩომ. ამ თვეების განმავლობაში რამდენი რამ შეიცვალა...**

- მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა. მწვრთნელებიც კი შეიცვალნენ. ახლა ჩვენ ძალიან კარგ სიტუაციაში ვართ და ყველაფერს დიდი ოპტიმიზმით შევცქერით. ეს იმიტომ, რომ ზედიზედ ექვსი გამარჯვება ჩემპიონობაზე ოცნების საბაბს გვაძლევს. გვინდა, "ბარსელონას" ცხოვრება ძალიან გავურთულოთ. ჩვენ მთელ ძალებს მივმართავთ იმ ტურნირებში გამარჯვებაზე, რომლებშიც ვმონაწილეობთ. ამით ჩვენს გულშემატკივრებს გავახარებთ.

**- გუნდი დიდი მიზნებისკენ მიდის...**

- დიახ, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს. მატჩიდან მატჩამდე უნდა ვიაროთ და დიდი იმედი მაქვს, რომ გუნდი გამარჯვებების სერიას გააგრძელებს და საერთო მდგომარეობას გამოვასწორებთ. ვფიქრობ, პოტენციალი კიდევ გვაქვს და შეგვიძლია, კიდევ უკეთ ვითამაშოთ. ეს უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩემპიონატში გამარჯვებით გულშემატკივრებს სიხარული მივანიჭოთ. ეს ძალიან ძნელია, რადგან ყოველი გუნდი თუ ფეხბურთელი შეეცდება, მაქსიმალურად ბევრი პრობლემა შეგვიქმნას.

**- "ბარსასთვის" ლიდერობის ჩამორთმევა ძნელი იქნება?**

- რა თქმა უნდა. "ბარსელონა" დამაჯერებლად დამკვიდრდა პირველ ადგილზე. ამ დრომდე მათ ბევრი პრობლემა გადაიტანეს, მაგრამ, ამასთან, საჭირო შედეგს აღწევდნენ. ახლა მათ ჩემპიონობის საუკეთესო შანსი აქვთ, მაგრამ წინ კიდევ მთელი მეორე წრეა. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ახლა მხოლოდ იმ მატჩებზე ვფიქრობ, რომლებიც უახლოეს მომავალში გველოდება. თუ წარმატებულ სერიას განვაგრძობთ, შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მათ სადმე ფეხი წამოჰკრან. რაც არ უნდა გავაკეთოთ, ეს არის ის, რომ ქულები არ უნდა გავაჩუქოთ. განსაკუთრებით "ბერნაბეუზე".

**- როგორ ფიქრობ, მათი თამაშის ხარისხმა დაიწია?**

- შესაძლოა, ახლა ისინი არცთუ ისე ლამაზ ფეხბურთს აჩვენებენ, მაგრამ ეფექტურად თამაშობენ და შედეგს აღწევენ. ჩემპიონის ტიტული კი სწორედ შედეგს მოაქვს. ჩვენ სტაბილურად უნდა ვითამაშოთ, რასაც პირველ წრეში ვერ ვახერხებდით. ვიმედოვნებ, დარჩენილ ექვს თვეში ყველაფერი შეიცვლება. ჩემპიონატი - ეს ხანგრძლივი სამუშაოა. ასე რომ, ვნახოთ, რა მოხდება მომავალში. თუ ჩემპიონობა გვინდა, საკუთარ თავს ქულების დაკარგვის უფლება არ უნდა მივცეთ.

**- შენ გულზე გხვდება სტატიები, რომლებშიც ნათქვამია, რომ გუნდში ხელშეუხებლები არიან?**

- საფეხბურთო სამყაროში ხელშეუხებელი და შეუცვლელი არავინაა. არსებობენ მნიშვნელოვანი ფეხბურთელები, მაგრამ სხვები მოვლენ და ისინიც მნიშვნელოვანნი გახდებიან. ჩვენ, ყველას, ერთი მიზანი გვამოძრავებს. მადრიდელებს კი ერთი სურვილი აქვთ: მათმა საყვარელმა გუნდმა ყოველთვის მოიგოს და გულშემატკივარი გაახაროს.

**- ლუშემბურგოს მოსვლამ გუნდზე დიდი გავლენა მოახდინა?**

- ფეხბურთელები ყველა ღონეს ხმარობდნენ გამარჯვების მისაღწევად. ექვსი წუთი "რეალ-სოსიედადის" წინააღმდეგ. გამარჯვება თითქოს აბსურდული ჩანდა, მაგრამ მოვიგეთ და ამან ფრთები შეგვასხა. ჩვენ ვიგებდით, მაგრამ, ამასთან, მდარე ხარისხის თამაშს ვაჩვენებდით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მცირედან დიდისკენ მივემართებით. ლუშემბურგოს ამ სიტუაციების დიდი გამოცდილება აქვს, ამიტომ მისმა მოსვლამ საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა.

**- როგორ ფიქრობ, ჩემპიონობის საკითხი ორი გუნდის ჭიდილში გადაწყდება?**

- მიმაჩნია, რომ რომელიმე პრეტენდენტის გამოთიშვა ჯერ ნაადრევია. ჩვენი მიზანია, ტურიდან ტურამდე სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი დავიმკვიდროთ. თუმცა, სათქმელი სხვა გუნდებსაც აქვთ.

**- თუ რომელიმე მორიგი ტურის მატჩში დამარცხდებით, როგორ ფიქრობ, გუნდის შესაძლებლობაში კიდევ დაეჭვდებიან?**

- ამაში ეჭვიც არ მეპარება. მაგრამ ჩვენ დამარცხებაზე არ ვფიქრობთ. რა მოხდება, წინასწარ არასოდეს იცი, მაგრამ ახლა შესანიშნავ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვართ და საკუთარი თავის რწმენაც განგვიმტკიცდა. ჩვენ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ.

**- ამ დღეებში ეტო`ომ განაცხადა, რომ მადრიდის "რეალი" "ბარსელონას" ყურადღებით აკვირდება. რას იტყვი?**

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სამუელი შესანიშნავი ფეხბურთელი და ადამიანია. როცა ის ჩვენს გუნდში იყო, შესანიშნავი ურთიერთობა გვაკავშირებდა. ახლა ის სხვა გუნდის ღირსებას იცავს და მინდა, დიდი წარმატებები ვუსურვო. სხვა საკითხებში კი არ ვერევი.

**- შენი აზრით, გუტიმ ძირითად შემადგენლობაში უნდა ითამაშოს?**

- ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ. გუტი განსაკუთრებული ფეხბურთელია, ერთ-ერთი საუკეთესო "რეალში". მე მას 15 წლის ასაკიდან ვიცნობ, ყოველთვის ასეთი იყო. უმაღლეს დონეზე თამაშობს და საოცარ სეზონს ატარებს.

**- ისევ დაიწყო დებატები იმის თაობაზე, უნდა დაჯდე თუ არა სათადარიგოთა სკამზე. ამის შესახებ რას იტყვი?**

- მინდა, რომ მადრიდის "რეალმა" მოიგოს. ყოველდღე ვშრომობ იმისთვის, რომ ვითამაშო და გუნდს დავეხმარო. თუ თამაშის საშუალება მომეცემა, შევეცდები, გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო. "რეალის" ყველა ფეხბურთელს შეუძლია ძირითად შემადგენლობაში თამაში. მე ჩემი შრომისუნარიანობით კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდი პროგრესს განიცდის.

**- თქვენ უკვე ფიქრობთ "იუვენტუსთან" თამაშზე?**

- ახლა ეს მატჩი ჯერ კიდევ შორეულად გვეჩვენება, მაგრამ ის ახლოვდება და ნაცნობები უკვე ბილეთებს მთხოვენ. დაპირისპირება უდავოდ საინტერესო და თანაბარი იქნება. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ მათი დამარცხება შეგვიძლია.

**- ამ დღეებში მადრიდში იმყოფება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისია, რომელიც არკვევს, შეუძლია თუ არა მადრიდს, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. რა შეგიძლია თქვა მადრიდის კანდიდატურაზე?**

- იმედი მაქვს, კომისია მადრიდს მაღალ შეფასებას მისცემს. მადრიდი და მადრიდელები ამ თამაშებს იმსახურებენ. მთელი ესპანეთი რუდუნებით შრომობს იმისთვის, რომ ჩვენ აგვირჩიონ.

ინფოთეკა

### მსაჯების შეურაცხყოფისთვის კლუბები დაისჯებიან

"როიტერსის" ცნობით, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ნებისმიერი კლუბი, რომლის ფეხბურთელები მატჩის დროს შეურაცხყოფას მიაყენებენ მსაჯს, "მკაცრად დაჯარიმდებიან".

"ასოციაციამ კლუბებს შეახსენა, რომ მსაჯების შეურაცხყოფა, რომელიც საკმაოდ გახშირდა, მათ ძვირად დაუჯდებათ. ჯარიმამ შეიძლება 250 ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწიოს," - განაცხადა მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ რეიტ ჰაკეტმა.

### საფრანგეთი მესამეა

ტუნისში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. კვირას გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის. საფრანგეთის ნაკრებმა - 26:25 დაამარცხა ტურნირის მასპინძელი გუნდი.

### ბენიტესი მორიენტესით აღფრთოვანებას ვერ მალავს

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა კლუბის ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ კლუბის ახალი თავდამსხმელის ფერნანდო მორიენტესის თამაშით აღფრთოვანებულია. მწვრთნელი დარწმუნებით ამბობს, რომ მორიენტესი გუნდს დიდ გამარჯვებას მოუტანს: "სიტყვებს ვერ ვპოულობ. ზუსტად ასეთი თავდამსხმელი გვჭირდებოდა და ვიპოვეთ კიდეც. მორიენტესი შესანიშნავი ფეხბურთელი და ნამდვილი პროფესიონალია. იგი თავის პროფესიონალიზმს განუწყვეტლივ განამტკიცებს".

### დემეტრაძის დუბლი "მეტალურგს" დაეხმარა

დონეცკის "მეტალურგმა" ესპანეთში შეკრებაზე მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ამჯერად უკრაინელები რუსეთის "სატურნს" გაეჯიბრნენ. "მეტალურგმა" - 2:1 მოიგო. ორივე გოლი რუსების კარში გიორგი დემეტრაძემ გაიტანა. ერთადერთი გოლი რუსების მხრიდან კებეს გადაცემით ბარეირომ გაიტანა.

### გიგზი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს

ბრიტანული პრესის ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" აპირებს, უელსელ რაიან გიგზთან ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. ამდენად, დიდია ალბათობა, რომ გიგზი საფეხბურთო კარიერას სწორედ ამ ინგლისურ კლუბში დაასრულებს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს გიგზი ბევრს საუბრობდა კლუბიდან წასვლაზე, რადგან "მანჩესტერი" მას მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, უელსელი კი ორ წელს მოითხოვდა. თუმცა, გიგზის ბოლოდროინდელი წარმატებული თამაშის ფონზე (განსაკუთრებით ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ) კლუბის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, საკუთარ აზრს გადახედა.

ამჟამად გიგზი 31 წლისაა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" მისი მოქმედი კონტრაქტი წელიწადნახევარში დასრულდება. ამდენად, თუ კლუბი ფეხბურთელთან შეთანხმებას კიდევ ორი წლით გაზრდის, 34 წლის გიგზმა შეიძლება საფეხბურთო კარიერის დასრულებაზეც იფიქროს. გიგზმა თავისი საფეხბურთო კარიერა სწორედ "მანჩესტერ იუნაიტედში" დაიწყო და უკვე 14 წელია, ამ კლუბის ღირსებას იცავს.

### კლოსმა მუხლის ოპერაცია გადაიტანა

"გლაზგო რეინჯერსის" მეკარეს შტეფან კლოსს პარასკევს ოპერაცია გაუკეთეს ტრავმირებულ მუხლზე. ოპერაცია აშშ-ში გაკეთდა. ამის შესახებ "სქაი სპორტს" კოლორადოს ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმმა რიჩარდ სტიდმანმა აცნობა. სარეაბილიტაციო კურსის დაწყებამდე კლოსს გადაწყვეტილი აქვს, კოლორადოში მცირე შვებულება გაატაროს. ვარაუდობენ, რომ მეკარე ზაფხულში ჩადგება მწყობრში.

### დევენპორტი: "შარაპოვა კიდევ ბევრ ფინალს ითამაშებს"

ახალგაზრდა რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ მოიგო ტოკიოს საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 1,3 მილიონი დოლარი იყო. ფინალში უიმბლდონის ჩემპიონმა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამერიკელი ლინდსი დევენპორტი დაამარცხა - 6:1, 3:6, 7:6. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დევენპორტმა განაცხადა: "მარია შესანიშნავი მოთამაშეა. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში შარაპოვას კიდევ ბევრჯერ ვნახავთ სხვადასხვა ტურნირის ფინალში".

*ინფოთეკა*

### კინი ტრავმირებულია

"მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვებს ირლანდიისა და პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებებს შორის გასამართ ამხანაგურ მატჩს.

"კინს დასვენება სჭირდება," - განაცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

### ლიმა შვებულებაშია

მოსკოვის "ლოკომოტივის" ბრაზილიელი მცველი ლიმა ცოტა ხნით დაისვენებს. ის გუნდთან ერთად რუსეთის დედაქალაქში არ დაბრუნდება. ფეხბურთელმა ორდღიანი დასვენება მიიღო, რომელსაც იტალიაში გაატარებს.

### რონალდო ბრაზილიის ნაკრებს ვერ დაეხმარება

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობის ცნობით, ბრაზილიელი რონალდო მონაწილეობას არ მიიღებს ბრაზილიისა და ჰონგ კონგის ეროვნული ნაკრებების ამხანაგურ მატჩში. საქმე ის გახლავთ, რომ გასულ კვირას ოჯახური პრობლემების გამო მას სამშობლოში წასვლა მოუხდა. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ორი გამგზავრება, თანაც, ასეთ მცირე დროში მეტისმეტია და იგი ცუდ გავლენას მოახდენს ფეხბურთელის სპორტულ ფორმაზე.

სამაგიეროდ, მატჩში ბრაზილიის მაისურით "რეალის" სხვა ფეხბურთელი, კერძოდ, რობერტო კარლოსი გამოვა.

### შვედებს კარლსონი დაეხმარა

გუშინ რუსეთის ქალაქ ყაზანში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ბურთით ჰოკეიში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთისა და შვედეთის გუნდები. შვედებმა დამაჯერებლად - 5:2 დაამარცხეს მასპინძლები. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ჰაგბერგმა (ორი), კარლსონმა, ბერგვალმა და მიურენმა. რუსები მეორე ადგილზე გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები ყაზახებს ერგოთ.

### ფრიზინგერი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია

გერმანელი მოციგურავე ანი ფრიზინგერი მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ მრავალჭიდში. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მოსკოვში ფრიზინგერმა შეჯიბრების დასკვნითი დისტანცია - 5000 მეტრზე გარბენი მოიგო. მოაგროვა რა 161,557 ქულა, ფრიზინგერმა გაასწრო მეორე ადგილზე მყოფ კანადელ სინდი კლასენს (163,214). მესამე ადგილზე გავიდა ფრიზინგერის თანამემამულე კლაუდია პეხშტაინი (163,418).

### ჯუდა რევანშისთვის მზად არის

ქვესაშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ზაბ ჯუდამ განაცხადა, რომ კვირას კორი სპინქსის დამარცხებაში მას კარგი ფსიქოლოგიური მომზადება დაეხმარა. "ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა გამარჯვების წყურვილმა და გამარჯვებისკენ სწრაფვამ, - განაცხადა ჯუდამ, - სპინქსმა ზუსტად ის გააკეთა, რასაც მისგან ველოდი. ის ჩემს დარტყმებს მარცხნიდან ერიდებოდა, უკან იწეოდა და საშუალებას მაძლევდა, კორპუსით შემეტია".

ჯუდამ ისიც განმარტა, რომ მზად არის, სპინქსს რევანშზე დათანხმდეს, თუ ამას დონ კინგი სთხოვს.

### მადრიდი ოლიმპიადისთვის თითქმის მზადაა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისია შეუდგა იმ ქალაქების სპორტული ობიექტების დათვალიერებას, რომლებსაც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი აქვთ. კომისიის წევრებმა პირველ რიგში მადრიდი მოინახულეს. ვიდრე დასკვნას დაწერდნენ, კომისიის წევრებმა მოინახულეს მადრიდის საფეხბურთო სტადიონები - "სანტიაგო ბერნაბეუ" და "ვისენტე კალდერონი".

მადრიდის ვიცე-მერმა მანუელ კობომ, რომელიც დელეგაციას მასპინძლობდა, განაცხადა: კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ მადრიდის პრეტენზია, მიიღოს ოლიმპიური სტატუსი, ყველა ასპექტში სავსებით სარიოზული, გარანტირებული და მრავალფეროვანია. კობოს თქმით, "მადრიდმა თამასა ძალიან მაღლა ასწია. დანარჩენ პრეტენდენტებს ძალიან გაუჭირდებათ მისი დაძლევა, რადგან მადრიდმა სტუმრებს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის თავისი მზადყოფნა უჩვენა. ამიტომ ეჭვი არ არის, ოლიმპიური თამაშები სწორედ ესპანეთის დედაქალაქში გაიმართება".

*რაგბი*

# წავაგეთ!

### ევროპის ერთა თასი

### პორტუგალია - საქართველო 18:14 (11:3)

პაატა თოთაძე

**პორტუგალია:** კორეია, მოურა, ფერეირა, ანდრადე, დურეი, ა. კუნია, მურინელუ, უვა, პისარა, ტუმე, კარვალიუ, სოუზა, მატეუში, პორტელა, მელეირუ

**2 ლელო** - ფერეირა, სოუზა
**1 გარდასახვა და 1 საჯარიმო** - მელეირუ
**1 არეკნი** - ტუმე

**საქართველო:** მაგრაქველიძე, ა. გიორგაძე, შველიძე, მჭედლიშვილი, დიდებულიძე, ზედგინიძე, ურუშაძე, უდესიანი, აბუსერიძე, კიკნაძე, მაჩხანელი, ი. გიორგაძე, ზიბზიბაძე, ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი

**1 ლელო** - შველიძე
**2 საჯარიმო** - ურჯუკაშვილი
**1 არეკნი** - კიკნაძე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*პორტუგალიასთან შარშანაც წავაგეთ და წელსაც.*

ბოლო წლებში პორტუგალიასთან განცდილმა მარცხებმა, ცოტა არ იყოს, შემაშინა - საქართველოს ნაკრები რეგრესს ხომ არ განიცდის? ერთი ან თუნდაც ორი მარცხით ამაზე საუბარი იქნებ ნაადრევი ყოფილიყო, მაგრამ, ჯერ ერთი, უკვე ზედიზედ მესამედ ვმარცხდებით და, რაც მთავარია, თამაშს ვაუარესებთ. პორტუგალიასთან მატჩის წინ ბევრ საუბრობდნენ მსაჯობაზე, უფრო ზუსტად, იტალიელ მსაჯებზე, რომლებიც წინა წლებში პორტუგალიასთან მატჩში აშკარად ჩვენს მეტოქეს სწყალობდნენ. იყო დრო, როცა ჩვენდამი სიმპათიაში ფრანგ მსაჯებს ადანაშაულებდნენ. განსაკუთრებით რუსები აქტიურობდნენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ მათზე ძლიერები ვიყავით. ერთი სიტყვით, ეს ლაპარაკი გულის მოფხანას ჰგავს, რომელსაც საქმის რეალურ ვითარებასთან საერთო არაფერი აქვს. მსაჯი რომ მასპინძლებს მიუდგებოდა, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. მსაჯი, ყოველთვის თუ არა, უმეტესად მაინც, მასპინძელს უდგება ხოლმე. უმაღლეს დონეზე ეს ერთგვარად შეფარვით ხდება, დაბალ დონეზე კი უფრო თვალშისაცემია. გუშინწინ იყო ეპიზოდები, როცა მსაჯმა საერთოდ არ დასტვინა, ან არასწორად დასტვინა, მაგრამ, საეჭვოა, რაიმე შეცვლილიყო იმ სამ-ოთხ, თუნდაც ხუთ ეპიზოდში, სხვაგვარად, ანუ ჩვენს სასარგებლოდ რომ დაესტვინა. მეტოქე გვჯობნიდა ხელით თამაშში, ფეხით თამაშში, მოძრაობაში და, საერთოდ, ტაქტიკურად უფრო გამართულად თამაშობდა. ისმის კითხვა: მაშ რატომ უნდა მოგვეგო პორტუგალიისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მორკინალები უფრო ჯანიანები არიან?

ქართული შერკინების სიძლიერემ გარკვეული უპირატესობა შექმნა, მაგრამ ეს უპირატესობა ანგარიშში ვერ აისახა. ვერც აისახებოდა, რადგან გუნდმა არ იცოდა, როგორ გამოეყენებინა ეს უპირატესობა, როგორ შეეტია. მარტო მორკინალთა მიძალებით საქმეს არ ეშველა, რადგან, ჯერ ერთი, არც პორტუგალიელები არიან ისეთი ჯაბანნი, როგორც გინდა ისე მოექცე და მეორეც: მეტოქემ იცოდა, როგორ დაეცვა თავი.

მეტ-ნაკლებად იცოდა ისიც, თუ როგორ უნდა შეეტია. ყოველ შემთხვევაში, იმაზე კარგად, ვიდრე ქართველებმა. მართალია, მათი მორკინალები ისეთ უპირატესობას ვერ ქმნიდნენ, როგორც ჩვენები, მაგრამ ეს არც წარმოადგენდა აუცილებლობას. ბურთი გადიოდა ხაზზე და, ყოველთვის თუ არა, უმეტესწილად იქმნებოდა ლელოს დადების საფრთხე. პორტუგალიელები დიდად გაიწაფნენ შვიდკაცაში და ამ გაწაფულობას თხუთმეტკაცაშიც მშვენივრად იყენებენ. მეორე ლელო დაახლოებით 50-წამიანი შეტევის შემდეგ დაგვიდეს. თავიანთი 22-დან წამოიღეს ბურთი ხელით და 50 წამის შემდეგ უკვე ჩვენს ლელოში ჰქონდათ დამიწებული. ჯერ მარცხენა ფრთაზე გაიქცა მეტოქე, ბოლოსლა შევაჩერეთ, მერე კი გადაწყობა ვერ მოვასწარით, ხაზში დაუცველი, ცარიელი ადგილი დარჩა, სადაც შევარდა კიდეც პორტუგალიელი შუამარბი.

პირველი ლელო, შეიძლება ითქვას, ჩვენ მოვუტანეთ ჩვენს თავს: მცველმა ითამაშა უყურადღებოდ. მეორე ტაიმში გამოასწორა თამაში ურჯუკაშვილმა და ერთ ეპიზოდში აშკარა ლელოსგან იხსნა გუნდი - გადაცემა ჩაჭრა. ასეთი ეპიზოდი, როცა ბოლო წამს გადავრჩით ლელოს, არაერთი იყო, ანუ მასპინძლებმა ამ მაჩვენებლითაც გვაჯობეს. ვერც კიკნაძე გამოიყურებოდა კარგად - გუნდის შეტევებს ვერ აწყობდა და ფეხითაც არცთუ კარგად ურტყამდა. დიდად ვერც მისი შემცვლელი ბარკალაია გამოირჩა. მართალია, ორჯერ კარგად მოიგერია ბურთი, მაგრამ ამ შემთხვევაში მას ბედმაც გაუღიმა. გუნდში მაღალი დონის და სტაბილური ათი ნომერი არ გვყავს. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, კარგი საქმე ვერაა. დაცვაშიც ვერ ვთამაშობთ ზუსტად. ხშირად იყო, როცა ჩვენი უკანახაზელები არასწორ პოზიციას ირჩევდნენ. არადა, გვახსოვს, ყველა როგორ აღიარებდა, რომ საქართველოს ნაკრებმა იცოდა დაცვა. მართალია, ნაკრებში გამოჩნდნენ ახალი სახეები, მაგრამ ნაკრების შემადგენლობა არ შეცვლილა ისე, რომ ყველაფერი მას დააბრალო. მაშ, რა არის მიზეზი? ამაზე მწვრთნელებმა და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ უნდა იფიქროს და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანოს. ასეთი თამაშით, მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, რუსეთის, უკრაინის, და ჩეხეთის დამარცხებაა. მათ გარდა კი მეტოქედ პორტუგალია და რუმინეთი გვყავს.

*სათხილამურო სპორტი*

# ავსტრია მესამეზე დაეშვა

გიგა გურასაშვილი

*ბორმიოსა და სანტა კატერინაში მიმდინარე სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე უქმეებმა თვალის დახამხამებაში ჩაიარა. ვაჟებიც და ქალებიც ყველაზე ჩქაროსნულ დისციპლინაში - დაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.*

ავსტრიელთა ამბიციები აშკარაზე აშკარა იყო - არაფერი "ოქროს" გარდა! სათხილამურო სახეობებში ჭიპმოჭრილ ავსტრიელებს საამისო მიზეზიც ჰქონდათ და შესაძლებლობაც, მაგრამ, მათდა გასაკვირად, კონკურენტებმა - ამერიკელებმა გამოიდეს თავი. ეს მაშინ, როცა "სტელვიოს" ტრასაზე ჩქაროსნულ დისციპლინათა ბატონ-პატრონი ავსტრიელთა ტრიო იდგა. აი, ისინიც: სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფრიც შტრობლი; ორგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ჰერმან მაიერი და, რაც მთავარია, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ ვალსხოფერი. დაწინაურებაც ყველაზე მეტად ამ სამეულისგან იყო მოსალოდნელი, მაგრამ ავსტრიელები სრული კრახისგან მხოლოდ ვალსხოფერმა იხსნა. მსოფლიო ჩემპიონმა დაახლოებით სამკილომეტრიანი ტრასა (987-მეტრიანი ვარდნილით) დაზიანებული მარჯვენა თხილამურით ჩაიქროლა და მესამე შედეგი აჩვენა.

ყველაფრის მიუხედავად, ვალსხოფერმა დაიჩემა, ბრინჯაოს მედლით ძალზე ბედნიერი ვარო. დაზიანებული თხილამური რომ არა, უკეთესი შედეგი მექნებოდაო.

"სტარტზე კლდის შვერილს გამოვდე თხილამური და მთელი გზა ხრჭიალ-ხრჭიალით მომიხდა სრიალი... მარცხნივ დახრისას თხილამურის დამორჩილება მიჭირდა. როდესაც ტრასა გავიარე, მეგონა, ბოლო ვიყავი, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა," - თქვა ვალსხოფერმა.

შეჯიბრების დაწყებამდე ბრინჯაოს მედალოსანი ავსტრიელი მასა და ამერიკელ ბოდე მილერს შორის მწვავე დუელს წინასწარმეტყველებდა, მაგრამ დუელი არ შედგა, რადგან მისი ადგილი მილერისვე თანაგუნდელმა დარონ რალვზმა დაიკავა.



*მაიერმა სტელვიოს გადაუფრინა.*

...ბოდე მილერი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტში ერთი კვირის წინათ სუპერგიგანტში იმარჯვა, კომბინაციაშიც უმიზნებდა ოქროს მედალს, მაგრამ დაშვებაში ცალ ფეხზე თხილამური გასძვრა და შეჯიბრებას გამოეთიშა. ჩემპიონატის დაწყებამდე მილერს აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელობა ყველა სახეობაში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. ახლაც პირველობას მოითხოვენ მისგან, რაც ძალზე ამბიციურად ჟღერდა და ჟღერს, მაგრამ ფაქტია: ერთი კვირის თავზე, შაბათს, მილერი მეორე "ოქროს" დაეუფლა. დაშვებაში გამარჯვების შემდეგ მილერი იყო პირველი ამერიკელი, რომელმაც ჩქაროსნულ დისციპლინაში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო.

რაც შეეხება ხელმოცარულ ავსტრიელებს. სოლტ ლეიკის სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ფრიც შტრობლმა, მოგვიანებით თქვა: მეოთხე ადგილის დაკავებით "ხის" მედალი დამრჩა, რაც ძალზე მტკენს გულს, მაგრამ, რა იზამ, ასეთია ცხოვრებაო.

მაიერმა კი მე-17 ადგილის დაკავებით საკუთარი შედეგი "გააუმჯობესა". საქმე ისაა, რომ "ჰერმინატორად" წოდებული ავსტრიელისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე დაკავებული მეჩვიდმეტე ადგილი მის კარიერაში ამ რანგის ასპარეზობის უცუდესი მაჩვენებელი გამოდგა.

ბორმიოდან გადავინაცვლოთ სანტა კატერინაში მოასპარეზე ქალებთან, რომლებიც გუშინ დაეშვნენ და მედლებიც დაისაკუთრეს. თუ ვაჟებში ძირითადად ავსტრიელებსა და ბოდე მილერზე გვიწევს ყურადღების გამახვილება, ქალებთან დაკავშირებით საქმე ბევრად ჭრელადაა. მაგრამ ხორვატი იანიცა კოსტელიჩის სახით გამონაკლისი აქაცაა.

მსოფლიო ჩემპიონატზე ჯერჯერობით ექვსიდან სამ სახეობაში გათამაშდა მედლები. ჯერ სუპერგიგანტში, მერე კომბინაციაში და შაბათ-კვირას დაშვებაში. კოსტელიჩი ორჯერ გავიდა სტარტზე და ორჯერვე საუკეთესო დრო აჩვენა. სუპერგიგანტის გამოტოვების შემდეგ კომბინაცია მოიგო და გუშინ დაშვებაშიც არავის დაუთმო პირველობა.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან ხორვატი ერთადერთია, რომელიც წაუგებლად ასპარეზობს. ერთი ეგაა, 19 წლის მასპინძლისგან ელენა ფანჩინისგან ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ მეტოქის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

"როდესაც ფანჩინის შედეგი გამოცხადდა, ვიფიქრე, რომ უდარდელად შეგვეძლო გუდა-ნაბადის აკვრა და შინ წასვლა, რადგან აშკარა იყო, ვერავინ დაგვეწეოდა", - სამშვიდობოს გასვლის შემდეგ განაცხადა კოსტელიჩმა.

ფანჩინის "ვერცხლი" კი იმიტომაა აღსანიშნავი, რომ აქამდე ჩქაროსნულ დისციპლინაში მსოფლიო თასზე მხოლოდ ოთხჯერ გამოვიდა და, ამასთან, არასდროს მე-17 ადგილზე უკეთ. მას შემდეგ, რაც შეჯიბრება დამთავრდა და კვარცხლბეკზე ვერცხლის მედალოსანს უხმეს, ერთადერთი, რაც მოახერხა, ეთქვა, მხოლოდ ეს იყო: ფანტასტიკაა, დაუჯერებელია. ამგვარ შედეგზე ვერც კი ვიფიქრებდი. მიზნად ხუთეული მქონდა, მაგრამ მედალზე ფიქრი ჩემს ოცნებას აღემატებოდა".

სხვათა შორის, სანტა კატერინაში ახლად გამომცხვარი ვიცე-ჩემპიონის უმცროსი და - ნადიაც ასპარეზობს. უფრო სწორად, ერთი კვირის წინათ სუპერგიგანტში გამოვიდა და მეოთხე შედეგით დაასრულა შეჯიბრება.

მესამე ადგილი კი აქაც ავსტრიელს რენატა გიოჩლს დარჩა.

*ინფოთეკა*

### კეტი ფრიმენს დაბრუნება სურს

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ავსტრალიელი მძლეოსანი კეტი ფრიმენი დიდ სპორტში დაბრუნების ვარიანტებს განიხილავს. ადგილობრივ პრესას მორბენალმა განუცხადა, რომ აპირებს, ქვეყნის ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა, მხოლოდ ესტაფეტაში 4X400 მეტრზე. "მე შემიძლია, სარბენ ბილიკებზე დავბრუნდე, მაგრამ არა ინდივიდუალურ, არამედ გუნდურ ასპარეზობაში. ეს საკმარისი მოტივაცია იქნებოდა საიმისოდ, რომ საკუთარი ძალები კიდევ ერთხელ მომესინჯა," - განაცხადა ფრიმენმა.

ცნობილია, რომ ფრიმენმა სიდნეიში 400 მეტრ დისტანციაზე გარბენი მოიგო, ხოლო 2003 წელს სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა.

### "რეინჯერსი" ხიზანიშვილს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს

შოტლანდიური "გლაზგო რეინჯერსის" ქართველი ლეგიონერის ზურაბ ხიზანიშვილის აგენტმა ივან ბენეშმა განაცხადა, რომ "რეინჯერსმა" ხიზანიშვილს ახალი ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ვარაუდობენ, რომ ამჯერად შეთანხმება გაფორმდება. "კლუბის ხელმძღვანელობა ზურაბის კონტრაქტის შესახებ მესაუბრა და განაცხადა, რომ სურს, ხიზანიშვილს კონტრაქტის ვადა გაუხანგრძლივოს. "რეინჯერსს" ხიზანიშვილის შენარჩუნება უნდა, რადგან მას კლუბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურის რანგში განიხილავს. ამის გამო უახლოეს დღეებში ვაპირებთ, ამ კონტრაქტის ყველა დეტალი მოვაგვაროთ," - განაცხადა ბენეშმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

*TV-სპორტი*

### ორშაბათი. 7 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ვოლფსბურგი" - "ვერდერი"
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. "საუთჰემპტონი" - "ევერტონი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ - "ლანსი"
19:40 საფეხბურთო უიკენდი
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ლაციო"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 15:45, 18:45 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. Super Bowl. "PHILADELPHIA EAGLES" - "NEW ENGLAND PATRIOTS". შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:00 საჭადრაკო მიმოხილვა
14:30 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისთვის
16:00 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1999 წელი. მეოთხედფინალი. "DETROIT RED WINGS" - "COLORADO AVALANCHE". მე-4 მატჩი
18:15 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
19:00 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. ფინალი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. კორი სპინკსი - ზაბ ჯუდა
23:10 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა დიდი პრიზი
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
11:45 მულტისპორტი. იტალია-2006
12:00 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი იაპონიაში
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი იაპონიაში
17:30 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი
19:15 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:00 მულტისპორტი. იტალია-2006
22:15 მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი - ევროგოლები
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
03:15 მულტისპორტი. იტალია-2006

# ორი საქართველო

ვიქტორ რცხილაძე

*წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ვიქტორ რცხილაძის ვრცელი ნაშრომის ნაწილს (მეორე თავს), რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "რელიგიაში" გასულ წელს ( 4-5-6, 2004 წ.). რაც შეეხება ამ შრომის ბოლო, დამამთავრებელ თავებს, რომლის "ბოლოთქმა" დათარიღებულია 2004 წლის 10 დეკემბრით, ისინი დაიწერა საგანგებოდ ჩვენი გაზეთისათვის.*

## 1. მცირე შესავალი

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი კრიზისული მომენტის გარჩევისას ისე ძალუმად შემოგანათებს ორი სახე მისი წარსულიდან, რომ ზარდაცემული გაოგნებული ფიქრობ: რაღად უნდა ამას კვლევა და გარჩევა, ეს ხომ ისედაც ცხადია და თითქმის ორ ფერად იყოფა პიროვნებები და მოვლენები - თეთრად და შავად, ანუ არსებობს ორი საქართველო - თეთრი და შავი, ზეციური და მიწისა, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა... მაგრამ არა, თურმე საჭიროა მათი ისევ გამიჯვნა, რადგან აწმყოსაც ხომ ამა ქვეყნის თავადი აბუნდოვანებს, კაცს ტვინს ურევს და ქვესკნელში ჩეხავს და აბა, წარსულს როგორღა გაარკვევს ეს უბედური? ორი საქართველო... აქ ისევ ნეტარ ავგუსტინეს უნდა მივმართო (წინა ლექციებიდან) და მის დიდ შრომას "ღვთის ქალაქის შესახებ", სადაც ორი სამეფო ერთმანეთს ებრძვის - სამეფო მიმართული ამქვეყნიურზე, სამეფო ღვთის მტრებისა (civitas terrena ან diaboli) და სამეფო ღვთისა (civitas dei).

ავგუსტინე ასხვავებს ორ სიყვარულს - სიყვარული უმაღლესი სიკეთისადმი (caritas) და სიყვარული ამქვეყნისადმი, რაც ნიშნავს ნდომას, რომელიც სიკეთეს საწუთროში ეძებს. იგი ამ უკანასკნელს cupiditas უწოდებს. Caritas-ი და cupiditas-ი ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც სიკეთე და ბოროტება. კარიტასი არის ერთადერთი სწორი სიყვარული, კუპიდიტასი - ყალბი და გაუკუღმართებული. უნარი ნდომისა ორივე შემთხვევაში თანაბარ დონეზეა. ბუნებრივ ადამიანთან იგი ამქვეყნიურზეა მიმართული, მგრძნობელობითზე და წარმავალზე. მოქცევა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ლტოლვა გარდაიქმნება და ზეციურზე და მარადიულზე წარიმართება. ადამიანი გარდაიქმნება იმით, რომ მასში იღვიძებს ღვთის სიყვარული, რომელიც მძლავრობს სიყვარულზე ამქვეყნისადმი. სიყვარულში (amor) ავგუსტინე გულისხმობს პირველ ყოვლისა ნდომას, რომელიც ემთხვევა ადამიანის შინაგან ნებელობას. იგი, შესაძლოა, მიმართული იყოს ან ზევით, ესე იგი ღმერთზე და მარადიულზე (ascendi); ან ქვევით (descendi) - ქმნილებაზე და წარმავალზე. პირველი არის კარიტასი, უკანასკნელი - კუპიდიტასი. საქმე თითქოს ისე გამოიყურება, რომ ავგუსტინე მომხრეა, ადამიანმა სავსებით განწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა ამქვეყნიურთან და მთლიანად მარადიულზე წარიმართოს. მაგრამ ეს ასე არაა: მხოლოდ მაშინ, როდესაც საწუთრო ადამიანის გულში პირველ ადგილს იკავებს, მხოლოდ მაშინ ხდება იგი უკუსაგდები.

ყოველივე ეს ისტორიაში, კერძოდ, ჩვენს წარსულში, ცოცხლად აისახება, როდესაც დგება კრიზისული მომენტი ანუ განსაცდელის ჟამი, რასაც გვამცნობს მერვე საუკუნიდან იოანე საბანის ძე წმიდა ჰაბოს ქების შესხმაში: "შენ გამო - წმიდაო მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტესი ჩუენდამი და სარწმუნოებაი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესგან, ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულის-თქუმასა გულთა ჩუენათასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვიწყებელნი საუკუნოისა ცხორებისანი".

ბედნიერი იყო იოანე საბანის ძე, რადგან პირადად იცნობდა წმ. აბოს და მით განძლიერდა. შედარებისათვის, მე-13 ს-ში ნეტარმა რაიმონდ ლულუსმა, დიდმა მისიონერმა და კათოლიკური ეკლესიის "Doctor illuminatus"-მა დიდი მარცხი განიცადა, როდესაც მისმა აღზრდილმა ყრმა სარკინოზმა, ნაცვლად იმისა, რომ უარეყო ისლამი, თავის აღმზრდელს ლოცვის დროს ზურგში ხანჯალი ჩასცა. რაიმონდი გადარჩა, ცხადია, აღსაზრდელი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა, მაგრამ ამ ფაქტმა მასში დიდი ეჭვები აღძრა: შესაძლებელია თუ არა მუსლიმთა ქრისტიანად მოქცევა სახარებისეული სათნოებით, თუ ისევ ძველი გზით სიარული სჯობს ანუ თავდაპირველად საჭიროა მათი მიწების დაპყრობა და შემდეგ კი მათი მიყვანა ქრისტესთან? (Regine Pernoud, Les Croises, Paris 1959).

მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება მსურს მივაქციო იოანე საბანის ძეს შემდეგ სიტყვებს: "... ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა... რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულის-თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა..." ამას იოანე საბანის ძე ისლამის მიმდევრებზე ამბობს. ამრიგად გამოდის, რომ ისლამის მიმდევარნი ლამის ეპიკურისტები და ჰედონისტები ყოფილან, "საწუთროს მოყვარულნი", "გულის-თქუმასა" აყოლილნი და მისი მონანი. ამავე დროს ჩვენ ვიცით, თუ რა თავგანწირვით იბრძოდნენ მაჰმადიანები მათი წარმოდგენით "საღვთო ომში" და რა თავდაუზოგავად იბრძვიან დღესაც "ურწმუნოთა" წინააღმდეგ ე.წ. "შაჰიდები" (დასავლური შეფასებით "ტერორისტები"), რომელნიც თვალდაუხამხამებლად თავს იფეთქებენ და ათას ნაწილად იკუწებიან, ოღონდ მტერს როგორმე ავნონ. სადაა აქ "საწუთროს სიყვარული"?! მართალია, ყველა რელიგიას თავისი "ისტორია" აქვს, მაგრამ ბირთვი რელიგიისა, ის შინაგანი, ირაციონალური, ენთუზიაზმისა და ექსტაზის მომგვრელი უცვლელი რჩება, როგორც ადამიანის ძირითადი გრძნობები, იქნება ეს სიყვარული თუ სიძულვილი. მაშასადამე, სტყუის ჩვენი ჰაგიოგრაფი მუსლიმთა შეფასებისას? საქმეც ის გახლავთ, რომ არა, არ სტყუის და ის ზემოწარმოჩენილი წინააღმდეგობა, ის შეუთავსებლობა "საწუთროს სიყვარულსა" და მის მყის უარყოფას შორის თავად ისლამშია დაბუდებული, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ახლა კი მსურს აღვნიშნო შემდეგი. გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი თავის ძირითად ნაშრომში (ო. შპენგლერი, "ევროპის დამხობა", გერმანულ ენაზე, ტ. II, მიუნხენი 1930 წ., გვ. 212) ერთგან საუბრობს იმაზე, რომ როდესაც მონოფიზიტები და ნესტორიანები ორთოდოქსებს გამოეყვნენ, ახალ ეკლესიებთან ერთად ახალი ნაციებიც წარმოიქმნაო. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ხდება ერთი რელიგიის წიაღში, ხოლო რაღა მოხდებოდა მაშინ, როდესაც საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ რელიგიას განსხვავებული რელიგია განდევნიდა - ეს ხომ ეროვნული სულის გარდაქმნას და მის გადაგვარებას გამოიწვევდა?! აი, სწორედ ასეთ კრიზისულ მომენტებს ჰქმნიდა ისლამის მომძლავრება საქართველოში, როდესაც ერი ან უნდა გადაგვარებულიყო, ან ფიზიკურად მოსპობილიყო. შესაძლოა, იგივე გვეთქვა ისლამის წინადროინდელ, ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსეთთან მებრძოლ საქართველოს ხანაზე, მაგრამ ის ეპოქა შთაინთქა წარსულის მღვრიე ტალღებში, ხოლო ისლამი მე-8 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, დიახ, დღევანდელობამდე, ცხადია, მეტნაკლები სიმძაფრით, ისტორიის გარკვეულ მომენტებში დიდ საფრთხეს უქმნიდა და უქმნის ჩვენს ერს (და არა მარტო ჩვენს ერს). კარგად გავიგოთ: აქ საუბარი არ არის ისლამის, როგორც რელიგიის, ავკარგიანობაზე, არამედ იმაზე, რომ იგი ისტორიის მანძილზე დასაყრდენად და ბურჯად გვევლინებოდა "შავი საქართველოსათვის". ამ ნაშრომის წინა, ღვთისმეტყველურ თავს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ რელიგიის გამოყენებით, პირველცოდვისა და პიროვნული ცოდვის გადახლართვა ხდებოდა თაობიდან თაობამდის.

წინასწარ აქვე უნდა განვაცხადო, რომ ეს ნეგატიური ტონი ისლამის მიმართ არ ეხება დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს ისლამურ ან ისლამის ამღიარებელ სახელმწიფოებთან, ასეთი ურთიერთობები დღეს, პირიქით, ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია. მაგრამ რაღაც "კავკასიური სახლის" შექმნა მაჰმადიანურ კავკასიურ ერებთან ერთად, რომელიც საერთო სულისკვეთების მატარებელი იქნება, ეს, ჩემი აზრით, არა მარტო ნონსენსია, არამედ უღრმესი შეცდომაც, რაც ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, ვინც კი ისლამის ბუნებას ოდნავ მაინც იცნობს.

ამავე დროს ნურც ნურვინ ჩამთვლის რუსეთის ორიენტაციის მომხრედ, როგორც "ერთმორწმუნისა", რადგან მიმაჩნია, რომ ფაქტობრივად რუსი ერის მხოლოდ მცირე შრე იყო და არის ჭეშმარიტად გაქრისტიანებული და ფაქტობრივად ეს უზარმაზარი სახელმწიფო წარმართულია და საერთაშორისო ურთიერთობებში იგი საუკუნეების მანძილზე ხელმძღვანელობს მხოლოდ ეგოიზმით და ე.წ. "Realpolitik"-ით! (ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში კახეთის მეფე ალექსანდრე დიდ დახმარებას ელოდა "ერთმორწმუნე" რუსეთისაგან, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო, სამაგიეროდ რუსეთმა მას ყოველწლიური ხარკი შეაწერა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967). "მესამე რომმა" გამოამჟღავნა დამახასიათებელი თვისება რუსული კულტურისა XVI-XVII საუკუნეებისა - მისი "შეურიგებელი ნაციონალიზმი" (Д. Оболенский, Византийское содружество наций. Москва 1998, стр. 392). მე ვიტყოდი, XIX და XX საუკუნეც ასეთივე იყო "რუსული კულტურისათვის". შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები მომდევნო საუკუნეებში, საკმაოდ ცნობილია თვით უახლესი "აფხაზეთის ომის" ჩათვლით, როდესაც მუსლიმთა, რუსთა და სომეხთა ძმობა ერთად ებრძოდნენ საქართველოს. რუსეთის წარმართობაზე ნათლად მეტყველებს კიდევ ე.წ. "სნოხაჩესტვო", ე.ი. როდესაც მამა ცხოვრობს შვილის ცოლთან, რაზედაც ჩიოდა ჯერ კიდევ ივ. ტურგენევი თავისი რომანის გმირის ბაზაროვის პირით და დამთავრებული მაქსიმ გორკის ურთიერთობით თავისივე რძალთან... არც ისაა შემთხვევითი, რასაც მოსთქვამდა ვ. როზანოვი, რომ რუსეთმა რევოლუციის დროს, მისმა გლეხობამ, როგორც აბანოში ჭუჭყი, ისე ჩამოიცილა ქრისტიანობაო...).

არც დღევანდელი დასავლეთის ქრისტიანობის იმედი მაქვს, რომელიც თავად დიდ კრიზისში იმყოფება და იგივე ისლამი ფეხს იკიდებს ევროპის ერებში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს და მის პოლიტიკას საქართველოში, ამაზე შემდეგ შევჩერდები.

მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ისლამურმა გარემოცვამ მიიყვანა საქართველო პოლიტიკურ კრახამდე, რომლის შედეგებსაც დღესაც ვიმკით.

## 2. ისლამის მოკლე დახასიათება მიმანიშნებელი აქცენტებით

რასაკვირველია, ეს "აქცენტები" დასმული არის იმ კუთხით, თუ რამდენად სახიფათო ხდება ეს რელიგია არა მუსლიმთა მიმართ. ცხადია, იოანე საბანის ძეს, თავად სასულიერო პირს, "საწუთროის მოყვარეობად" მოეჩვენებოდა მაჰმადიანთა მრავალცოლიანობა (ჰეგელი თავის "ისტორიის ფილოსოფიაში" (მოსკოვი 1935, გვ. 339) გვაუწყებს: "თავად აღმოსავლეთი, მას მერე, რაც ენთუზიაზმმა თანდათანობით ჩაიარა, მიეცა გარყვნილებას. გაბატონდა საშინელი ვნებები და რადგან უკვე მაჰმადიანური მოძღვრების თავდაპირველ ფორმულირებაში საუბარია ხორციელ სიამოვნებაზე და იგი გამოცხადებულია როგორც საჩუქარი სამოთხეში, სწორედ მან დაიკავა ფანატიზმის ადგილი". მაგრამ საინტერესოა ამ ფრაზის დასასრული: "ამჟამინდელ დროში, გადარეკეს რა ისლამი აზიასა და აფრიკაში და ითმენენ რა მას ქრისტიანული სახელმწიფოების მეტოქეობის შედეგად მხოლოდ ევროპის ერთ-ერთ კუთხეში, ისლამმა უკვე დიდი ხანია, რაც დატოვა მსოფლიო-ისტორიული არენა და კვლავ დაუბრუნდა აღმოსავლურ სიმშვიდესა და უძრაობას". რა იცოდა ამ დროს ჰეგელმა, რომ მისი უფროსი თანამედროვე იბნ აბდალ ვაჰაბი (1696-1787) შორეულ არაბეთში უკვე აღვიძებდა ისლამს პურიტანული რეფორმებით და რომლის შედეგებს 21-ე საუკუნეში მოიმკიდა ცივილიზებული მსოფლიო) და ის გარემოება, რაზედაც საუბრობს ისლამის ამერიკელი სპეციალისტი ფრედერიკ მ. დენი: "ადამიანის არსებაში არაფერი არ არის, რაც თავდაპირველად, ე.ი. ფუნდამენტურად და გამოუსწორებლად - ბოროტება იქნებოდა. ისლამში არასოდეს - ყოველ შემთხვევაში, მისი სუნიტური უმრავლესობის თეოლოგიაში - არ განვითარებულა მოძღვრება ხსნაზე, რომელიც საჭიროს გახდიდა მოსანანიებელ ან მონაცვლე მსხვერპლს, რომელიც იქნებოდა "გამოსასყიდი" ან მონანიება თვითნებური და ცოდვილი კაცობრიობისათვის, რომელიც მას შეარიგებდა ღმერთთან ღვთისავე უსაზღვრო მოწყალებით, როგორც ეს ხდება ქრისტიანულ მოძღვრებაში ხსნის შესახებ". მათი რწმენით, რადგან ადამიანი ბუნებით კეთილია, ყურანის შემწეობით, ისინი ისევ დაუბრუნდებიან ამ სიკეთეს (Фредерик М. Дени - Ислам и мусульманская община (1994). В книге: Религиозные традиции мира. Т. 2. М. 1996).

ამას ემატება დოგმატი ღვთაებრივ წინარგანჩინებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ისლამურ ფატალიზმსა და რელიგიურ ფანატიზმს. გავიხსენოთ ამ ნაშრომის ის თავი, სადაც საუბარია რელიგიურ გამოცდილებაზე რუდოლფ ოტტოს მიხედვით. იქ ღვთაებრივი (ნუმინოზური) ხასიათდება როგორც ზემძლავრი, ამაღლებული და რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, როგორც "სრულიად სხვა" - იდუმალებით აღსავსე მიუწვდომელი. ასეთი ნუმენის წინაშე ნებისმიერი არსება არარაობას წარმოადგენს, რომელიც სავსებით უძლურია საკუთარი არჩევანი განახორციელოს და რომელსაც განაგებს ყოვლისგანმსაზღვრელი ღვთაებრივი - ნუმენი. ასეთია პრედესტინაცია (Pradestination) ანუ წინარგანჩინება, ამბობს რ. ოტტო, რომელიც სათავეს იღებს ნუმენის ზემძლავრობისაგან, რაც სულაც არ ნიშნავს ადამიანში "არათავისუფალი ნების" არსებობას. "ისურვე როგორადაც გინდა, თავისუფლად მოახდინე შენი არჩევანი, მაგრამ ყველაფერი ისე ახდება, როგორადაც უნდა ახდეს და როგორც განსაზღვრულია". ეს "მაგრამ", თავისუფალ ნებასთან ეს დაპირისპირება, საქმის ჭეშმარიტ ვითარებას ასახავს - დაასკვნის ოტტო. თავის თავისუფალ ნებასთან ერთად, თავისუფალ არჩევანთან და ქმედებასთან ერთად, ადამიანი მაინც არარაობას წარმოადგენს მარადიული ძალის წინაშე, რომელიც მიუხედავად ადამიანური ნების თავისუფლებისა, მაინც თავის გადაწყვეტილებას აღასრულებს. საკითხის ამ მხარეს ძალზე ზედმიწევნით აღწერენ ისლამური მოთხრობები, სადაც, ერთი მხრივ, აღწერილია ადამიანის თავისუფალი ქმედება და ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, ალაჰის ნების განუხრელი შესრულება, ერთი მხრივ, ქმნილის მოწადინება, მისი თავისუფალი ნების გამოვლენა და, მეორე მხრივ, ამის საპირისპიროდ, მაინც შემოქმედის ჩანაფიქრის დაგვირგვინება. ასე მოგვითხრობს ყურანის კომენტატორი ბეიდჰავი (რ. ოტტოს მიხედვით): "როდესაც ასრაელმა, სიკვდილის ანგელოზმა, სოლომონთან ჩაიარა, მიაპყრო მან მზერა ერთ-ერთ მის თანამოსაუბრეს. ამ უკანასკნელმა იკითხა, ვინ არის ეს? - სიკვდილის ანგელოზი, უპასუხა სოლომონმა. როგორც ჩანს, ჩაილაპარაკა სოლომონის სტუმარმა, მან თვალი დამადგა. გთხოვ, მიმართა სოლომონს, უბრძანე ქარებს, რათა წარმიტაცონ აქედან და ინდოეთში დამსვან. სოლომონმა შეუსრულა თხოვნა და მაშინ თქვა ანგელოზმა: მას რომ ამდენხანს დავაცქერდი, ეს გამოწვეული იყო გაკვირვებით, რადგან ნაბრძანები მქონდა მისი სულის ინდოეთიდან მოგვრა, მაშინ, როდესაც იგი შენთან იყო, ქანაანში". სწორედ ეს არის წინარგანჩინება, ამბობს ოტტო, როგორ თავისუფლადაც არ უნდა დაგეგმოს ადამიანმა თავისი ცხოვრება, ალაჰი მაინც თავის გადაწყვეტილებას ასრულებს. მესნევის სტროფია:

გაჭირვებაში ვარდება ზოგიერთი გაჭირვებისგან გარიდებული,
წინ ეჩეხება ურჩხულს, გველისაგან გამოქცეული.

არც ერთი სხვა რელიგია ისე არ იხრება პრედესტინირებულობისაკენ, როგორც ისლამი. რ. ოტტოს აზრით, ისლამისათვის სწორედ იმის ნაკლებობაა დამახასიათებელი, რითაც აღსავსეა იუდაიზმი ან ქრისტიანობა - რაციონალური, საგანგებოდ ეთიკური მხარე ღვთის იდეისა. ცხადია, აქ იმაზე არ არის საუბარი, რომ ნუმინოზური მხარე ამ რელიგიებს აკლიათ. მაგრამ ნუმინოზურ-ირაციონალური ალაჰში აბსოლუტურად სწონის ყველაფერს. ის, რაც ქრისტიანობაში ნუმინოზურს ერთგვარად "არბილებს" - მისი რაციონალური, ამ შემთხვევაში ზნეობრივი მხარე, განაგრძობს ოტტო, ალაჰში ასე არ ხდება. ამით აიხსნება, - ამტკიცებს გერმანელი მკვლევარი, რასაც ამ რელიგიის "ფანატიკურ" ნაკადს უწოდებენ: ძლიერ ამაღელვებელი, "თავდასადები" გრძნობა ნუმენისა, რაციონალური მომენტების უქონლობის გამო გარეშე ყოველგვარი შერბილებისა - სწორედ ეს არის არსი ნამდვილი "ფანატიზმისა", თუკი ამ სიტყვას დღევანდელი, სეკულარიზებული "გაცვეთილი" გაგებით კი არ ვიხმართ, არამედ მისი თავდაპირველი მნიშვნელობით, რომელიც ვნებითაღსავსე ნუმინოზურ "ენთუზიაზმს" გულისხმობს.

წინარგანჩინების შეგნებიდან ამოსული ფატალიზმი ისლამის ისტორიაში მრავალგზის დასტურდება. მაგალითად:

"- განა ძალგიძს შეაჩერო ანგელოზი, როცა შენი სულის წასაღებად მოვა?

- რასაკვირველია, არა, - მიუგო მიურიდმა.

- მაშ შინ წადი და დაწექი, - უთხრა ჰამზად-ბეგმა, - რაც გვიწერია, იმას ვერ გავექცევით. თუ ალაჰმა სასიკვდილოდ ხვალინდელი დღე დამინიშნა, წინ ვერაფერი დაუდგება" (ალექსანდრე დიუმა, კავკასია, თბ., 1944, გვ. 49).

აქვე უნდა აღინიშნოს ყურანის მომნუსხველი ზემოქმედების ძალა. იგივე ფრედერიკ დენი გვამცნობს: "თვით ყურანისეული არაბული ენის ჟღერადობას, მისი მართებული გამოთქმისას, მსმენელები აჰყავს სულიერი გამოცდილების სიმაღლეებზე და ტკბობამდე. ეს ფენომენი აღინიშნება თვით იმ მუსლიმებთანაც, რომელთაც არ უწყიან ან თითქმის ვერ გებულობენ არაბულად..."

მართალი მოგახსენოთ, თვით მეც მომგვარა სიამოვნება ყურანის სმენამ არაბულ ენაზე, როდესაც მისთვის ტრაგიკულ ჟამს სადამ-ჰუსეინი კითხულობდა მას რადიოთი.

"განსაკუთრებულ დამსახურებად ითვლება მთელი ყურანის გაზეპირება", - განაგრძობს ფ. დენი - "ადამიანი, რომელიც ამას მიაღწევს, ღებულობს საპატიო წოდებას გამოცხადების "სარანგისა".

აქ ძალაუნებურად მახსენდება პროქართულად განწყობილი ირრელიგიური მესხი, აწ უკვე გარდაცვლილი ხალილ უმაროვი (გოზალიშვილი). მამამისს თურმე ყურანი ასე დაუზეპირებია: გაუკეთებია სახრჩობელას მარყუჟი, თავი შიგ გაუყვია და ისე ზეპირობდა ყურანს. კითხვისას თუ ჩამოეძინებოდა, მარყუჟი მას ახრჩობდა.

"ყურანის კითხვის დროს", - ამბობს ფ. დენი - "დგება მომენტი... როდესაც ადამიანი შეიგრძნობს ზებუნებრივი, ზოგჯერ საშიში ძალის თანდასწრებას. მკითხველი უეცრად გრძნობს, რომ ის კი არ კითხულობს ყურანს, არამედ ყურანი "კითხულობს" მას!"

როგორ არ გავიხსენოთ აქ გოეთე, რომელმაც გენიალური პოეტური ინტუიციით ყურანს უწოდა "წიგნი მომხიბვლელი და ერთდროულად საშინელი!" ცხადია, "საშიში ძალის" განცდა არ არის ქრისტიანულ ლოცვაში, მით უმეტეს, სახარების კითხვისას. თუ რაიმე გვეუფლება ასეთი ლოცვის დროს, ესაა ნეტარება, თუნდაც ერთდროულად შევიგრძნობდეთ ზებუნებრივის თანდასწრებას. სხვათა შორის, ერთმა გულწრფელმა ანთროპოსოფმა კითხვაზე, გრძნობ თუ არა ნეტარებას ლოცვის ჟამსმეთქი, მიპასუხა: ანთროპოსოფიული მედიტაციის დროს ოთახში ისმის კაკუნი, ჭახანი და ნეტარება რა არის - არ ვიციო.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისლამს. ფ. დენი ხაზგასმულად გვაუწყებს შემდეგს: "ისლამური ცნობიერება ძალზე თვალსაჩინოდ წარმოაჩინა ერთმა მალაიზიელმა სტუდენტმა - მუსლიმმა... როდესაც მას სთხოვეს, გამოეთქვა თავისი აზრი... ჯიჰადის შესახებ, რაც გულისხმობს ღვთისაკენ სწრაფვას და ზოგჯერ წმიდა ომს, მან განაცხადა, რომ ჭეშმარიტი ისლამი - ესაა ჯიჰადი ყველგან და ყველაფერში. როგორც "მცირე" ჯიჰადი - ომი და ბრძოლა გარეშე სამყაროში, ასევე "დიდი" ჯიჰადი - გამუდმებითი დაძაბვა - წინააღმდგომა შინაგანი, სულიერი გახლეჩისადმი. აი, სწორედ ისინი წარმოადგენენ ისლამის არსებით ელემენტებს". ფ. დენის სიტყვებით, ჯიჰადს ასეთ დიდ მნიშვნელობას მთელი მუსლიმანური სამყარო ანიჭებს. საგულისხმოა, რომ ქრისტიანობა ვერ ვრცელდება ისლამურ ქვეყნებში, მაშინ როდესაც ისლამი - პირიქით! განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სეკულარიზაცია და ათეიზმია ფეხმოკიდებული. ამიტომ არის, რომ გახმაურებული წიგნის ავტორი ს. ჰანტიგტონი ისლამს მტრულ ძალად აღიქვამს და ცივილიზაციათა ბრძოლას გვიწინასწარმეტყველებს (ჰანტიგტონის ნაშრომი (1993), შემდგომში წიგნი, 2001 წლის 11 სექტემბრამდე გამოვიდა - Samuel P. Huntington, The clash of Civilizations, New York 1996). რაც შეეხება გერმანელ ავტორს ჰ. მიულერს, იგი უკვე ნიუ იორკის კატასტროფის შემდეგ აქვეყნებს თავის წერილს, (Harald Muller, Kampf der Kulturen - Religion als Strukturfaktor einer Wetpolitischen Konfliktformation? [Politische Vierteljahresschrift-Sonderheft 33/2002), სადაც ალ ქაიდას დანაშაული გამოკვეთილია. ეს რადიკალური ისლამური ორგანიზაცია თავისი რწმენის საფუძვლების ლოგიკური განვითარებით წარმოადგენს პოლიტიკურ თეოლოგიას, რომელიც სეკულარიზებულ სახელმწიფოს უარყოფს და ებრძვის მას, რადგან ასეთი სახელმწიფო საკანონმდებლო კომპეტენციაზე აცხადებს პრეტენზიას, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის, რომელმაც "ზეციდან" კაცობრიობას ყურანი მოუვლინა და ისლამის ათასწლოვანი ტრადიციის მიხედვით საზოგადოება მხოლოდ მის კანონებს უნდა ეყრდნობოდეს. ასევე არ არსებობს დაცილება პოლიტიკურსა და კერძო სფეროს შორის. თვით პრინციპი ნაციონალური სახელმწიფოსი უარყოფილია, რადგან მხოლოდ "უმმას", როგორც მთლიანობას, მაშასადამე, საყოველთაო მუსლიმთა (მორწმუნეთა) ერთიანობას ძალუძს ღვთაებრივი კანონისაგან სანქციონირებით პოლიტიკური შენაერთების დაფუძნება.

სწორედ ამიტომ არის საჭირო, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, არა შეუთავსებელთა შეთავსება და რაღაც საეჭვო "კავკასიური სახლის" ანუ "კავკასიური სახელმწიფოსადმი" ლტოლვა, არამედ ნაციონალურ ისლამურ სახელმწიფოებთან ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარება.

ახლა ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ მტერთან ჰქონდათ საქმე ჩვენს წინაპრებს. არ დამავიწყდება გათურქებულ მესხთან, ოდაბაშევთან საუბარი დაახლოებით ამ ოცდაათი წლის წინ. როდესაც მას შევუძახე და მის "ქართველობას" მივმართე, მან მხოლოდ ნაღვლიანად ამიხსნა, თუ ხე როგორ ხმება, როდესაც მას ნაწილ-ნაწილ რტოებსა და კვირტებს ასხეპენ (აგრეთვე სულიერ პლანში). თქვენს წინაშე ასეთი "გამხმარი ხე", ანუ სრულიად სხვა მცენარე დგასო. სწორედ ამით აიხსნება აფხაზეთის ომში თურქი თუ ირანელი ქართველების სრული ინდიფერენტიზმი ("აბა, მუსლიმი მუსლიმს ხომ არ ვესვრიო?!") (მაგრამ აჭარა და აჭარლები? - იკითხავს ჩვენი მკითხველი. პასუხი მოსალოდნელი უნდა იყოს: ვინც ქრისტიანობას დაუბრუნდება, უფრო მეტად იქნება ქართველი. ზოგმა ათეიზმის გზით დათმო ისლამი, მაგრამ მისი ქართველობა გამყარდება ქრისტიანობის მიღებით, როგორც იტყვიან per aspera ad astra! შემდგომი შეკითხვა: განა ათეისტი ქართველები არ არსებობენ, ან მათ პატრიოტობა აკლიათ? ამ კითხვაზე და ასეთ ქართველებში ფაშიზმის აღმოცენების საშიშროებაზე (ისევე, როგორც სხვა ერებში) მოგვიანებით გავცემ პასუხს ამავე გვერდებზე. ისე, თუ გავიზიარებთ კარლ რანერის მოძღვრებას "ანონიმური ქრისტიანის" შესახებ, შეიძლება ათეისტი პატრიოტის არსებობა, რომელიც მაინცდამაინც ფაშისტი არ უნდა გახდეს. "ანონიმური ქრისტიანები (ეს ძალაშია ყველა ადამიანის მიმართ, რომელნიც თავიანთ თავს გამოკვეთილად არ უწოდებენ ქრისტიანებს), რადგან ისინი, უწყიან მათ ამის შესახებ, თუ არ უწყიან, განათებულნი არიან მადლის შუქით, რომელსაც ღმერთი ყოველ ადამიანს ანიჭებს... ჩვენ, ქრისტიანები, ხშირ შემთხვევაში, ბრმები გამოვდივართ, როდესაც ყოფიერების ისტორიაში, რელიგიაში საერთოდ ან ფილოსოფიაში ამ დაფარულ ქრისტიანობას ვერ ვამჩნევთ". მაგრამ კარლ რანერი მთლად ორიგინალური არ არის, რადგან ჯერ კიდევ II საუკუნეში იუსტინე ფილოსოფოსი (წამებული) ავრცელებდა მოძღვრებას Logos Spermatikus-ის შესახებ, ე.ი. ქრისტეშობამდელი ლოგოსის შესახებ, რომელიც ჩანასახისებრ იყო გაბნეული კაცთა მოდგმაში მანამ, სანამ მაცხოვარი მოევლინებოდა ამ ქვეყანას. სწორედ ამით აიხსნებოდა, იუსტინეს აზრით, ძველ ფილოსოფოსთა სწორი მსჯელობა).

საინტერესო ცნობას გვაწვდის ვიქტორ ნოზაძე: "მოგახსენებთ ერთ შესამჩნევ ამბავსაც: უკანასკნელი ომის დროს შემთხვევით ქართველ ტყვეთა ვინაობის ცნობარი ვნახე. იმ ადგილზე, სადაც შეკითხვა იყო, თუ რა რელიგიის არის შეკითხვის შემავსებელი, ხშირად იყო ნათქვამი: რელიგია - ქართველი. ამის გამო ზოგს ეცინებოდა, ხოლო მე ეს ამბავი არც გამკვირვებია, მასზე არც გამიცინია, ვინაიდან ჩემთვის აშკარა იყო, რომ ამ ქართველთათვის რელიგია იყო ქრისტიანული და ქართული, - ქართველ ხალხში ჩვეულებით გამაგრებული და მკვიდრად განმტკიცებული: - ქართველობა იმავე დროს ქრისტიანობასაც ნიშნავდა!.."

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კონკურენტების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონდომებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |
| 1 ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი | 8 თქვენი ინტერესები |
| 2 შვილები: (თუ გყავთ) | 9 თქვენი ჰობი |
| 3 პროფესია: | 10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| 4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება) |
| 5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| 6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | 13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| 7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში. ხელმოწერა ________ თარიღი ________ ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |

თქვენი ფოტოსურათი

## TV პროგრამა

7 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "შეყვარებული ქალები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "პატარა ანგელოზები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ფორმულა 51" (18) (სამუელ ელ ჯექსონი) **01.55** პატრული

**08.00** "ადრე" პროფილაქტიკა **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ანესთეზიის ისტორია" **23.00** მრწამსი - ლიტურგია **23.30** მხ. ფილმი "სამოთხე ნაპოვნია" (15) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "მიწოდეთ ანა" (15) (პეტი დიუკი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **21.45** სპექტაკლი "მარტოობის დღესასწაული" **23.05** კინოსეანსი "თუში მეცხვარე" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. "ლეიკერსი"-"ჰიუსტონი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" 1-ლი ს. **22.50** "არჩევანი თქვენ" **00.10** სპ. პროგრამა "გოლი" **00.40** მხ. ფილმი "ცალთვალა ჯეკი" (გ) (მ. ბრანდო)

**09.00** მუსიკა **09.30** კომედია "ქაღალდის ჯარისკაცები" **11.00** დოკ. ფილმი **12.00** მხ. ფილმი "ბაიკერები" **13.50** მუსიკა **14.15** ვესთერნი "რაზმი" **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** კომედია "ტაქსი-3" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** მელოდრამა "ტკბილი ნოემბერი" **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** ბოევიკი "განგსტერები" **01.25** მუსიკა

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.00** საზავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "შურისძიება და კანონი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "მუხრუჭი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Инна Макарова в фильме **"ЕЩЕ НЕ ВЕЧЕР" 11.00** Сериал **"КЛОН". 12.20** Джоди Фостер в триллере **"КОМНАТА СТРАХА". 14.30** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 16.30** "Пять вечеров". Понедельник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Андрей Соколов в многосерийном фильме **"БЛИЗНЕЦЫ". 22.40** Фильм Леонида Парфенова "Частный Рубенс за 100 миллионов". **23.40** Ночное "Время". **00.00** Искатели. "Золотой колодец". **00.30** "Сканер". "Домашний ад". **01.00** Петр Марченко в программе "Русский экстрим". **01.30** Мел Гибсон в фильме **"МЯТЕЖ НА БАУНТИ"**. 1789 год. Фрегат "Баунти" благополучно возвращался с Таити с грузом ценного хлебного дерева. Неожиданно вспыхнувшая ссора между капитаном Блайем и его другом Флетчером разделила команду на два лагеря. На корабле вспыхнул мятеж. Капитан и его сторонники были высажены в маленькую шлюпку и оставлены посреди океана. Но вскоре выяснилось, что никто из оставшихся на корабле не знал, как управлять судном... **03.30** Эйдан Куинн в приключенческом фильме **"УКРАДЕННОЕ ЛЕТО"**. Два чикагских мальчика Пит и Дэнни, наслушавшись взрослых разговоров, серьезно призадумались: как гарантировать себе путь в рай? Ведь монахиня в католической школе рассказывала, что туда берут только лучших из лучших. Друзья решают: у них есть целое лето, чтобы заслужить себе пропуск в Небесное царство... **05.05** Док. фильм "Заклинатель змей".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ВНЕБРАЧНЫЙ РЕБЕНОК". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Сериал **"МАНГУСТ-2". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Андрей Краско в сериале **"СТЕРВЫ, ИЛИ СТРАННОСТИ ЛЮБВИ". 1**-я с. **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 01.15** Профессия - репортер **01.40** Роберт Вагнер в комедии **"СУПРУГИ ХАРТ: СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ"**. На благотворительном аукционе в руки Дженнифер попала старинная вещица - медальон в форме сердца, внутри которого были две детские фотографии - мальчика и девочки. С этого и началась детективная история... Юный Стюарт с медальоном все подстроил - ему очень хотелось продвинуть свою карьеру, вот он и внушил своей тете Маурин, что на фотографиях в медальоне она и ее младший брат, а теперь - известный миллионер, Джонатан Харт. Бесхитростная тетя поверила в сказку, которая чуть было не закончилась трагически для нее самой. В это же самое время за богатством Хартов охотятся двое преступников... **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



**წინა სკანვორდის პასუხები:** ფტორი; ორნიტოლოგი; კრეისერი; უნია; ბოავიშტა; ტორესი; აკორდეონი; ბოიკოტი; ბერნესი; ტიფი; პისტოლეტი; მეხრე; მეანობა; ტევეტონი; გულოვანა; სკერცო; სანიტარი; კომპოსტი; კლიპერი; მზე; პერო; ოსტრავა; პიგმენტი; პაიკი; პრაგმატიზმი; ტარიელი; სიროფი; პროტოიონული; ფიგარო; პიკასო; ხორავა; ხახამი, საგა; ლოფტი; მერიმე.

# "მედუზა" ტულუზიდან, ანუ პირდაპირი მნიშვნელობით, უხერხემლო მერი

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში



მე გიამბობთ საოცარ ამბავს ინდიანას შტატის ქალაქ ტულუზის უხერხემლო - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - მერის შესახებ. გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა, ოღონდ აუცილებლად წაიკითხეთ.

მერს ჰქვია დესმონდ კროუ - "მედუზა". რატომ შეარქვეს მას ეს მეტსახელი, ჩვენი შემდგომი ნაამბობიდან შეიტყობთ. როდესაც დესმონდი პირველად აირჩიეს მერად, ის აღსავსე იყო თავისი ქალაქის სამოთხის კუთხედ ქცევის მშვენიერი ოცნებებით. მაგრამ რეალობამ მალევე გაუცრუა ოცნებები.

**"როდესაც ვცადე გამოწვევა მესროლა მსროლელთა ნაციონალური ასოციაციისთვის, იარაღით მოვაჭრეებმა მიზანში ამომიღეს, კარგია, რომ მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით,** - იხსენებს მერი, - **მერე დავაპირე თავის ადგილზე დამეყენებინა ქალაქის ყველაზე მსხვილი ბანკი, შედეგად კი მისი ფინანსური მხარდაჭერა დავკარგე"**.

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ კროუ მეორე ვადით მერად აღარ აირჩიეს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მარცხმა იგი ღრმა დეპრესიაში ჩააგდო, გაკვეთილმა ტყუილად არ ჩაიარა. **"კარგი გაკვეთილი მივიღე. მივხვდი, რომ ფულის ტომრების გარეშე უაზრობაა, მეტიც, შეუძლებელია, მართო ქალაქი"**, - ამბობს კროუ. მოკლედ, მწარე გამოცდილების მქონე გუშინდელი იდეალისტი მიწაზე მცოცავ პრაგმატიკოსად ჩამოყალიბდა, რომელიც, მისივე სიტყვებით, მზად იყო "ფულისა და ძალაუფლების სანაცვლოდ სული ეშმაკისთვის მიეყიდა".

და, აი, თვალებახელილმა დესმონდმა კვლავ გადაწვიტა მერის თანამდებობის მოსაპოვებლად ებრძოლა. მისი ახალი საარჩევნო პლატფორმა კი ძველისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც წყვდიადი ნათელისგან. ამგვარი პოლიტიკური მეტამორფოზის ახსნისას, კროუმ განაცხადა: **"მივხვდი, რომ არჩევანის წინაშე ვდგავარ - ან ვიყო პრინციპული უიღბლო, ან უხერხემლო გამარჯვებული. მე მეორე ავირჩიე"**.

აწარმოო საარჩევნო კამპანია ფულის გარეშე, იგივეა, რომ გაზარდო ჩვილი ბავშვი ურძეოდ. ამიტომაც "თვალახელილმა" დესმონდმაც რევერანსი გაუკეთა იმავე ბანკირებს, რომელთა წინააღმდეგაც იყო განწყობილი თავის "წინა ცხოვრებაში". მაგრამ ეჭვიანმა ბანკირებმა უთხრეს: **"სად არის გარანტია, რომ შენ ისევ არ წახვალ ჩვენს წინააღმდეგ?"** კითხვა სრულიად ბუნებრივი გახლდათ. ბანკირებს რისკის გაწევა ნაკლებად უყვართ, მით უმეტეს კი, არ უყვართ ფულის განიავება. **"მივხვდი, რომ ჩემს ლოიალობაში მათ დასარწმუნებლად რაღაც დრამატული ჟესტი იყო საჭირო"**, - იხსენებს კროუ.

ჟესტი, რომელიც "ახლად მოქცეულმა" პოლიტიკოსმა კროუმ ჩაიფიქრა, მართლაც რომ დრამატული გახლდათ. მან გადაწყვიტა ხერხემლის გარეშე დარჩენილიყო, რომ არა მარტო გადატანით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც, არ აღმდგარიყო ფულის ტომრების წინააღმდეგ! მაგრამ შეერთებულ შტატებში კროუს გაუჭირდა ისეთი ქირურგის პოვნა, რომელიც მის უხერხემლოდ ქცევას დათანხმდებოდა. ყველამ, ვისაც კი მან ასეთი თხოვნით მიმართა, მორალური თუ ეთიკური მიზეზების მოშველიებით, უარი უთხრა. კროუს მცდელობა, დაეშინებინა ესკულაპები, ასევე უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ, მიზნის მისაღწევად "უხერხემლობის მსურველმა" ოკეანის გაღმელ ექიმებს მიმართა და გაუმართლა კიდეც. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ერთ-ერთ ქვეყანაში მან მიაგნო ქირურგს, რომელიც დათანხმდა მისთვის მოეშორებინა სხეულის მნიშვნელოვანი, მაგრამ პოლიტიკოსისთვის ესოდენ სახიფათო ნაწილი. შედეგად, ჟელესმაგვარ მდგომარეობაში მყოფი (აქედან მოდის მისი მეტსახელი - "მედუზა") კროუ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა.

და დადგა გადამწყვეტი მომენტიც - ტულუზის სავაჭრო პალატის ყოველთვიური სხდომა. **"აქ წარმოდგენილი იყო ქალაქის ყველა სპეციალური ინტერესი"**, - იხსენებს მერი, - **მეც სპეციალური ორთოპედიული სავარძლით გამაგორეს სცენაზე. შეკრებილ აუდიტორიას ასეთი სიტყვებით მივმართე: "მე საყრდენად თქვენი ზურგი მჭირდება, რადგანაც, როგორც ხედავთ, საკუთარი არ მაქვს. ამიტომ შეგიძლიათ დარწმუნებულნი იყოთ, რომ არასოდეს შეგიშლით ხელს"**.

"მედუზას" დემარშმა სასურველი ეფექტი მოახდინა. "სპეციალურმა ინტერესებმა" ერთგულების ასეთ შეუვალ დადასტურებას დაუჯერეს და კროუ ორთოპედიულიდან მერის სავარძელში გადააბრძანეს. მეტიც, იმ კორპორაციის ფულით, რომელიც კროუს მერად არჩევაში დაეხმარა, გაკეთდა და შესყიდულ იქნა სპეციალური კორსეტი, რომელსაც ახლა ატარებს ქალაქის უხერხემლო თავი. ამასთან დაკავშირებით, ტულუზელები ხუმრობენ, რომ მათი მერი მუდმივად მჭიდროდ არის მოქცეული საქმიანი სამყაროს მკლავებში.

ინდიანას შტატის ქალაქ ტულუზის მერის ისტორია, თითქოს ეზოპეს, ლაფონტენის, ან კრილოვის იგავებიდანაა გადაწერილი. მორალის ნაცვლად კი იმ გამოკითხვის შედეგები შემიძლია შემოგთავაზოთ, რომელიც ამერიკელ პოლიტიკოსებს შორის ჩატარდა. გამოკითხულთა 82-მა პროცენტმა განაცხადა, რომ საკუთარი იდეალების დაცვა, თუ ეს თანამდებობის დაკარგვად გიჯდება, სისულელეა.

ისე კი, რაღა სხვებისას ვითვლით? რამდენი, მომხიბლველ პოზაში მოხრილი, "უხერხემლო" პოლიტიკოსი სვამს კითხვას ქართული პოლიტიკური სარბიელიდან - "რას ისურვებდით?" მათ არც სჭირდებათ ხერხემლის მოცილება. მათ საკუთარ თავს ბევრად უფრო რადიკალური ოპერაცია ჩაუტარეს. მე ამ ოპერაციას "სინდისის ხარაკირს" ვუწოდებდი. რა საჭიროა ანდო ხერხემალი ქირურგს, როდესაც შეიძლება სული ეშმაკს მიჰყიდო? ხშირად ძალიანაც იაფად. ასე რომ, ნუ შეგაცდენთ ასეთი პოლიტიკანების წელგამართულობა. ეს ფულის ტომრების მიერ შეძენილი, ყველა სეზონისთვის შესაფერისი კორსეტების შედეგია, რომლებიც პოლიტიკოსებს შორის გაცილებით პოპულარულია, ვიდრე არმანის, ვალენტინოს, ან ბრიონის კოსტიუმები. ფულის ტომრების მიერ შეძენილი კორსეტები "ხალხის მსახურთა" სხეულებთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე თავად ხალხი. პოლიტიკური პლაჟი კი სავსეა "მედუზებით", რომლებმაც იციან, ვინ დასუსხონ და ვინ შეიბრალონ.

## ფესტივალი არა მხოლოდ ჯაზმენებისთვის



ახალი ორლეანი ერთი კვირით მსოფლიო მუსიკის ნამდვილ ცენტრად იქცევა. სახელგანთქმული ფესტივალის - Jazz and Heritage-ის ორგანიზატორები სახელოვანი და აღიარებული მუსიკოსების სტუმრობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ელიან. მათ უკვე დაამტკიცეს ფესტივალში მონაწილე მუსიკოსთა სია.

ახალ ორლეანში 22 აპრილიდან 1 მაისამდე ჯაზის, ბლუზის, გოსპელის, ფანკის, როკის, რიტმ-ენდ-ბლუზის, ჰიპ-ჰოპის, ფანკის, ტრადიციული აფრიკული და ლათინოამერიკული მუსიკის წარმომადგენლები ჩავლენ. ამასთან, როგორც ამბობენ, წლევანდელ ფესტივალს ერთი განსაკუთრებული ნიშანი ექნება. საგანგებოდ დამატებულ სცენაზე მხოლოდ ნიუორლეანელი მუსიკოსები გამოვლენ და ადგილობრივი მუსიკალური პალიტრის მრავალფეროვნებას წარმოადგენენ. სულ, მუსიკოსები ერთდროულად 12 სხვადასხვა სცენაზე იმუშავებენ.

რიგით 36-ე ფესტივალში მონაწილეობენ: Original Meters Reunion, Dave Matthews Band, ჯეიმს ტეილორი, ბი ბი კინგი, ელვის კოსტელო, Juanes, The Neville Brothers, Trey Anastasio, Isaac Hayes, Widespread Panic, The Roots, Steel Pulse, Wilco, Dave Bartholomew, რენდი ნიუმანი, ბადი გაი და სხვები.

## კუსტურიცა ჟურნალისტებს უჩივის



კანის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი, ცნობილი რეჟისორი ემირ კუსტურიცა ჟურნალისტებთან სასამართლო დავას იწყებს. რეჟისორმა სარჩელი შეიტანა ჩერნოგორიის წამყვანი ყოველკვირეული გამოცემის წინააღმდეგ. საქმე იმაშია, რომ გაზეთმა "მონიტომა" რეჟისორი სერბიის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. კუსტურიცას, რომელიც ბალკანეთის ომის დროს, სერბიაში ცხოვრობდა, ჟურნალისტებმა "მილოშევიჩის საომარი პროპაგანდისტული მანქანის ვარსკვლავი" უწოდეს.

რეჟისორის სარჩელში წერია, რომ "მონიტორის" მფლობელებმა - რადიო Antena M, დიზაინის სტუდია "მაუსმა" და კომპანიამ Montenegropublic - რეჟისორის ღირსება შელახეს. კუსტურიცა აცხადებს, რომ გაზეთის ბრალდებებმა მას მძიმე სულიერი ტანჯვა მიაყენა. ამის კომპენსაციისთვის კი კუსტურიცა თავისი აზრით მოკრძალებულ, 130 ათას დოლარს ითხოვს. თავის მხრივ, გამოცემის მთავარი რედაქტორი უარყოფს ყველა ბრალდებას და აცხადებს, რომ მის გაზეთს კანონი არ დაურღვევია.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის კუსტურიცას პირველი სასამართლო დავა "მონიტორთან". შარშან ნოემბერში "მონიტორის" ჟურნალისტის პუბლიკაციების გამო კუსტურიცამ სასამართლოს ძალით მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 6490 დოლარი მიიღო.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში შემდეგ სპეციალობებზე:

**1 საერთაშორისო ურთიერთობები**
**2 საერთაშორისო ეკონომიკური და ენერგეტიკული პოლიტიკა და დიპლომატია**
**3 გამოყენებითი პოლიტოლოგია. პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები**
**(საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორი. ქართული და ინგლისური ჯგუფები)**

სწავლა წარიმართება საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად. მასში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები.

საბუთები მიიღება 20 თებერვლამდე. თბილისი, კოსტავას ქ.№ 77 ჰტფვ - VI კორპუსი IX სართული. პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა - IV კორპუსი III სართული.

საკონტაქტო ტელეფონები: 33-13-79, 36-10-15,
899 45-50-10, 899 17-64-98, 877 54-15-41

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

12-დან 18 საათამდე მუშაობს ჯაფის სტატუსით.
სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.

ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

მეუღლე ჯემალ ჯავახიშვილი; შვილები: ირაკლი, ნიკა და მარიამ ჯავახიშვილები; სიძე ირაკლი ბანძავა; რძლები: გულნარა ფანცულაია, მაკა და ხათუნა ჯავახიშვილები; შვილიშვილები და ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**მზია აპოლონის ასული ფანცულაია ჯავახიშვილი**

**პანაშვიდები: 8 და 9 თებერვალს 16 საათზე. ჯანაშიას ქ. 10.**
**გამოსვენება 10 თებერვალს 14 საათზე წმ. სამების ტაძრიდან. კოლმეურნეობის მოედანი, საჯარო ბიბლიოთეკასთან.**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ყველა ტერიტორიულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობებზე**

**კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები:**

კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

**წარმოსადგენი საბუთების ნუსხა**

- წერილობითი განცხადება სპეციალიზებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული ანკეტა;

საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოში განაცხადების მიღება იწარმოებს 2005 წლის 7 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 14:00სთ-დან 18:00სთ-მდე.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად, ტესტირებისა და გასაუბრების სახით.

საკონკურსო მასალებისა და ტესტების გაცემა იწარმოებს საბუთების მიღებისას.

ტესტირება ჩატარდება 5, 6, 12 და 13 მარტს.

მისამართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქ. N10;

ტელ: 758293

ელ-ფოსტა: ministry@justice.gov.ge

ტესტირების განრიგი იხილეთ გაზეთ "24 საათი"-ს 28 თებერვლისა და 1 მარტის ნომრებში.

დამატებითი ინფორმაცია და საკონკურსო ტესტები იხილეთ იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე www. justice.gov.ge

**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.